

არჩილ ლორია

**ფილიაცია და  
ნატურალიზაცია  
საქართველოში**

(მოქალაქეობის საკითხები)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009

UDC (უაკ) 342.71(479.22)  
ლ – 853

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების, სამეცნიერო და პრაქტიკული დარგის სპეციალისტებისთვის, აგრეთვე მოქალაქეობის საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

რედაქტორი: კახი ყურაშვილი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

© ა. ლორია

ISBN 978-9941-10-167-0

## რედაქტორისაგან

წარმოდგენილი მონოგრაფია მოქალაქეობის მოპოვების სადმი მიძღვნილი კომპლექსური გამოკვლევაა, რომელიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მოქალაქეობის ინსტიტუტისადმი მიძღვნილ უცხოურ ლიტერატურასა და ნორმატიულ ბაზას.

ისტორიული, ნორმატივისტული და შედარებით – სამართლებრივი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, ავტორი ღრმა მეცნიერულ დონეზე იკვლევს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მოქალაქეობის სოციალური ფუნქცია, მოქალაქეობის განვითარების ისტორიული ეტაპები, მოქალაქეობის დეფინიცია, მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლები – ფილიაცია და ნატურალიზაცია. წიგნში განხილულია მოქალაქეობის დეფინიციის არა მხოლოდ შიდასაკანონმდებლო, არამედ მისი საერთაშორისო – სამართლებრივი არსიც.

ავტორი სრულიად სამართლიანად აღიქვამს მოქალაქეობას, როგორც პიროვნების უფლებათა კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, გამომდინარე იქედან, რომ ეს ინსტიტუტი წარმოადგენს ადამიანის, როგორც საზოგადოების პირველადი ელემენტისა და სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების ურთიერთშეგებულ უფლება – მოვალეობათა კომპლექსს და უშუალო ორგანულ კავშირშია პიროვნების სამართლებრივ სტატუსსთან.

მოქალაქეობის ინსტიტუტის ფორმირების ისტორიული ანალიზი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უყალიბებს ამ ინსტიტუტის განვითარების მოტივებსა და სოციალურ დანიშნულებაზე, ეხმარება მოქალაქეობის კონსტიტუციურ – სამართლებრივი ინსტიტუტის სოციალური ფუნქციის უკეთ გაგებაში.

წიგნში დეტალურადაა განხილული საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლები და პირობები, გაკრიტიკებულია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლების მიხედვით, აგრეთვე – საქართველოს კანონმდებლობა ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების კუთხით.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, განსაკუთრებით სისხლისა და ნიადაგის პრინციპების შერწყმისას, ამ ინსტიტუტს ხშირად განიხილავს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კუთხით, უცხო ქვეყნების საკანონმდებლო ბაზათა გაუთვალისწინებლად, რაც ხშირად გვაძლევს ორპასპორტიან მოქალაქეს. ნაშრომში დეტალურად და მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესწავლილი ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ცენზების არსი, ასევე ქორწინებით ნატურალიზაციის თავისებურებები.

წარმოდგენილი ნაშრომი მოქალაქეობის ინსტიტუტის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის – მოქალაქეობის მოპოვების შინაარსის მეცნიერული დამუშავებისა და საკანონმდებლო ბაზის არსის გარკვევის თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების შემდგომი განვითარების, ასევე საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნებისთვისაც. მონოგრაფია წაადგება როგორც მოქალაქეობის საკითხებით დაინტერესებულ პრაქტიკოსთა მუშაობას, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას კონსტიტუციური სამართლის სწავლების პროცესშიც.

*კახი ყურაშვილი*

სამართლის დოქტორი, პროფესორი

# შინაარსი

რედაქტორისაგან.....	3
შესავალი.....	7
<b>თავი I. მოქალაქეობა როგორც სახელმწიფო – სამართლებრივი ინსტიტუტი .....</b>	<b>10</b>
§ 1. მოქალაქეობის ინსტიტუტის მნიშვნელობა.....	10
§2. მოქალაქეობის ინსტიტუტის განვითარების ეტაპები....	17
<b>თავი II. საქართველოს მოქალაქეობის ცნება .....</b>	<b>31</b>
<b>თავი III. ფილიაციით მოქალაქეობის პირობები საქართველოში .....</b>	<b>51</b>
§1. მოქალაქეობის მოპოვების არსი.....	51
§2. დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების პირობები საქართველოში.....	54
<b>თავი IV. ნატურალიზაციის სახეები საქართველოში.....</b>	<b>76</b>
§1. ნატურალიზაცია საერთო წესით .....	76
§2. ქორწინებით ნატურალიზაცია.....	114
§3. ნატურალიზაციის განსაკუთრებული პირობები .....	119
§4. ნატურალიზაცია გამონაკლისის წესით .....	125
<b>დ ა ს კ ვ ნ ა.....</b>	<b>133</b>
<b>დანართი 1 .....</b>	<b>136</b>
საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.....	136
<b>დანართი 2.....</b>	<b>165</b>
უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ .....	165

რეზიუმე ინგლისურად .....

რეზიუმე რუსულად .....

გამოყენებული ლიტერატურა .....

## უმსაკალი

მოქალაქეობა კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იგი სამართლის სხვა დარგებისთვისაც გამოიყენება, რამდენადაც მოქალაქეობის გარეშე არ არსებობს არც საჯარო სამსახური, არც სამხედრო ვალდებულება, არც დიპლომატიური ურთიერთობა და სხვა.

მოქალაქეობის მოპოვება არის ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სრული პაკეტის შეძენის წინაპირობა, ვინაიდან სწორედ მოქალაქე წარმოადგენს სახელმწიფოს სრულუფლებიან წევრს.

ამას თვალნათლივ ადასტურებს საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მეორე თავი, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შეეხება და იწყება ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების უფლებით.

ფიზიკური პირის ფართო უფლებებით აღჭურვა არ უნდა იქნას აღქმული ისე, თითქოს მოქალაქეობა იყოს მხოლოდ რიგი შეღავათებისა თუ პრივილეგიების მიღების საშუალება. ყველას უნდა ესმოდეს, რომ მოქალაქეობა, უფლებების შეძენის პარალელურად, სახელმწიფოსადმი არსებითი ინტერესების დაკავშირებას, ერთგულებასა და კეთილსინდისიერ სამსახურსაც გულისხმობს.

მოქალაქეობა, როგორც სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ორმხრივი კავშირი, მთლიანად ემყარება ორმხრივი ნების გამოვლინებას და ყოველგვარი ძალდატანება პირდაპირ იწვევს ამ ურთიერთობის ბათილობას. ამდენად, უნდა გვახსოვდეს, რომ მოქალაქეობა არის არა მოვალეობა, არამედ

უფლება, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს როგორც უფლებებს, ისე მოვალეობებს. ხშირ შემთხვევაში ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს მოქალაქეობის ჩამორთმევის აკრძალვას, რაც იმავდროულად გულისხმობს მისი იძულებით გავრცელების დაუშვებლობასაც.

ეროვნული კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ უნდა ემსახურობდეს ეროვნული ინტერესების დაცვას, არსებულ ტრადიციათა განმტკიცებასა და პროპაგანდას, რათა ამ სახელმწიფოს მოქალაქედ გახდომა საამაყო იყოს ყოველი ადამიანისათვის, აღძრავდეს კეთილშობილ სურვილს დაიმსახუროს იგი.

ამჟამად მოქმედი 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ერთგვარად მოძველდა და რევიზიას საჭიროებს. მან თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების თვალსაზრისით. მაგრამ დღეს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, ეს კანონი ვეღარ აკმაყოფილებს მთელ რიგ მოთხოვნებს და გადახედვას მოითხოვს.

აუცილებელია შეიცვალოს მოქალაქეობის განმარტება, რომელიც სრულყოფილად ვერ ასახავს მის შიდა ბუნებას, დაიხვეწოს დაბადებით მოქალაქეობის მოპოვებისა და ნატურალიზაციის წესები, ორმაგი მოქალაქეობის რეგულირების მექანიზმები და სხვა. ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოებაც, რომ იგი საკმაოდ დიდ ტვირთად შეიძლება დააწვეს მოსახლეობით მცირერიცხოვან და სუსტი ეკონომიკის მქონე ისეთ ქვეყანას, როგორცაა საქართველო. ასევე მნიშვნელოვანია უცხო სახელმწიფოთა კანონებთან ქართული კანონმდებლობის



კოლიზიის შემთხვევათა გათვალისწინება და მათი თავიდან აცილების გზების გამოძებნა.

ამიტომაც დგას დღის წესრიგში აღნიშნული კანონმდებლობის სრულყოფის საკითხი, რაც მეცნიერული გააზრებისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგების განზოგადების საფუძველზე უნდა მოხდეს.

ჩვენი წინამდებარე კვლევის მიზანიც სწორედ ამ ამოცანებითაა განპირობებული. შრომაში განხილულია ის თავისებურებები, რომლებიც მოქალაქეობის შესახებ ქართულ კანონმდებლობას ახასიათებს და წამოყენებულია წინადადებები ამ კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.

# თავი I. მოქალაქეობა როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტი

## § 1. მოქალაქეობის ინსტიტუტის მნიშვნელობა

მოქალაქეობის ინსტიტუტი თანამედროვე სახელმწიფოს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია. მოქალაქეობა განსაზღვრავს დემოკრატიის განხორციელების ფორმების საფუძველს. მასზეა დაყრდნობილი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური წყობაც, ვინაიდან მოქალაქეობის მიხედვით განისაზღვრება სოციალური ჯგუფების თუ ფენების უფლებები და შესაძლებლობები. სახელმწიფოც თავის მხრივ დაინტერესებულია თავისი მოქალაქეების ბედ – იღბლით და ზრუნავს კიდევ მათთვის.

მოქალაქეობის ინსტიტუტის დიდი მნიშვნელობის გამო სახელმწიფოები მოწოდებული იყვნენ სამართლებრივად მოეწესრიგებინათ იგი, რათა ქვეყანაში ზუსტად ყოფილიყო განსაზღვრული სახელმწიფოს როლი საზოგადოების წინაშე. კონკრეტული ისტორიული სიტუაციების შესაბამისად იცვლებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში მოქალაქეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები. ეს ერთნაირად დამახასიათებელი იყო და არის როგორც ძველი სამყაროსათვის, ისე თანამედროვე ეპოქისთვისაც.

მოქალაქეობის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებები განაპირობებდა სახელმწიფოს კონკრეტულ მიზნებს და ამოცანებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზეც. სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცვლილებები უსათუოდ აირეკლებოდა მოქალაქეობის ინსტიტუტზეც, ვინაიდან იცვლებოდა მოქალაქეთა დამოკი-

დებულება უცხო სახელმწიფოებთან და უცხოეთის მოქალაქეთა ურთიერთობაც კონკრეტულ სახელმწიფოში. ამიტომ მოქალაქეობის სფეროში მომხდარი ცვლილებები ყოველთვის პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მისი ძირითადი ამოცანების, მიმართულებების შეცვლასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობა პირდაპირაა დაკავშირებული მოსახლეობასთან, გამოხატავს საზოგადოების წევრთა უფლებებსა და დანიშნულებას ქვეყანაში, ეს სამართლებლივი ინსტიტუტი მაინც არ არის მოწესრიგებული უშუალო დემოკრატიის მეშვეობით, ე. ი. თვით საზოგადოება კი არ განსაზღვრავს თავის წევრთა მოქალაქეობას, არამედ სახელმწიფო განუსაზღვრავს საზოგადოებას მის წევრთა მოქალაქეობრივ სტატუსს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებს სახელმწიფოს ფაქტორი, რომ მოქალაქეობა სახელმწიფოებრიობის აუცილებელი ნიშანია, თორემ საზოგადოება შეიძლება მოქალაქეობის ინსტიტუტის გარეშეც არსებობდეს, როგორც ეს პირველყოფილი თემური წყობილების დროს იყო.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს უპირველესი ნიშანია მისი ტერიტორია და აქ მცხოვრები ადამიანების დაქვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. ამიტომ საკვებით გასაგებია, რომ მოქალაქეობის სამართლებრივი მოწესრიგებით დაინტერესებულია სახელმწიფო, საზოგადოება კი ემორჩილება სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თავისი მოქალაქეების მიმართ. როგორც შარლ მონტესკიე აღნიშნავდა, დემოკრატია მუნდა აღკვეთოს ორი უკიდურესობა: „უთანასწორობის სულისკვეთება, რომელსაც იგი მიჰყავს არისტოკრატიაში, ან ერთის მმართველობაში, და უკიდურ-

რესობამდე მისული თანასწორობის სულისკვეთება, რომელიც მთავრდება ერთი პიროვნების დესპოტიზმით“<sup>1</sup>.

მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა ამა თუ იმ სახელმწიფოს ორგანულ კანონმდებლობას წარმოადგენს. ქვეყნის განვითარების სოციალურ – ეკონომიკური თავისებურების შესაბამისად სახელმწიფო ადგენს მისთვის ყველაზე უფრო სასურველ კანონმდებლობას თავისი ქვეყნის მოქალაქეობისა და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის შესახებ თავის სახელმწიფოში. ამიტომ ეს საკითხი სახელმწიფოს შინაგანი ინტერესების სფეროს განეკუთვნება. მაგრამ რამდენადაც დღეს სახელმწიფოები არ შეიძლება სრული იზოლაციის პირობებში იმყოფებოდნენ, ისინი ანგარიშს უწევენ ერთმანეთის სურვილებს, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან. ამ მიზნით ისინი დებენ ხელშეკრულებებს სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, სადაც არაიშვიათად ფიგურირებს ურთიერთვალდებულებები ერთმანეთის მოქალაქეების მიმართ. ასეთი ხელშეკრულებები რატიფიკაციის შემდეგ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობის კანონის შემადგენელი ნაწილი ხდება.

ამდენად მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა შედგება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოქმედი ორგანული კანონმდებლობისაგან, არამედ აგრეთვე საერთაშორისო აქტებისგანაც, რომელთაც ცნობს მოცემული სახელმწიფო. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც ადამიანის და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და მათ გარანტიებს შეეხება, მაგალითად, რო-

---

1 1. Монтегье Ш. О духе законов, перевод с французского. С.-Петербург: изд. Л.Ф. Пантелеева. 1900.стр.116.

გორიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948)<sup>2</sup>, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966)<sup>3</sup>, ევროპის სოციალური ქარტია (1963 წ.)<sup>4</sup>, კონვენცია გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარი მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ (1948)<sup>5</sup>, ტურიზმის ქარტია (1985 წ.)<sup>6</sup> და სხვ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტებიდან მრავალი დებულება გადმოტანილია ჩვენს მოქმედ კანონმდებლობაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი სამოქმედოდაცაა შემოღებული საქართველოში.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეობის სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულია საერთაშორისო სამყარო და იგი არა ერთი ფორუმისა თუ ორგანიზაციის მსჯელობის საგნადაც არის ქცეული. მაგრამ საბოლოო ჯამში მოქალაქეობის სტატუსი მაინც შინაგანი ორგანული კანონმდებლობის სფეროა, მისი წყარო სწორედ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობაა, ვინაიდან თუ სახელმწიფომ არ აღიარა ესა თუ ის საერთაშორისო აქტი, რომელიც მოქალაქეობას შეეხება, იგი არ მოაწესრიგებს შესაბამის საკითხებს ასეთ სახელმწიფოში. ამდენად მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო პრინციპებისა და დებულებების შესწავლასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის განხილვას ენიჭება.

---

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 10 დეკემბერი.

3 ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ. № 5, გვ. 50.

4 ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ. № 11, გვ. 67.

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ. 20 მაისი.

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ. 1 თებერვალი.

მითითებული კუთხით აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო აღიარა საერთაშორისო აქტების დემოკრატიული პრინციპები, არამედ აითვისა ის დიდი დადებითი გამოცდილება, რომელიც ამ მხრივ გააჩნია დემოკრატიულ ქვეყნებს. თუმცა ამ სფეროში გამოცდილების სიმცირემ განაპირობა დასახელებულ კანონში ცალკეული უზუსტობებისა და ხარვეზების დაშვებაც, რაზედაც ქვემოთ არაერთხელ შევჩერდებით.

როდესაც ქვეყანა დემოკრატიული გარდაქმნების გზას ადგება, მისი უპირველესი საზრუნავია მოქალაქეობის შესახებ დემოკრატიული კანონმდებლობის შექმნა. მართალია, ეს კანონმდებლობა სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების თავისებურებიდან გამომდინარეობს, მაგრამ აუცილებელია ამ კანონმდებლობაში აისახოს დემოკრატიული საწყისები, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებებისა და შესაძლებლობების სრულად განხორციელებას. მოქალაქეობის კანონმდებლობის დემოკრატიულობა აუცილებელია მაშინაც, როცა სახელმწიფოს მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარება აქვს და გარკვეული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, აუცილებელია მოქალაქეობის ზოგიერთი საკითხის შეზღუდვა საკუთარ მოქალაქეთა და ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვის მიზნით. ამიტომ მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა ყოველთვის საჭიროებს სრულყოფას, განვითარებას და მისი განხორციელების მყარი იურიდიული გარანტიების შექმნას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კანონმდებლობა არა თუ არ ხასიათდებოდა დემოკრატიული პრინციპებით, არამედ

მასში აღიარებული დებულებები ვერ პოულობდნენ სათანადო იურიდიულ გარანტიებს, რაც ამ კანონმდებლობის უდიდესი ნაკლოვანება იყო. ჩვენი საზოგადოება კი, სამწუხაროდ, მიჩვეული იყო მოქალაქეობრივი სტატუსის შეზღუდვას სახელმწიფოს მიერ რეპრესიებისა და მკაცრი პასუხისმგებლობის შიშით. მაგრამ ეს პერიოდი უკვე წავიდა, ადამიანი თავისუფალი გახდა და დადგა დრო, თვით სახელმწიფომაც იზრუნოს ადამიანთა დემოკრატიული უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის განხორციელება უპირველეს ყოვლისა თვით მოქალაქეების უფლებების სფეროს განეკუთვნება. თავად ადამიანები ზრუნავენ თავიანთი მოქალაქეობრივი სტატუსის მოსაპოვებლად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო პასიურ როლს ასრულებს ამ საქმეში და მხოლოდ კანონმდებლობის შექმნით კმაყოფილდება.

მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის განხორციელება როგორც მოქალაქის, ისე სახელმწიფოს ერთობლივი საქმეა. სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საერთაშორისო აქტებში პირველ რიგში სწორედ ის აღინიშნება, რომ სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის, მათთვის ისეთი პირობების შესაქმნელად, როცა შესაძლებელი გახდება მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების შეუფერხებლად განხორციელება.

მოქალაქეობის სტატუსი მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის საფუძველია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მოსაპოვებლად აუცილებელია მათ გააჩნდეთ მოქალაქეობა, კერძოდ კი, მო-

ცემული სახელმწიფოს მოქალაქეობა, რათა ისარგებლონ ამ ქვეყანაში აღიარებული უფლებებითა და შესაძლებლობებით. მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსი თავის მხრივ განაპირობებს მოქალაქეობის მიღების სურვილს, ვინაიდან პიროვნება მაშინაა დაინტერესებული მიიღოს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, როცა მისი უფლებები და ინტერესები ასეთ ქვეყანაში აღიარებული და დაცული იქნება. ამდენად ეს ორი ინსტიტუტი (მოქალაქეობისა და მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის) ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებულ სფეროებს შეეხება.

მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტა იმავდროულად გულისხმობს, რომ აღიარებული და დაცულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის გარეშე მოქალაქეობის ინსტიტუტი არ არსებობს, ვინაიდან თუ მოქალაქე სამართლის სუბიექტი არ არის, ის არც მოქალაქეა.

ჩვენი კვლევის საგანი სწორედ მოქალაქეობას შეეხება, მის ცნებას, განვითარებას და თანამედროვე საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას მოქალაქეობის შესახებ. პრობლემის საკითხების კვლევა მიზნად ისახავს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფას და განვითარებას, ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების ასახვას ამ სფეროში და ადამიანის უფლებებისა და ინტერესების განხორციელების გარანტიების ამოქმედებისათვის ხელშეწყობას. ადამიანის უფლებები შეეხება ყველა მოქალაქეს, თუმცა მოქალაქეთა ზოგიერთი უფლება ყველა ადამიანის უფლება როდია. მოქალაქეობის ინსტიტუტის ყველა პრობლემა ნაშრომში ერთნაირი სიღრმით არ არის განხილული,



კვლევის სფეროები ძირითადად უკავშირდება მოქალაქეობის დეფინიციის, ფილიაციისა და ნატურალიზაციის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

## §2. მოქალაქეობის ინსტიტუტის ბანკითარების მტაკამბი

მოქალაქეობის ცნება მეტწილად დაკავშირებული იყო ქალაქში ცხოვრებასთან, ქალაქთან, რომელიც ხშირად თავისი კანონებითა და ადათ-წესებით ცხოვრობდა. სულხან – საბას ლექსიკონში მოქალაქე განმარტებულია შემდეგნაირად: „ქალაქში მყოფი; ვიეთნიმე იტყვიან მოქალაქეობითი ყოფაქცევითიცა არს და სახლის შჯულობითიცა“. მამასადამე სულხან – საბას მოქალაქე წარმოუდგენია როგორც ქალაქში მყოფი ისეთი პირი, რომელსაც ოჯახის ზნე – ჩვეულებები („სახლის შჯულობა“) შეგუებული აქვს ქალაქის ყოფა – ქცევისთვის, ქალაქის ადათ – წესებისთვის. ავტორი ლექსიკონში იქვე მიუთითებს, რომ მოქალაქეს პოლისი ეწოდებისო, რაც ბერძნულიდანაა აღებული, სადაც „პოლიტი“ პოლისის, ანუ ქალაქის მცხოვრებს ნიშნავდა.

ლათინურად მოქალაქეს ეწოდება „ცივის“, ხოლო მოქალაქეობას „ცივიტას“ (აქედან წარმოდგება „ცივილური სამართალიც“). მაგრამ „ცივიტას“ ეწოდებოდა არა მხოლოდ მოქალაქეობას, არამედ სახელმწიფოსაც. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ძველი სახელმწიფოები ქალაქების სახით იყო წარმოდგენილი. რომი არა მხოლოდ ქალაქი, არამედ სახელმწიფოც იყო.

ამრიგად, მოქალაქეობის ცნება უძველესი დროიდან გვხვდე-

ბა, რამდენადაც უძველესი დროიდან არსებობდნენ ქალაქი – სახელმწიფოები. მოქალაქეობაც სწორედ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული, რადგან სახელმწიფო დაინტერესებულია თავის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების ბედ-იღბლით.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ასეთ დაქვემდებარებულ ადამიანებს სახელმწიფოს მოქალაქეები ეწოდებოდათ, ხოლო მონარქიულ და დესპოტურ სახელმწიფოებში მათ ქვეშევრდომებს უწოდებდნენ, თუმცა მოქალაქისა და ქვეშევრდომის სამართლებრივ მდგომარეობაში განსხვავება არსებობს.

ცნობილი ამერიკელი არქეოლოგი სემიუელ ნოა კრამერი თავის წიგნში „ისტორია იწყება შუმერიდან“ აღნიშნავს, რომ მსოფლიოში პირველი ორპალატიანი პარლამენტი მოუწვევიათ შუმერული ქალაქის ურუქის მოქალაქეებს უხუცესთა საბჭოსა და ქალაქის მეომარ მამაკაცთა საბჭოს სახით (ძვ. წ. III ათასწლეულში). მათ უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ – დამორჩილებოდნენ ქალაქ ქიშის ბატონობას და მშვიდობა შეენარჩუნებინათ, თუ იარაღი აეღოთ ხელში და დამოუკიდებლობა დაეცვათ. ავტორი აღნიშნავს, რომ ურუქის მეფე გილგამეში, როცა უარს მიიღებს უხუცესთა საბჭოსგან ომის დაწყებაზე, მიმართავს ქალაქის მეომარ მამაკაცთა საკრებულოს, რომელიც თანახმა გამხდარა ბრძოლის დაწყებაზე, რაც საფუძველს აძლევდა მეფეს საომარი ოპერაციების განსახორციელებლად<sup>7</sup>.

როგორც ვხედავთ, მოქალაქეობის ცნება უძველესი შუმერიდან იღებს სათავეს. იგი უკავშირდება პირველი ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და თითქმის იმავე სიძ-

---

7 კრამერი ს.ნ. ისტორია იწყება შუმერიდან, თბილისი, გამ. „ნაკადული“, 1988 წ. გვ. 40 - 41.

ველისაა, როგორც სახელმწიფო. ამასთან, ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ სრულასაკოვანი თავისუფალი მამაკაცები. მონები არც ერთ შემთხვევაში არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად, ხშირ შემთხვევაში კი ქალებსაც შეზღუდული ჰქონდათ მოქალაქეობრივი სტატუსი ან საერთოდ არ მიიჩნეოდნენ მოქალაქედ. ეს, რასაკვირველია, არ იყო მოქალაქეობის დღევანდელი გაგება, რომელიც მოწესრიგებულია სახელმწიფოს ძირითადი და ორგანული კანონმდებლობით. მაგრამ მაშინაც მოქალაქეობის გაგება შეიცავდა იმ აუცილებელ ელემენტებს, რაც სახელმწიფოს უფლებამოსილებასთანაა დაკავშირებული – განაგრცოს თავისი ხელისუფლება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე.

მოქალაქეობის ინსტიტუტი საკმაოდ გამოკვეთილი იყო რომისა და ათენის კანონმდებლობაში. პერიკლეს კანონების თანახმად (V ს. ძველი წელთაღრიცხვით), ათენში ყველა უფლებით და პრივილეგიებით სარგებლობდნენ მხოლოდ ის მამაკაცები, რომლებიც მამითა და დედით ათენის მაცხოვრებლები იყვნენ და მოქალაქის ყველა უფლება გააჩნდათ. მოქალაქეობას იძენდნენ მხოლოდ მამაკაცები 18 წლის ასაკის მიღწევისას. ამის შემდეგ ახალგაზრდა გადიოდა სამხედრო სამსახურს ორი წლის მანძილზე, ხოლო 20 წლის ასაკიდან მას უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში. სამხედრო წვრთნის გავლის შემდეგ ათენის მოქალაქე სამხედრო ვალდებული იყო 60 წლის ასაკამდე.

ათენში სრულუფლებიანი მოქალაქეობრივი თანასწორობა არ გამორიცხავდა მათ ფაქტობრივ უთანასწორობას განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის გამო. ათენის მოქალაქეთა ძირითად მასას კი შეადგენდა საშუალო შეძლების ადამიანე-

ბი, რომელთა მიწის ნაკვეთები არ აღემატებოდა 10 ჰექტარს, ხოლო მონათა რიცხვი რამდენიმე ათეულს.

ათენში ცხოვრობდნენ აგრეთვე მეტეკები (უცხოელი თავისუფალი ადამიანები), თავისუფლებამინიჭებული ადამიანები, დროებით ჩამოსული პირები (პერეგრინები), რომლებიც არ სარგებლობდნენ ათენის მოქალაქეთა უფლებებით და, რასაკვირველია, არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრებაში ან დაეკავებინათ რაიმე თანამდებობა. მაგრამ გადასახადები მათ, რასაკვირველია, ეკისრებოდათ, რომლის თავის ამრიდებელი მეტეკი მონად იყიდებოდა. ეს იყო ძველი საბერძნეთის მოქალაქეობის კლასიკური ნიმუში, რომელსაც მოგვიანებით იყენებდნენ ევროპის სხვა ქალაქებშიც.

კიდევ უფრო დახვეწილი იყო მოქალაქეობის ინსტიტუტი ძველ რომში. ზ. მ. ჩერნილოვსკი მიახლოებითი სიზუსტით გადმოგვცემს ძველი რომის მოქალაქეობის საკითხებს ძვ. წ. VI საუკუნეში. რომის მოქალაქეობა სრულუფლებიანი მამისა და დედისაგან დაბადებით მოიპოვებოდა. იგი იწყებოდა სრულსაკონების მიღწევიდან, როდესაც ჭაბუკს მიიყვანდნენ სასამართლოს მოედანზე (ფორუმზე) და იგი ჩაიწერებოდა შესაბამის ტრიბაში (რომის ერთ-ერთ ტერიტორიულ ოლქში). ამ მომენტიდან იგი იძენდა პოლიტიკურ უფლებებს: სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლებას, რომის მთავრობასა და სასამართლო აპარატში თანამდებობებზე არჩევისა და ჯარში სამსახურის უფლებას. მაგრამ პოლიტიკური სრულუფლებიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქონებრივ სრულუფლებიანობას: სანამ მამა ცოცხალი იყო, ვაჟს საგნებზე ან ფულზე რაიმე გარიგების დადების უფლება არ ჰქონდა, თუ ამაზე მამის პირდაპირი რწმუნება არ ექნებოდა.

რომის მოქალაქეები სერვიუს ტულიუსმა რამდენიმე ასეულად დაჰყო, რითაც განახორციელა მათი ქონებრივი დიფერენციაცია. სულ რომში 193 ცენტურია (ასეული) იყო, რომლებიც 5 კლასად დაიყო. პირველ კლასს შეადგენდა 80 ცენტურია, რომელშიც შევიდნენ ის პატრიციები და პლებეები, რომელთა ქონება 100 ათას ფულად ერთეულს (ასს) შეადგენდა, ხოლო ბოლო კლასში 30 ცენტურია აღმოჩნდა, რომლის წევრებსაც 11 ათასი ასსის ქონება გააჩნდათ.

რომის მოქალაქედ შეიძლებოდა გამხდარიყო გათავისუფლებული მონაც. მაგრამ მას არ შეეძლო არჩევითი თანამდებობის დაკავება და ჯარში სამსახური. იგი მხოლოდ თავისი ტრიბის (ოლქის) კრებაში აძლევდა ხმას. პერეგრინებიც (უცხოელი ვაჭრები) იძენდნენ რომაელი მოქალაქეების უფლებებს რომის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების ან სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური აქტების საფუძველზე.

რომის მოქალაქეობის დაკარგვა ხდებოდა ვალების გადაუხდელობის ან დანაშაულის ჩადენის გამო. მოქალაქეობაჩამორთმეულს ჰყიდდნენ მონად, გადაასახლებდნენ სხვა ადგილას ან განდევნიდნენ რომიდან<sup>8</sup>. პატრიციების და პლებეების გათანაბრება მოხდა IV – III სს. ძვ.წ., როცა ყველაზე მდიდარი პატრიციები შეერივნენ ყველაზე მდიდარ პლებეებს და შეადგინეს რომის მმართველი ფენა – ნობილიტეტი.

რომისა და ათენის სახელმწიფოების მაგალითზე ჩანს, რომ მოქალაქეობა მონათმფლობელურ სამყაროში დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მცირე მასშტაბებთან, როცა სა-

---

8 ჩერნილოვსკი ზ.მ. სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, ტ. I, თბ., ოსუ, 1992წ. (თარგმანი), ვვ. 66 – 70.

ხელმწიფო მხოლოდ ქალაქს შეადგენდა და რომსა და ათენ-ში არისტოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრებოდა ქალაქი – სახელმწიფოს ინტერესებით: მონობის მასშტაბებით, ქონებრივი ცენზით, სახელმწიფო სუვერენიტეტით. მოქალაქეები სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მეტწილად საომარი ოპერაციების განსახორციელებლად. ამიტომ მონათმფლობელური სახელმწიფოს მოქალაქეებად ძირითადად მეომარი მამაკაცები ითვლებოდნენ. არასრულწლოვანები და ქალები მოქალაქეთა რიცხვს არ განეკუთვნებოდნენ.

ევროპის სხვა ქვეყნებში (ინგლისში, საფრანგეთში, პოლანდიაში) მოქალაქეობის წარმოშობა დაკავშირებულია ფეოდალური პერიოდის ქალაქი – რესპუბლიკების წარმოშობასთან, რაც უეჭველია რომისა და ათენის რესპუბლიკების გავლენა იყო.

მოქალაქის სახელწოდება ევროპის აღნიშნული ქვეყნების ენებზე უკავშირდება ლათინურ „ცივის“, რამდენადაც ლათინური სამყაროს გავლენა ევროპის ქვეყნებზე ძალიან დიდი იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის სამართალზე, რომლის რომაული წყაროების რეცეფციას ვხვდებით მე – 19 საუკუნის ევროპაშიც (თუნდაც ნაპოლეონის კოდექსის სახით). კერძოდ, ფრანგულად მოქალაქეს ეწოდება „ციტუაიენ“, ხოლო მოქალაქეობას – „ქუალიტე ციტუაიენ“, ე.ი. მოქალაქეობის უფლება („ქუალიტე“ – უფლება). მართალია, ფრანგულად ქალაქს „ლა ვილ“ – ს უწოდებენ, ხოლო ქალაქურს „ურბენ“ – ს, მაგრამ ძველი ქალაქის ან ქალაქის ცენტრის ფრანგული სახელწოდებაა „ციტე“, რომელიც „მოქალაქის“ შინაარსითაც იხმარება. მაშასადამე, ფრანგულ ენაში შემონახულია მოქა-

ლაქის ლათინური სახელწოდების ფუძე („ცივი“), რომელიც ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილის მაცხოვრებლის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, ხოლო ამჟამად საფრანგეთის სახელმწიფოს მოქალაქის გამომხატველია.

ინგლისურ ენაშიაც მოქალაქის სახელწოდება ნასესხებია ლათინურიდან და ეწოდება „სიტიზენ“ („ციტიზენ“), ხოლო მოქალაქეობას – „სიტიზენშიფ“. ქალაქს ინგლისურად ეწოდება „სიტი“, რომლიდანაც არის წარმომდგარი მოქალაქის სახელწოდებაც, ორთავე კი უკავშირდება ლათინურ „ცივის“.

გერმანულად მოქალაქეს „ბიურგერი“ ეწოდება („ბურგერ“), რაც იმავე დროს ქალაქის მცხოვრებსაც ნიშნავს. „ბიურგ“-ი გერმანულად ციხე – ქალაქია, ხოლო მრავალ ქალაქს დღესაც ეს დაბოლოება აქვს (ჰამბურგი, ბრანდენბურგი, სტრასბურგი და სხვა). მართალია, ეს სიტყვა ლათინური წარმოშობის არაა, მაგრამ მოქალაქეობა გერმანულ ენაშიაც ქალაქთანაა დაკავშირებული („ბიურგერშაფტ“ – მოქალაქეობა). გერმანულ ქვეყნებში ქალაქი – რესპუბლიკები არ არსებობდა და საერთოდ რესპუბლიკური სახელმწიფოები გერმანულ ხალხებში მოგვიანებით (მე-19 საუკუნეში) წარმოიშვა. ხოლო რაკი მოქალაქეობა დაკავშირებულია სახელმწიფოს რესპუბლიკურ ფორმასთან, ამდენად, გერმანელებში მოქალაქეობაც მოგვიანებით ჩამოყალიბებული ინსტიტუტია.

გერმანელებმა ბევრი რამ გადმოიღეს რომაელებისაგან, მაგრამ მათი სამართლებრივი კულტურა შედარებით ნაკლებად აითვისეს. სამაგიეროდ გერმანელებმა შექმნეს სამართლის დამოუკიდებელი სკოლები (თუნდაც რად ღირს ნორმატივიზმის თეორია), რომლითაც დღესაც ამაყობს გერმანელი ერი. მიუხედავად სამართლებრივი საკუთარი მიმართულებებისა და

განკერძოებულობისა, გერმანელებმა მოქალაქეობის ინსტიტუტის რეცეფცია მოახდინეს სხვა ქვეყნიებიდან (იტალია – საფრანგეთიდან).

ამდენად ევროპის ქვეყნებში მოქალაქეობის ინსტიტუტის წარმოშობა ეყრდნობოდა რომაულ და ბერძნულ კანონმდებლობას, რის გამოც ეს ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთს წააგავს.

აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის დასახელებულ ქვეყნებში მოქალაქეობის დღევანდელი ნამდვილი გაგება დაკავშირებულია რესპუბლიკური სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან. მანამდე კი ამ ქვეყნებში იყო ადამიანების სახელმწიფოსადმი ქვეშევრდომობა. ინგლისში, რომელიც ერთ-ერთ ცივილიზებულ ქვეყნად ითვლება, დიდი ხნის მანძილზე ქვეშევრდომობა იყო შემოღებული, მხოლოდ 80-იან წლებში ინგლისმაც აღიარა მოქალაქეობის ცნება, როცა საჭირო გახდა დომინიონებიდან და უცხო სახელმწიფოებიდან ადამიანების მოზღვაავების შეჩერება. ევროპის ზოგიერთ ქალაქ – სახელმწიფოშიც (ვენეცია, გენუა, ამსტერდამი) შეიმჩნეოდა მოქალაქეობის ძველრომაული პრინციპების შემოღება.

მოქალაქეობისგან განსხვავებით ქვეშევრდომობა პირის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც იგი ექვემდებარება მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლებას, მაგრამ ჯერ კიდევ ნატურალიზაციის უფლება არა აქვს, ე.ი. არ შეიძლება სრულუფლებიანი იყოს სხვა მოქალაქეების თანაბრად<sup>9</sup>. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ქვეშევრდომობის ინსტიტუტი გათანაბრებულია მოქალაქეობის ინსტიტუტთან, რო-

---

9 Parry C. Nationality and Citizenship Laws of the Common \_ Welsh and Ireland. vol. I., L., 1957, p.30



გორც ამას ინგლისში ჰქონდა ადგილი, მაგრამ საბოლოო ჯამში ქვეშევრდომობას ცვლის მოქალაქეობა, რომელიც სამართლებრივად უფრო სრულყოფილი დამოკიდებულებაა პირისა სახელმწიფოსთან. ამჟამად ტერმინი „ქვეშევრდომი“ შედარებით იშვიათად გვხვდება, ისიც ისეთ ქვეყნებში სადაც შემორჩენილია მონარქია და ამ უკანასკნელის მსგავსად ეს ტერმინიც უმეტესად სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

სწორედ ამის გამო იყო, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უარყო ქვეშევრდომის ცნება და შემოიღო ერთიანი მოქალაქეობა საფრანგეთის ძირითადი მოსახლეობისთვის. საქვეყნოდ ცნობილი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (1789 წ.) სწორედ ამას აღიარებდა. საკანონმდებლო წესით მოქალაქეობის ინსტიტუტი პირველად შემოიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როდესაც ჯეფერსონის მიერ შემუშავებული კანონი მიიღო კონგრესმა (1779 წ.). ამ კანონის თანახმად აშშ მოქალაქეებად გამოცხადებულ იქნენ თეთრკანიანი პირები, რომლებიც დაიბადნენ აშშ – ში და პირები, რომლებიც კანონის მიღების დღისათვის იქ ცხოვრობდნენ არანაკლებ 2 წლისა. ნატურალიზებულ ამერიკელებს უნდა განეცხადებინათ სასამართლოში ქვეყანაში საცხოვრებლად მოსვლის შესახებ და დაედოთ ერთგულების ფიცი. შავკანიანებმა მოქალაქეობის უფლება აშშ – ში მოიპოვეს მხოლოდ 1866 წ., ხოლო ალიასკელმა ინდიელებმა – 1924 წ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ კანონმდებლობა გამოარჩევს ე. წ. „სახელმწიფო კუთვნილების“ პირებს. 1952 წლის კანონი იმიგრაციის შესახებ სახელმწიფო კუთვნილების პირებად მიიჩნევს: 1) მათ, ვინც დაიბადა აშშ საგარეო

სამფლობელოების ტერიტორიაზე, 2) ვინც დაიბადა ამ ტერიტორიისა და აშშ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ იმ მშობლებისაგან, რომლებიც არ არიან აშშ მოქალაქენი, მაგრამ არიან „სახელმწიფო კუთვნილების“ უფლების მქონენი და რომლებიც ბავშვის დაბადებამდე ცხოვრობდნენ აშშ-ში ან მის საგარეო სამფლობელოებში, 3) 5 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლების ვინაობა დაუდგენელია და რომლებიც აღმოჩენილ იქნენ ამერიკის საგარეო სამფლობელოს ტერიტორიაზე<sup>10</sup>. ამრიგად, აშშ – ში ჯერაც კი შემორჩენილია ქვეშევრდომობის ინსტიტუტის მსგავსი, რომელიც არსებითად განსხვავდება აშშ მოქალაქეობის ინსტიტუტისაგან.

საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია, აღიარებდა რა საფრანგეთში მცხოვრები ქვეშევრდომების მოქალაქეობას, მიუთითებდა, რომ საფრანგეთში დაბადებული უცხოელები იქცევიან საფრანგეთის მოქალაქეებად. ხოლო 1804 წლის სამოქალაქო კოდექსმა დააზუსტა, რომ მათ ჰქონდათ ოპტაციის უფლება – აერჩიათ საფრანგეთის მოქალაქეობა 2 წლის მანძილზე სრულასაკონების მიღწევის შემდეგ. 1927 წელს საფრანგეთში მიიღეს კანონი სახელმწიფო კუთვნილების შესახებ, რომლითაც გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ითვლებოდნენ სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფებად. ასეთებად მიჩნეულ იქნა საფრანგეთში დაბადებული ბავშვები, რომელთაც დედები ფრანგები ჰყავდათ და აგრეთვე ვისაც უცხოელი დედები ჰყავდათ, შემდგომი უარყოფითი ოპტაციის უფლებით. ეს წესი კი იწვევს საფრანგეთში ბიპატრიზმს, რაც მთელ რიგ სიმძლევებთანაა დაკავშირებული.

---

10 Боярс Ю.Р. Вопросы гражданства в международном праве. М., 1986. стр. 54, 56.

გერმანიაში, როგორც აღვნიშნეთ, მოქალაქეობის ინსტიტუტი მოგვიანებით წარმოიშვა. აქ მეტწილად გაბატონებული იყო დომიცილის პრინციპი. ვიუტემბერგის 1621 წლის კანონით გამოყოფილი იყო ქალაქის მცხოვრებლები — ბიურგერები სხვა ქვეშევრდომებისაგან. ბავარიის 1818 წლის კონსტიტუციაში პირველად ვხვდებით „ინდიგენატის“ ტერმინს. „ინდიგენატის“ სტატუსი მოიპოვებოდა დაბადებითაც და ნატურალიზაციითაც. „ინდიგენატი“ გულისხმობდა პირს, რომელიც უცხოელთან შედარებით მეტი უფლებებით სარგებლობდა ქვეყანაში, იგი ფაქტობრივად გულისხმობდა „სახელმწიფო კუთვნილების პირს“, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა 1870 წლის კანონით სამოკავშირეო და სახელმწიფო კუთვნილების მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ.

გერმანული სახელმწიფოების კანონმდებლობით ქვეშევრდომობა არ ეკარგებოდა პირს, თუ იგი სხვა სახელმწიფოსთან სამართლებრივ კავშირში აღმოჩნდებოდა (სხვის ქვეშევრდომობაში). 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების თანახმად გათვალისწინებული იყო ოპტაცია ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ან გერმანიის სახელმწიფო კუთვნილებისადმი, ხოლო 1920 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებით შემოღებულ იქნა თავისუფალი ქალაქ დანციგის მოქალაქეობა. 1935 წლის 15 აგვისტოს კანონი უკვე ანსხვავებდა იმპერიის კუთვნილების პირებს და იმპერიის მოქალაქეებს. პირველნი მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო მეორენი — სარგებლობდნენ მოქალაქეთა ყველა უფლებით და ღებულობდნენ მოქალაქეობის მოწმობას გერმანული სისხლის ერთიანობის ნიშნის მიხედვით. 1949 წლის კონსტიტუციამ კი კვლავ შემოიღო გერმანიის სახელმწიფო კუთვნილების ინსტიტუტი.

ასეთია მოკლედ მოქალაქეობის წარმოშობა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში. ეს მოკლე მიმოხილვა მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეობის ინსტიტუტი განუწყვეტლივ სრულყოფას განიცდის და დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმთან. მოქალაქეობის წარმოშობას ევროპაში ყველგან წინ უსწრებდა ქვეშევრდომობის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც ტერიტორიული უფლებების მოპოვების სულიკვეთებას შეესაბამებოდა.

საქართველოში მოქალაქეობის წარმოშობის უძველესი პერიოდის მონაცემები ჩვენ არ მოგვეპოვება. არ ვიცით როგორი მოქალაქეობა იყო აიეტის სამეფოში, გონიოს ციხე – ქალაქში თუ სხვაგან. მეტად საინტერესო მასალას თბილისის მოქალაქეობის შესახებ გვაწვდის პროფ. შოთა მესხია<sup>11</sup>.

X -XVI ს.ს. თბილისის მოქალაქედ ითვლებოდა ამ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა – შეძლებული თუ ღარიბი ვაჭარი და ხელოსანი, ასევე თავისუფალი თუ არათავისუფალი ყმა. მოქალაქეობა რომელიმე ცალკეული წრის პატივად ჯერ კიდევ არ იყო მიჩნეული. შ. მესხია აღნიშნავს: „ქალაქში მოსახლე სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო ყმა-ვაჭარებისა და ხელოსნებისაგან გამოყოფილი ქალაქის მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი თანდათან ისაკუთრებს „თბილისელი მოქალაქის“, ან კიდევ „მოქალაქის“ სახელს და სხვა სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო თბილისელ ყმა-ხელოსანთაგან თუ ვაჭართაგან განსხვავებით, „მოქალაქედ“ იწოდება“<sup>12</sup>.

მოქალაქეობაში მიიღებოდა სოფლიდან ქალაქში გადმოსახლებული მეფის, კათალიკოსის, დედოფლის ყმები, რის-

---

11 შოთა მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ.2, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1983 წ., გვ. 296 – 322.

12 იქვე, გვ. 296.

თვისაც საჭირო იყო მეფის ბრძანება, თბილისში მუდმივად დასახლება, უძრავ – მოძრავი ქონების შექმნა, თუნდაც მოქალაქის ქალის შერთვით, და სათანადო სახელმწიფო გამოსაღების გაღება. ბატონიშვილებისა და სხვა მებატონეთა ქალაქში მცხოვრები ყმები მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ. ამგვარ ყმათა მოქალაქედ გადაქცევისათვის საჭირო იყო ყმობისაგან თავის დახსნა ბატონიშვილებისა თუ თავადების თანხმობით. ამის შემდეგ მეფე დაწერდა საგანგებო ბრძანებებს მათი თბილისის მოქალაქედ მიღების შესახებ. მოქალაქედ მიღებული პირი რეგისტრირდებოდა სპეციალურ წიგნში.

სათავადაზნაურო ყმებიც ჯერ უნდა გათავისუფლებულიყვნენ ყმობისაგან ქონების გაღებით ან სხვა საშუალებით და შემდეგ მიიღებდნენ მათ მოქალაქედ. თბილისის მოქალაქის წოდება შეიძლებოდა მიეღო აგრეთვე დაბალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლებსაც (მემუსიკეებს, მენაღარეებს, ზარაფხანის მუშაკებს და სხვ.), რომელთაც მეფის წინაშე გარკვეული დამსახურება უნდა ჰქონოდათ. ასევე შეიძლებოდა თბილისის მოქალაქე გამხდარიყო უცხოეთიდან მოსული ვაჭარიც, მაგრამ ყველასათვის აუცილებელი პირობა იყო თბილისში „ყოველ ჟამიერ (მკვიდრად) მყოფობა“, მეფის წინაშე სხვადასხვა სამსახურის გაწევა და შესაბამისი გამოსაღების გადახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად თბილისელი მოქალაქეები თანასწორნი იყვნენ ყველა უფლებაში. მაგრამ შემდეგში ქონების დაგროვების კვალობაზე დიფერენციაცია მოხდა მათ რიგებში. პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, რომ გვიანფორმალურ საქართველოში „პირველხარისხოვანი“, „საპატიო მოქალაქე“ შეესატყვისებოდა ვახტანგ VI სამართლის წიგ-

ნში მოხსენიებულ „დიდებულ დიდვაჭარ მოქალაქეს“. „პირველხარისხოვანი ვაჭარნი“ მოიხსენიება აგრეთვე ვახტანგ VI ერთ სიგელში, ხოლო „პირველხარისხოვანი მოქალაქენი და ვაჭრები“ ერეკლე II სიგელში<sup>13</sup>. ამასთან პირველხარისხოვნობა შთამომავლობით არ გადადიოდა, რაც არსებითად მოქალაქეობის პრინციპს არ შეესაბამება.

შ. მესხია მიუთითებს, რომ გვარი, წარმომავლობა მოქალაქისათვის პირველხარისხოვნობის წოდების მისაღებად მთავარი მომენტი არ ყოფილა, არამედ აქ გადამწყვეტი იყო დიდი ქონება, აგრეთვე თანამდებობა მეფის კარზე. ობოლი მოქალაქეები გადასახადს არ იხდიდნენ. მოქალაქეებს თავისი საგანგებო ტანსაცმელი, ცხოვრების თავისებური წესი და რიგი ჰქონდათ. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, თბილისელი მოქალაქეები მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს. როგორც პროფ. შ. მესხია დასძენს „მოქალაქეები თბილისში, ასევე მსხვილი ვაჭრები საქართველოს სხვა ქალაქებში, ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ“<sup>14</sup>.

მაშასადამე, ფეოდალურ საქართველოში მოქალაქეობის ინსტიტუტს მისი პოლიტიკური გაგებით ადგილი არ ჰქონდა. ეს იყო მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც შემდეგ შეიძლებოდა საფუძველი გამხდარიყო მოქალაქეობის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად თბილისში თუ მთელ საქართველოში.

---

13 შ. მესხია. დასახ. ნაშრ., გვ. 304.

14 იქვე. გვ. 312.

## თავი II. საქართველოს მოქალაქეობის ცნება

მოქალაქეობის ცნება დაკავშირებულია ბურჟუაზიული რევოლუციების გამარჯვებასთან, როდესაც ქვეშევრდომობა გაუქმდა და შემოდებულ იქნა ადამიანთა თანასწორუფლებიანობა მოქალაქეობის სახით. ფეოდალურ სახელმწიფოში ქვეშევრდომი ნიშნავდა მეფისადმი დამორჩილებას, მისი ხელისუფლების გავრცელებას იმ ადამიანებზე, რომლებიც შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მაგრამ ქვეშევრდომობა მეტწილად შეეხებოდათ ყმა – გლეხებს, ვაჭრებს, ხელოსნებს და საშუალო ფენას (სამხედრო პირებს, აზნაურებს და ა. შ.), რომელთაც გარკვეული ვალდებულებები ეკისრათ მეფის წინაშე. თავადები თუ გრაფები მეფის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ იმდენად, რამდენადაც ისინი მეფეს სიუზერენად მიიჩნევდნენ, ხოლო თავიანთ თავს მეფის ვასალად.

ქვეშევრდომი, როგორც წესი, არ სარგებლობდა პოლიტიკური უფლებებით, არ მონაწილეობდა კანონების მიღებასა თუ სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში. სწორედ ამის გამო იყო, რომ პირველმა ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა გააუქმეს ქვეშევრდომობა და შემოიღეს ერთიანი მოქალაქეობა, რომელიც პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის უფრო სრულყოფილი ფორმაა თავისი პოლიტიკური და სოციალური უფლებებითა და თავისუფლებებით.

იმპერიალიზმის ეპოქაში კვლავ აღორძინდა ქვეშევრდომობის ცნება, რომელიც დაკავშირებული იყო კოლონიური და დამოკიდებელი ქვეყნების მოსახლეობასთან, რომლებიც მონაწილეობას ვერ ღებულობდნენ თავიანთი მეტროპოლიების

პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც აღვნიშნეთ, მოქალაქეობის წარმოშობის საკითხის განხილვისას, კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნების ქვეშევრდომები არ უთანაბრდებოდნენ უფლებებში შესაბამისი სახელმწიფოების მოქალაქეებს, განსაკუთრებით პოლიტიკურ სფეროში. კოლონიური სისტემა მსოფლიოში ძირითადად გაუქმდა 1970 – იან წლებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სსრკს, რომელიც ასევე კოლონიურ პოლიტიკას ეწეოდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ. კოლონიალიზმის დაშლის შედეგად ქვეშევრდომობის ინსტიტუტი გაუქმდა და დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში შემოღებულია მოქალაქეობის ერთიანი ინსტიტუტი თავისი მეტნაკლები სამართლებრივი რეგლამენტაციით.

მოქალაქეობის ინსტიტუტმა იმთავითვე მიიპყრო მრავალი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ყურადღება<sup>15</sup>. განსაკუთრებული პუნქტუალობით იქნა დამუშავებული მოქალაქეობის „სისხლის პრინციპი“ ფაშისტურ გერმანიაში<sup>16</sup>.

მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო აქტები შედარებით მცირეა<sup>17</sup>. ეს სფერო მეტწილად რეგიონალური სახელმწიფოების ყურადღების საგანია. საერთაშორისო ხელშეკრულებები შეეხება ორმაგი მოქალაქეობისა და მოქალაქეობის გარეშე ყოფნის (აპატრიზმი) საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1906 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონვენცია, რომელიც აწესებს ნატურალიზაციის დაკარგვას იმ პირის მიერ, რომე-

---

15 Александренко В.Н. Подданство и натурализация. «Известия Варшавского университета», вып. V, Варшава, 1904; Westlake J. International Law, part I. Camb., 1904 და სხვ.

16 Трайнин И. К вопросу о гражданстве, журн. «Советское государство». 1938. №5, стр. 60.

17 Боярс Ю.Р. Вопросы гражданства в международном праве. М., 1986, стр. 4 – 8.



ლიც ადრინდელი მოქალაქეობის სახელმწიფოში დაბრუნდა. 1928 წლის ბუსტამანტეს კოდექსი, რომლის მონაწილეს 15 ლათინურ-ამერიკული სახელმწიფოა, აწესებს სახელმწიფოების უფლებას თვითონვე განსაზღვრონ მოქალაქეობის საკითხები დომიცილის პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭებით. 1933 წელს ამერიკის სახელმწიფოთა შორის VII კონფერენციაზე მიღებულ იქნა კონვენცია ქალთა მოქალაქეობის შესახებ, რომელიც აწესებს ქალის მოქალაქეობის თანასწორობას მამაკაცის თანაბრად მიუხედავად ქორწინების, განქორწინებისა თუ დაქვრივებისა.

1930 წელს ჰააგის კონფერენციაზე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი კონვენცია, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიის საკითხებს. კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა ყოველი სახელმწიფოს უფლებები თვითონვე განსაზღვროს თავისი ქვეყნის მოქალაქეობის საკითხები და შესთავაზა სხვა სახელმწიფოებს პატივი სცენ ამ მოთხოვნებს. აღნიშნული კონვენცია განახლდა ჰააგაში 1936 წელს. 1950 წელს სკანდინავიის ქვეყნებმა დადეს მრავალმხრივი შეთანხმება მოქალაქეობის საკითხებზე, რითაც გამარტივდა ნატურალიზაცია ამ ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის.

მრავალმხრივ შეთანხმებას მოქალაქეობის საკითხზე წარმოადგენს აგრეთვე 1963 წლის ევროპული კონვენცია ორმაგი მოქალაქეობისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, რომელიც ბიპატრიდებს წინადადებას აძლევს აირჩიონ რომელიმე მოქალაქეობა. კონვენციით ექსპატრიაცია ნებადართულია თუ პირი სამშობლოში არ იმყოფება 10 წლის მანძილზე. პირმა სამხედრო სამსახური უნდა მოიხადოს მხოლოდ

იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს და რომლის ტერიტორიაზედაც იგი მუდმივად ცხოვრობს.

1952 წელს არაბული ქვეყნების მიერ დაიდო კონვენცია არაბების მოქალაქეობის შესახებ, რომელსაც პრაქტიკულად შეუერთდა ყველა არაბული სახელმწიფო. ამ კონვენციით პირი ითვლება იმ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, რომელშიაც იგი დაიბადა. კონვენციამ ასევე აღიარა დენაციონალიზაცია (ექსპატრიაცია) პირისა სხვა სახელმწიფოში მისი ნატურალიზაციის შემთხვევაში. 1954 წელს არაბული ქვეყნების ლიგამ მიიღო ხელშეკრულება მოქალაქეობის შესახებ, რომელმაც გაუადვილა ქალს მოქალაქეობის მიღება, შემოიღო ექსპატრიაციისა და ნატურალიზაციის სანებართვო წესი, ბიპატრიდებს მისცა მოქალაქეობის არჩევანის უფლება, შემოიღო მამის უფლება კანონიერ ქორწინებაში დაბადებულებისათვის და დედის მოქალაქეობა – ქორწინების გარეშე დაბადებულთათვის<sup>18</sup>.

დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ გვევლინება 1997 წლის ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ, რომელიც იძლევა მოქალაქეობის სახელმძღვანელო დეფინიციას და სერიოზულად აფართოვებს სახელმწიფოთა უფლებებს თავად განსაზღვრონ, თუ ვინ ჩაითვლება მოქალაქედ მათივე ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო აქტების სრულყოფა დღესაც გრძელდება, რაც სახელმწიფოთა შორის შეთანხმებისა და დაახლოების შედეგია.

მოქალაქეობის ცნების განსაზღვრისათვის დიდი მნიშ-

---

18 დაწვრილებით იხ. Боярс Ю.Р. Вопросы гражданства в международном праве, М., 1986, стр. 4 -8.

ენელობა აქვს ამ ინსტიტუტის არსის, მისი შინაგანი ბუნების გარკვევას. მოქალაქეობა, უპირველეს ყოვლისა, არის ორმხრივი ურთიერთობა, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ სახელმწიფო და ფიზიკური პირი და იგი შეიძლება წარმოიშვას ორმხრივი ნების საფუძველზე. ამასთან, ამგვარი ურთიერთობის არსებობისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება ისეთ ობიექტურ გარემოებებს, როგორცაა ეთნიკური, რასობრივი თუ ენობრივი ნიშანი, არამედ განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ტერიტორიული ნიშანი და ისეთი სუბიექტური გარემოებები, როგორცაა პირის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, მისი რეალური ინტერესი თვლიდეს თავს ქვეყნის სრულფასოვან წევრად, მზად იყოს მინიჭებული უფლებების განხორციელების პარალელურად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

მოქალაქეობის შესახებ განმარტებას გვაძლევს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1955 წლის გადაწყვეტილება ნოტებომის საქმეზე<sup>19</sup>. ნოტებომს გააჩნდა გერმანიის მოქალაქეობა. 1905 წელს იგი დასახლდა გვატემალაში. 1939 წ. მან მიიღო ლიხტენშტეინის მოქალაქეობა და 1940 წ. დაბრუნდა ისევ გვატემალაში. სასამართლომ უარი უთხრა ლიხტენშტეინს ნოტებომის საერთაშორისო დაცვაზე გვატემალის წინააღმდეგ. ეს უარი სასამართლომ დაასაბუთა იმით, რომ „სახელმწიფოების პრაქტიკის, საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მეცნიერთა შეხედულებების შესაბამისად, მოქალაქეობა წარმოადგენს იურიდიულ პრივილეგიას, რომელსაც ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობების არსებობასთან ერთად საფუძველად უდევს

---

19 The International Court of Justice. UN, N. Y., 1983, p. 18 \_ 19

ერთგულების, არსებობის, ინტერესებისა და გრძნობების მყარი კავშირის სოციალური ფაქტი“ (სასამართლო გადაწყვეტილების მუხ. 6).

მაშასადამე, მოქალაქეობის საერთაშორისო ცნებაში გამოიყოფა შემდეგი მთავარი მომენტები: უპირველეს ყოვლისა მოქალაქეობა არის იურიდიული პრივილეგია, რომელიც ადამიანს ენიჭება ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ. ეს პრივილეგია არ შეიძლება გააჩნდეს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონეს. ამიტომ მოქალაქეობის ცნება უშუალოდ გამოხატავს მოცემული სახელმწიფოს მოქალაქის იურიდიულად პრივილეგირებულ მდგომარეობას სხვა მოქალაქეებთან შედარებით. მოქალაქეთა იურიდიულ პრივილეგიებს საფუძვლად უდევს სოციალური სინამდვილე სახელმწიფოსთან მოქალაქის ერთგულების, პირადი არსებობის, პირადი ინტერესებისა და გრძნობების მყარი კავშირისა. ამ მყარი კავშირის სხვადასხვა კრიტერიუმები განაპირობებენ მოქალაქის იურიდიულად პრივილეგირებულ მდგომარეობას. სახელმწიფოსთან ინდივიდის ფაქტობრივი კავშირი შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფოსადმი მის ერთგულებაში, მისი პირადი ცხოვრების, პირადი ინტერესებისა და გრძნობების სახელმწიფოსადმი დაკავშირებაში.

საგულისხმოა ისიც, რომ მოქალაქეობა დაკავშირებულია როგორც მოქალაქის, ისე სახელმწიფოს უფლებებისა და მოვალეობების არსებობასთან. სახელმწიფო უნდა იცავდეს თავის მოქალაქეებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე განსაკუთრებით მის ფარგლებს გარეთაც, ხოლო მოქალაქე თავის მხრივ მზად უნდა იყოს გაუწიოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სამსახური სახელმწიფოს.

მოქალაქეობის ასეთი ცნება პრინციპში აღიარებულია პროგრესულ იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში. პროფ. ლევან ალექსიძე აღნიშნავს: „მოქალაქეობა სახელმწიფოებრივი მოვლენაა. იგი გულისხმობს სახელმწიფოსთან ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს, რომელიც: ა) წესდება მოცემული სახელმწიფოს მიერ, ბ) ხასიათდება მხარეთა ურთიერთობის სიმტკიცით და გ) შეიცავს სახელმწიფოსა და პირის უფლებებსა და მოვალეობებს. ამ ურთიერთობის სიმტკიცე გამოიხატება იმაში, – განაგრძობს ლ. ალექსიძე, – რომ მოქალაქე ინარჩუნებს კავშირს თავის სახელმწიფოსთან სიკვდილამდე, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს ის სამშობლოში თუ საზღვარგარეთ“<sup>20</sup>.

მოქალაქეობის ამ განმარტებაში ხაზგასმულია მოქალაქის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან. ავტორი მიუთითებს, რომ ეს კავშირი არის მუდმივი, ვიდრე ცოცხალია მოქალაქე. ამ სამართლებრივი კავშირის კონკრეტული შინაარსი აქ განმარტებული არ არის, მაგრამ იგულისხმება, რომ იგი ორმხრივია, რომ უფლებები და მოვალეობები პირსაც და სახელმწიფოსაც აქვთ დაკისრებული.

სახელმწიფოსთან მოქალაქის სამართლებრივი კავშირის შინაარსი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სახელმწიფოსადმი ერთგულების, არსებობის, ინტერესებისა და გრძნობების სახელმწიფოსთან დაკავშირების სახით, არამედ მისი პოლიტიკური ინტერესების დაცვის, ეკონომიკური ძლიერების, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის სახითაც. მაგრამ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები შე-

---

20 ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, თსუ, 1995. გვ. 185.

იძლება საერთო იყოს როგორც მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ისე უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვისაც. ამიტომ სახელმწიფოსთან მყარი კავშირი, რომელიც მოქალაქეს ახასიათებს, გამოიხატება სწორედ ერთგულებაში, არსებობის, ინტერესებისა და მისწრაფებების სახელმწიფოსთან დაკავშირებაში.

სწორედ ის გარემოება, რომ უცხოელი არ არის ვალდებული იყოს მოცემული სახელმწიფოს ერთგული, რომ მისი მისწრაფებები, ინტერესები და არსებობა დაკავშირებულია არა მოცემულ ქვეყანასთან, არამედ თავის სამშობლოსთან, სწორედ ეს გარემოება განასხვავებს უცხოელს მოცემული ქვეყნის მოქალაქისაგან. ამ მომენტებზე ყურადღების გამახვილება მოქალაქეობის დამახასიათებელი ნიშანია.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტორი ასე არ განმარტავს მოქალაქეობის ცნებას. მაგალითად, ვ. მ. საფრონოვი აღნიშნავს, რომ „სსრკ მოქალაქეობა გულისხმობს პირის კუთვნილებას საბჭოთა სახელმწიფოსადმი, მის მყარ სამართლებრივ კავშირს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოსთან, რომლის ძალითაც, პირს გააჩნია უფლებები და ეკისრება ვალდებულებები განმტკიცებული სსრკ კონსტიტუციითა და კანონებით, აგრეთვე, აქვს უფლება მოითხოვოს თავისი ინტერესების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ“<sup>21</sup>.

უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობა პირის თავისუფლებასთანაა დაკავშირებული და იგი არ შეიძლება სახელმწიფოს განეკუთვნებოდეს («принадлежность лица к Советско-

---

21 Сафронов Р.М. Конституция СССР и советское гражданство. М., 1984. стр. 8.

му государству»). მოქალაქე თუ სახელმწიფოს კუთვნილებაა, იგი მოქალაქე კი არაა, მონაა. და მართლაც, საბჭოთა მოქალაქე საბჭოთა სახელმწიფოს მონა უნდა ყოფილიყო. მეორეც, მოქალაქის მყარი კავშირი სახელმწიფოსთან როდი განაპირობებს პირის კონსტიტუციურ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც კონსტიტუციაშია ჩაწერილი – შეიძლება გამოიყენოს უცხოელმაც. კონსტიტუცია მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს როდი აჯილდოებს უფლებებით, იგი ამ ქვეყანაში მცხოვრებს სხვა პირებსაც (უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებსაც) გააჩნიათ, მართალია, მეტ-ნაკლები მოცულობით, მაგრამ მაინც გააჩნიათ. საბჭოთა წყობილების დროს საბჭოთა ქვეყანაში ყველა შემოსული უცხოელი ჯაშუშად იყო მიჩნეული, რომელთა უფლებებზედაც საბჭოთა ხელისუფლება არ ზრუნავდა. ამიტომაც, რომ ეს საბჭოთა ავტორი სხვა მრავალ საბჭოთა ავტორების მსგავსად, მხოლოდ საბჭოთა მოქალაქეებს მიიჩნევს სსრკ კონსტიტუციის სუბიექტებად, რის გამოც, კონსტიტუციური უფლება – მოვალეობანი მათ საბჭოთა მოქალაქეობიდან გამოჰყავთ, რაც სრულიად მიუღებელია.

რაც შეეხება საბჭოთა მოქალაქეების ინტერესების დაცვას საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, საზღვარგარეთ საბჭოთა სახელმწიფო თავის მოქალაქეებს იცავდა იმდენად, რამდენადაც ისინი საბჭოთა დაზვერვის აგენტები იყვნენ უცხოეთში. სხვა შემთხვევაში საზღვარგარეთ წასული საბჭოთა მოქალაქე დაუყოვნებლივ იცვლიდა საბჭოთა მოქალაქეობას, რაც საბჭოთა ქვეყნის ლალატს ნიშნავდა საბჭოთა კანონებით. ამრიგად,

საბჭოთა კონცეფცია მოქალაქეობის შესახებ არასწორია და გაუმართლებელი<sup>22</sup>.

საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის პრეამბულაში მოცემულია მოქალაქეობის განმარტება. მასში აღნიშნულია: „მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ – სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება – მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას“<sup>23</sup>.

ამ განმარტებაში სავსებით სამართლიანადაა ხაზგასმული, რომ მოქალაქეობა ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას. მოქალაქეობის ინსტიტუტი შემოღებულია ბურჟუაზიული რევოლუციების დროს, როგორც ადამიანთა თანასწორობისა და თავისუფლების გამომხატველი ინსტიტუტი. ამიტომ, ბუნებრივია, მოქალაქეობა მაშინაა სამართლებრივად აღიარებული, როდესაც უზრუნველყოფილია ადამიანის ღირსების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სწორედ ასეთ პირობებშია შესაძლებელი მოქალაქემ სრულყოფილად გამო-

---

22 Бойцов В.Я. К вопросу о понятии гражданства как государственно-правового отношения. М., 1982; Боярс Ю.Р. Законодательство о советском гражданстве. ЛГУ, 1979; Вилков Г.Е. Законодательство СССР и международные отношения по вопросам гражданства. М., 1964; Волин Б.М. Гражданин СССР. М., 1938; Гайдуков Д.А. Гражданство СССР. М., 1940; Есаян А.А. Некоторые вопросы советского гражданства. Вопросы населения в практике Советской Армении. Ереван, 1966; Кишкин С.С. Советское гражданство. М., 1925; Кулик Р.И. Закон о гражданстве СССР. М., 1980; Лысенко С.Л. Советское гражданство. Киев, 1983; Сафонов В.М. Конституция СССР и советское гражданство. М., 1984; Шевцов В.С. Гражданство в советском союзном государстве. М., 1969; его же: Гражданство СССР. М., 1980 и др.

23 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ. 27 მარტი.



იყენოს თავისი უფლებები, განავითაროს თავისი ნიჭი და უნარი როგორც საკუთარ სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

თუ ქვეყანაში სახელმწიფო არ იცავს ადამიანის ღირსეუბებს, უფლებებსა და თავისუფლებებს, მაშინ მოქალაქეობა გადაიქცევა, როგორც საბჭოთა მეცნიერი ა. ი. ლეპიოშკინი წერს, „მართლაცდა ფიზიკური პირის კუთვნილებად განსაზღვრული სახელმწიფოსადმი, რომლის ძალითაც მოცემულ პირზე ვრცელდება სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება როგორც მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში, ისე მის საზღვრებს გარეთაც“<sup>24</sup>, ე.ი. ასეთი პირი სახელმწიფოს მონად იქცევა, რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფოს დამთრგუნველი სუვერენული ხელისუფლება.

სუვერენული ხელისუფლების გავრცელება მოქალაქეზე სწორედ მის დათრგუნვას ნიშნავს, ვინაიდან სუვერენული უფლებამოსილებით სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში და არა თავის მოქალაქეებთან ურთიერთობებში, სადაც აღიარებული უნდა იყოს მოქალაქის დემოკრატიული უფლებები თვით სახელმწიფოს სუვერენული უფლებამოსილების შეცვლის მოთხოვნამდეც კი, რაზედაც მიუთითებს საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-7 მუხლიც. მაშასადამე, ადამიანის დემოკრატიული უფლებამოსილებების დაცვის აღიარება მოქალაქეობის აუცილებელი ატრიბუტია, და ამიტომ მოსაწონია საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონში ამ მომენტისათვის ზაზის გასმა.

---

24 Лепешкин А.И. Курс советского государственного права. т. I. М., 1961. стр. 457.

რაც შეეხება ორგანულ კანონში მოცემულ სხვა მონაცემებს, ისინი ან ზედმეტია ან არასწორია. კერძოდ, არაზუსტია მოქალაქის პოლიტიკურ – სამართლებრივ კავშირზე მითითება სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. მოქალაქეობის ინსტიტუტი პირველ რიგში სამართლებრივი ინსტიტუტია. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიაც, როგორც აღვნიშნეთ, მოქალაქის სახელმწიფოსთან კავშირი მიჩნეულია იურიდიულ პრივილეგიად, სხვა ავტორებიც მხოლოდ სამართლებრივ კავშირზე ამახვილებენ ყურადღებას<sup>25</sup>. მოქალაქეობა სწორედ იურიდიული კატეგორიაა, იგი დაკავშირებულია მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ ურთიერთობებთან. მოქალაქეობის არსი სწორედ ისაა, რომ ადამიანი – მოქალაქე სამართლებრივად უკავშირდება სახელმწიფოს, მისგან იღებს იურიდიულ პრივილეგიას – დაცულ იქნეს ყველგან და ყველაფერში.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამართალი საკმარისად შეიცავს პოლიტიკურ ელემენტს (იგი თავისთავად პოლიტიზებულია, რადგან გამოხატავს სახელმწიფოს ნებას). თუ მოქალაქე იცავს თავისი ქვეყნის კანონმდებლობას, ეს უკვე სავსებით საკმარისია სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და მისი დამატებით პოლიტიზირება ადამიანის უფლების შემლახველია. ყოველ ადამიანს აქვს უფლება გააჩნდეს საკუთარი პოლიტიკური შეხედულება, თუნდაც იგი არ ემთხვეოდეს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს და ამის გამო მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ან სხვაგვარი დევნა დაუშვებელია, რადგან ეს აშკარად ეწინააღმდეგება საერ-

---

25 ლ. ალექსიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 185; ვ. გივილაშვილი, მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი, ჟურნ. „სამართალი“ 1993 წ. № 5 – 6, გვ. 32; Hackworth G.H. Digest of International Law. vol. III, Wash., 1942, p. 25

თაშორისო ნორმებს ადამიანის უფლებების სფეროში.

მოქალაქეობის პოლიტიზირება საბჭოთა ეპოქისათვისაა დამახასიათებელი, როდესაც მოქალაქე წარმოდგენილი იყო არა პირადი უფლებებითა და ინტერესებით, არამედ „გასახელმწიფოებრივებული“ ინტერესებით, როდესაც თითქოს საბჭოთა მოქალაქე საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებით გამოდის. ი.რ. ბოიარსი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „მოქალაქეობა არის არა ფორმალურ – იურიდიული კატეგორია, არმედ განუწყვეტლივ და მუდმივად მოქმედი პოლიტიკურ – სამართლებრივი კავშირი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის“<sup>26</sup>. სამართლებრივი კატეგორიების ფორმალურ – იურიდიული ხასიათის უარყოფა წარმოადგენს სწორედ თვითნებობის გამოვლინებას, როდესაც სამართალი მიზანშეწონილობისა და პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამოჰყავთ. მოქალაქეობის შემთხვევაშიც მოქალაქის კავშირი სახელმწიფოსთან წარმოდგენილი იყო არა როგორც მყარი, ეფექტური კავშირი მათ შორის, არამედ როგორც პოლიტიკასთან დაკავშირებული ურთიერთობა, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში უარსაც კი ამბობდა საბჭოთა მოქალაქის დაცვაზე, უარყოფდა რა მის საბჭოთა მოქალაქეობას. ამიტომ მოქალაქის სახელმწიფოსთან კავშირის პოლიტიკურ კავშირად მიჩნევა წარმოადგენს მოქალაქის უფლებების უგულებელყოფას და სახელმწიფოს პოლიტიკაში მის ჩაბმას სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო კი არ ზრუნავს მოქალაქის დასაცავად, არამედ პირიქით, მოქალაქე ვალდებული ხდება იზრუნოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის, რაც მოქალაქე-

---

26 Боярс Ю.Р. Вопросы гражданства в международном праве. М., 1986. стр. 20.

ობის დემოკრატიულ გაგებას არ წარმოადგენს.

საქართველოს მოქალაქეობის ცნებაში აღნიშნული მომენტის უსწორობა უკავშირდება მეორე ასევე არასწორ მომენტს, კერძოდ, იმას, რომ სახელმწიფოსთან მოქალაქის კავშირი გამოიხატება „ურთიერთსანაცვლო უფლება – მოვალეობათა ერთიანობით“. არ შეიძლება მოქალაქესა და სახელმწიფოს ურთიერთსანაცვლო უფლება – მოვალეობები ჰქონდეთ. სახელმწიფოს უფლებები მოქალაქის მიმართ შეიძლება გამოიხატოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოთხოვნაში, გადასახადების დაკისრებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესრულების ვალდებულებაში და სხვ. ყოველივე ეს სახელმწიფოს უფლებებია და მოქალაქის ვალდებულებები, ურთიერთსანაცვლო ურთიერთობებზე საუბარი აქ გამორიცხულია.

მოქალაქეს სახელმწიფოს მიმართ გააჩნია რიგი უფლებები, კერძოდ, შეუძლია მოითხოვოს ფიზიკური, სოციალური თუ ზნეობრივი ხელყოფისაგან დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ცხოვრებისა და შრომისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, პოლიტიკური და პირადი თავისუფლების მაქსიმალური დაცვა და ა. შ. ამ შემთხვევაში საუბარია სახელმწიფოს მოვალეობებზე და არა უფლებებზე. უფლება – მოვალეობათა ურთიერთსანაცვლო ხასიათი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში არ შეიძლება არსებობდეს.

თუ ჩვენ მოქალაქის ზემოაღნიშნულ უფლებებს სახელმწიფოს სანაცვლოდაც მივიჩნევთ, მაშინ მოქალაქეს არავითარი უფლებები აღარ დარჩება და თვით სახელმწიფო განსაზღვრავს მოქალაქის პირად, სოციალურ თუ პოლიტი-

კურ მოთხოვნებს, მათ ფარგლებს და მათი განხორციელების საშუალებებს, როგორც ეს საბჭოთა მოქალაქის მიმართ იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთსანაცვლო უფლება — მოვალეობები რომ ვაღიაროთ, მივიღებთ ერთგვარ სამართლებრივ შეუსაბამობას. საქმე ისაა, რომ ურთიერთსანაცვლო უფლება — მოვალეობები წარმოიშობა კერძო სამართლებრივი ურთიერთობისას, რაც გულისხმობს, რომ ერთი მხარის უფლება განაპირობებს მეორის მოვალეობას და პირიქით, მაგალითად, ერთი მხარე ვალდებულია გარკვეული მომსახურების სანაცვლოდ გარკვეული თანხა გადაუხადოს მეორე მხარეს. მოქალაქეობა კი საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია და, ამდენად, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთსანაცვლო უფლება — მოვალეობებს თავისთავად არ წარმოშობს. სახელმწიფო მოქალაქის უფლებებს აღიარებს და იცავს მიუხედავად იმისა ასრულებს თუ არა იგი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ მოქალაქეობის განმარტებაში, რომელიც მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში, იურიდიული ნონსენსია დაშვებული, რაც სამართლებრივ უზუსტობას არ შეიძლება მივაკუთვნოთ. რასაკვირველია, მოქალაქეობის ცნებაში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა, სადაც სახელმწიფოს უფრო მეტი მოვალეობები ეკისრება, ხოლო მოქალაქეს უფრო მეტი უფლებები მიენიჭება, მაგრამ ეს უფლებები და მოვალეობები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ურთიერთსანაცვლო.

ყოფილი სსრ კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაშიაც, სამწუხაროდ, იგივე იურიდიული ნონსენსია მოცემული მოქა-

ლაქეობის ცნების განმარტებაში. კერძოდ, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის 1991 წლის 28 ნოემბრის „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის პრეამბულაში ჩაწერილია: „მოქალაქეობა არის სამართლებრივი კავშირი ადამიანისა სახელმწიფოსთან, რომელიც გამოიხატება მათი ურთიერთსანაცვლო («ВЗАИМНЫХ») უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობაში, რაც ემყარება ადამიანის ღირსებების, ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების აღიარებას და პატივისცემას“<sup>27</sup>. როგორც ვხედავთ, აქაც იგივე ურთიერთსანაცვლო უფლებებზე და მოვალეობებზეა ყურადღება გამახვილებული, ამასთან დამატებულია ურთიერთსანაცვლო პასუხისმგებლობის მომენტი, რაც ირონიას იწვევს, ვინაიდან სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქის წინაშე იურიდიული გაუგებრობაა, რადგან სამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ სახელმწიფოსა და მისი ორგანოების წინაშე პასუხისმგებლობას გულისხმობს, რამდენადაც სამართალი თვით სახელმწიფოს მიერაა შემოღებული.

კანონში შეიძლება მითითებული ყოფილიყო სახელმწიფოს ვალდებულებებზე მოქალაქის წინაშე. მაგრამ დღევანდელი რუსეთის კანონმდებლობის არადემოკრატიული, პროსაბჭოური ხასიათის არსი სწორედ იმაშია, რომ იურიდიული ნონსენსების, იურიდიული უაზრობების მეშვეობით შემოიღოს არადემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუტები მოქალაქეების სახელმწიფოს წინაშე მუდმივი იურიდიული პასუხისმგებლობის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ყოფილი მოკავშირე

---

27 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. М.М., 1996: стр. 280.

რესპუბლიკა გაურბის მოქალაქეობის ცნების განმარტებაში ზემოაღნიშნულ უსწორობებს. მაგალითად, ბელორუსიის რესპუბლიკის 1991 წლის 18 ოქტომბრის „რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის პირველსავე მუხლში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეობა განუყოფელი ატრიბუტია რესპუბლიკა ბელორუსის სახელმწიფო სუვერენიტეტისა, რაც განაპირობებს პირის „უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას და მათ დაცვას რესპუბლიკა ბელორუსის მხრივ“<sup>28</sup>.

რასაკვირველია, მოქალაქეობა პირის უფლებებისა და მოვალეობების, მისი უფლებრივი სტატუსის საფუძველია. მოქალაქეობა განამტკიცებს პირის ყველა იმ შესაძლებლობას, რაც ქვეყნის კონსტიტუციითა და ორგანული კანონმდებლობითაა განსაზღვრული. მოქალაქეობის აღიარებისას სახელმწიფო თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას პირის უფლებრივი სტატუსის დაცვაზე, იმ უფლებების განხორციელებაზე, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს თავის მოქალაქეებს. სხვაგვარად მოქალაქის უფლებრივი სტატუსი ფიქცია იქნებოდა. ამიტომ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ბელორუსიის რესპუბლიკის ზემოთმოყვანილი კანონის მითითება იმაზე, რომ მოქალაქეობა უსათუოდ გულისხმობს პირის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას და სახელმწიფოს ზრუნვას მათ დაცვაზე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული სახელმწიფოების კანონმდებლობაში არაა განმარტებული მოქალაქეობის ცნება, ვინაიდან იგუ-

---

28 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. М., МОМ, 1996 г. стр. 50-60.

ლისხმება, რომ იგი არის პიროვნებისა და სახელმწიფოს მყარი ეფექტური კავშირი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ზრუნვას პიროვნების დაცვაზე, მისი უფლებრივი სტატუსის განხორციელებაზე. ყოფილი სსრ კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების (უმეტესობის) მოქალაქეობის კანონმდებლობაში მოქალაქეობის ცნების განმარტებებში არადემოკრატიული მომენტების შეტანა განპირობებულია ამ სფეროში გამოცდილების ნაკლებობით. ამ ახალმა კანონმდებლობამ ზოგიერთ ასპექტში კვლავ შეინარჩუნა ნიჰილისტური დამოკიდებულება ადამიანების ბედ-იღბლის საკითხებში, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადამიანთა დიდი მასის მოქალაქეობის არმქონე პირებად გადაქცევა, რომელთაც ადრე სსრკ მოქალაქეობა გააჩნდათ.

ჩვენი კანონმდებლობის სწორედ ამ ნაკლოვანებაზე მიუთითებს ევროპის რეგიონალური ბიუროს საერთაშორისო დაცვის განყოფილების უფროსი მრჩეველი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იურიდიულ საკითხებში მიშელ იონა – პრატი თავის წინასიტყვაობაში გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ მომზადებული მასალისათვის „კანონები მოქალაქეობის შესახებ ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში“<sup>29</sup>.

უკვე მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე არ უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოსა და მოქალაქეს ერთმანეთთან მიმართებაში უფლებები და მოვალეობები არ გააჩნიათ. რა

---

29 Мишель Йона-Прат, «Гражданство и международное право» в изд. Материалы семинара по вопросам гражданства, МОМ, Лагосмыс 1993г., стр. 19-22; Мишель Йона-Прат, «Безгражданство в международном праве» в изд. Материалы семинара по вопросам гражданства, безгражданства и статуса иностранцев в государствах СНГ и Балтии, МОМ, Хельсинки, 1994 г. стр. 31-45.



თქმა უნდა, ასეთი უფლება – მოვალეობები არსებობს, მაგრამ ისინი უნდა მივიჩნიოთ არა ურთიერთსანაცვლოდ, არამედ ორმხრივ უფლება -- მოვალეობებად, რაც ყოველთვის იჩენს თავს ორ სამართალსუბიექტს შორის ურთიერთობისას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი უზუსტობის შესახებ. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის პრეამბულაში მოცემული განმარტების მიხედვით, „მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ – სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან.“ აქ ერთგვარად გაუგებარია რა მიზანს ისახავს კანონმდებელი – გვაძლევს მოქალაქეობის, როგორც სამართლის ინსტიტუტის ზოგად განმარტებას, თუ აყალიბებს კონკრეტულად საქართველოს მოქალაქეობის ცნებას. პირველ შემთხვევაში შეცდომაა „საქართველოს სახელმწიფოზე“ მითითება, რადგან ზოგადი გაგებით მოქალაქეობა გულისხმობს პირის კავშირს ნებისმიერ სახელმწიფოსთან და არა მხოლოდ საქართველოსთან. თუმცა აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიზანს სულაც არ წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ტერმინთა არსის ახსნა, არამედ, მისი კომპეტენციის შესაბამისად, მხოლოდ ქართული მოქალაქეობის ცნებაზეა მასში საუბარი. ამ შემთხვევაში კი საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ საქართველოს მოქალაქეობა ნიშნავს პირის კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან.

ამდენი სადაო მომენტის არსებობა ესოდენ მცირე მოცულობის საკანონმდებლო დეფინიციაში, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოქალაქეობის ინსტიტუტის ღრმა შინაგან ბუნებასა და დიდ მნიშვნელობას. სწორედ ამიტომაცაა, რომ მრავალი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა დუმილს არჩევს და

თავს არიდებს მოქალაქეობის ცნების განსაზღვრის პასუხისმგებლობას. თუმცა, მსგავსი პრეტენზიის არსებობაც არ უნდა ჩავთვალოთ დიდ შეცდომად, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს გამოთქმული შენიშვნები შესაძლო უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით.

## თავი III. ფილიაციით მოქალაქეობის პირობები საქართველოში

### §1. მოქალაქეობის მოპოვების არსი

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-2 თავი საქართველოს მოქალაქეობისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ იწყება სწორედ საქართველოს მოქალაქეობის საკითხებით (მუხ. 12, მუხ. 13), რითაც ხაზი აქვს გასმული ამ ინსტიტუტის უდიდეს მნიშვნელობას. მოქალაქეობა, როგორც უძველესი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტი, ყოველთვის იქცეოდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რის გამოც მისი რეგულირება ხდება არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. ამ კუთხით დაინტერესება ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება, თუმცა, სამწუხაროდ, მისი აქტუალურობა სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის გააზრებული პრაქტიკოს — სპეციალისტთა თუ მეცნიერ — იურისტთა მიერ, რაც იწვევს ამ სფეროში არსებული გამოკვლევების სიმცირეს.

მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ძირითადია მოქალაქეობის მოპოვების საკითხი, რაზეც გვინდა ამჟამად შევჩერდეთ.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველ რედაქციაში ყურადღება გამახვილებული იყო საქართველოს მოქალაქეობის შეძენაზე (მუხ. 50)<sup>30</sup>. სიტყვა „შეძენა“ გარკვეულ უხერხულობას წარმოშობდა, ვინაიდან იწვევდა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ასოციაციებს, თითქოს გარკვეული საფასურის გაღების გზით უნდა

30 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 მარტი, 1993.

მომხდარიყო საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ამ შთაბეჭდილებას ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების განხილვისათვის განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს სათანადო გადასახადი – სახელმწიფო ბაუი.

ზოგჯერ ამ სიტყვის გამოყენებას რუსულ ენაში არსებული შესატყვისი სიტყვების „приобретение гражданства~ არასწორ თარგმანსაც უკავშირებდნენ. თუმცა ცნობილია, რომ „приобретение~ მხოლოდ ყიდვას არ ნიშნავს, უფრო ფართო შინაარსის ტერმინია და რაიმეს მოპოვების სხვა გზასაც გულისხმობს.

რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პირობების შესყიდვასთან დაკავშირება არასწორია და, რბილად რომ ვთქვათ, ერთგვარად შეურაცხყოფელია კიდევც.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ უარი თქვა სიტყვა „შეძენაზე“ და მის ნაცვლად დაამკვიდრა ტერმინი „მოქალაქეობის მოპოვება“, რის გამოც შესაბამისი ცვლილება განიცადა ორგანულმა კანონმაც<sup>31</sup>.

ეფექტობთ, ასეთი მიდგომა უფრო გამართლებულია. სიტყვა „მოპოვება“ არ გამორიცხავს ქართული მოქალაქეობის მიღებისათვის საჭირო გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობას და იმავდროულად აგვაცილებს მოქალაქეობის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად მიჩნევის საშიშროებას. ამასთან, „მოპოვება“ გულისხმობს როგორც სახელმწიფოს, ისე პიროვნების მხრიდან ორმხრივი თანხმობის არსებობასაც და უშვებს შესაძლებლობას, ხშირ შემთხვევაში ფიზიკურ პირს მიენიჭოს ინიციატივის გამოჩენის უფლება

---

31 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 1996.

ანუ აქტიური როლი, ხოლო სახელმწიფოს შედარებით პასიური როლი დაუტოვოს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით. მოქალაქეობის მოპოვების მეტ შესაძლებლობებს ითვალისწინებს ორგანული კანონი. კერძოდ, მე-10 მუხლის მიხედვით, პირი საქართველოს მოქალაქე შეიძლება გახდეს, როგორც დაბადებითა და ნატურალიზაციით, ისე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

განხილულ მუხლებს შორის ერთგვარი სხვაობა არ შეიძლება განიმარტოს როგორც წინააღმდეგობა კანონსა და კონსტიტუციას შორის, რადგან კონსტიტუციის იმავე მუხლის მე-3 პუნქტი აცხადებს, რომ მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. მაშასადამე, ქვეყნის უზენაესი ნორმატიული აქტი თავად ანიჭებს ორგანულ კანონს ქართული მოქალაქეობის მოპოვების შესაძლებლობათა გაფართოების უფლებას, რაც სავსებით გამართლებულია. მოქალაქეობის მიღების გზების სიმრავლე და მრავალსახეობა კანონმდებლობას უფრო მოქნილს, დემოკრატიულს და ღირებულს ხდის, უნარჩუნებს მას შემდგომი სრულყოფის პერსპექტივას.

## §2. დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების პირობები საქართველოში

მოქალაქეობის მოპოვების გზებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფილიაციას, ანუ მოქალაქეობის მოპოვებას დაბადებით. სხვადასხვა სახელმწიფოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფილიაცია მოქალაქეობის მიღების ყველაზე გავრცელებულ და, შეიძლება ითქვას, სასურველ სახეს წარმოადგენს. მისი როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობაში გარკვეულ სხვაობასაც კი წარმოშობს. კერძოდ, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება მხოლოდ დაბადებით ამ ქვეყნის მოქალაქეებს გააჩნიათ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით პრეზიდენტის პოსტის დაკავება შეუძლია მხოლოდ დაბადებით აშშ-ს მოქალაქეს, ნატურალიზებულ პირს კი ასეთი უფლება არა აქვს.

ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ანალოგიური მოთხოვნა, ზოგიერთი დამატებით, მოცემულია ჩვენი კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც აწესებს, რომ პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში. ეტყობა, ამ პატარა ქვეყნის პრეზიდენტობა იმდენად რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რომ მისი შესრულებისათვის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა

არ კმარა და სხვა ისეთი დამატებითი მოთხოვნების დაცვაა საჭირო, როგორცაა საქართველოში არანაკლებ 15 წელი ცხოვრება და არჩევნების დღისათვის საქართველოში მობინადრეობა.

ცხადია, ეს ორი უკანასკნელი პირობა, რბილად რომ ვთქვათ, ხელოვნურია და მხოლოდ სახელმწიფოს უსუსურობას უსვამს ხაზს. ვფიქრობთ, მოქალაქეობა იმდენად დიდი მნიშვნელობის შემცველი მომენტია პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში, რომ იგი სავსებით საკმარისი უნდა იყოს და ფარავდეს ზემოაღნიშნულ არაარსებით მოთხოვნებს.

მართლაც, თუ პიროვნება დაბადებიდან 35 წლის ასაკამდე არ წყვეტს, არამედ ცნობს და აგრძელებს იურიდიულ-სამართლებრივ თუ ფაქტობრივ კავშირს სახელმწიფოსთან, ინარჩუნებს მისდამი ერთგულების გრძნობას, რაღა მნიშვნელობა აქვს, სად იცხოვრებს იგი. ამასთან, დაბადებით მოქალაქე, რომელიც 15 წლამდე ცხოვრობდა საქართველოში, შემდგომ გადასახლდა საზღვარგარეთ, სადაც დაპყრო 35 წლამდე, ე.ი. 20 წელი და არჩევნების დანიშვნის დღისათვის ისევ დასახლდა საქართველოში და, ამდენად, ფორმალურად აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შეიძლება ჩაითვალოს თუ არა ქვეყნის მეთაურის პოსტზე სასურველ კანდიდატად? თუ შეიძლება, მაშინ რატომ არ შეიძლება სამი წლის უკან საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ სხვა კეთილშობილური მიზნით წასული და იქ მყოფი პირი იყოს სასურველი კანდიდატი?

გამოდის, რომ ან ამომრჩეველს – საქართველოს მოსახლეობას – არ შესწევს უნარი სწორად შეაფასოს შეძლებს

თუ არა ესა თუ ის მოქალაქე ქვეყნის ხელმძღვანელობას, ან არჩევნების ობიექტურობა იწვევს ეჭვს. ყოველ შემთხვევაში, გაკრიტიკებული მოთხოვნების საკანონმდებლო წესით დამკვიდრება მოქალაქეობის ინსტიტუტის უაღრესად დიდი მნიშვნელობის დაკნინებას იწვევს, რაც მიუღებელია.

მოქალაქეობის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის შესწავლით ცხადი ხდება, რომ დაბადებით მოქალაქე განსაკუთრებით ძვირფასია სახელმწიფოსათვის. ეს განაპირობებს კანონმდებლობაში დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების გაცილებით მეტი შესაძლებლობების გათვალისწინებას, ვიდრე ნატურალიზაციით. კანონმდებელი აშკარად ცდილობს, ხელიდან არ გაუშვას ფილიაციის განხორციელების სულ მცირე შანსიც კი. რატომღაც ასეთი მოქმედება, განსაკუთრებით „სისხლის პრინციპის“ გაძლიერება, ზოგიერთი მეცნიერის მიერ არასწორადაა შეფასებული. კერძოდ, ისინი თვლიან, რომ ეს გარემოება გამოწვეულია სახელმწიფოს ხელისუფლების უსაფუძვლო გაფართოებით და გულისხმობს პიროვნების ნების, მისი სურვილის იგნორირებას.<sup>32</sup>

ძნელია ასეთი მოსაზრების გაზიარება. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მოქალაქეთა გარეშე არ არსებობს, მათი სიმრავლე კი ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი პირობაა და, ამდენად, ხელისუფლების დაინტერესება ამ მხრივ სავსებით ბუნებრივია. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის აპატრიდად (მოქალაქეობის არმქონედ) დატოვების შემთხვევათა თავიდან აცილებაზე და შესაბამისად გაზარდოს დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების შესაძლებლობები.

---

32 Westlake J. . International Law, part. 1, Cambr. , 1904, p. 215. Бояре IO . P. . Вопросы гражданства в международном праве. М. , 1986. с. 10-11.



სხვათა შორის, სწორედ ასეთ სავალდებულო მოთხოვნას იმეორებს რიგი საერთაშორისო დოკუმენტებისა, მაგალითად: 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ, 1997 წლის ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ და სხვა.

რაც შეეხება პირის სურვილის გათვალისწინებას, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი საამისოდ მრავალ შემთხვევას გვთავაზობს. იგი სრულწლოვანების მიღწევისას უფლებას აძლევს პირს გააკეთოს არჩევანი მოქალაქეობის თაობაზე, ხოლო მშობლებს საშუალებას აძლევს ხშირ შემთხვევაში თავად გადაწყვიტონ არასრულწლოვანი შვილების სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი და სხვა. ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით, როცა ცალკეულ მუხლებს შევეხებით.

დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების პრობლემაზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მოქმედებს ორი ძირითადი პრინციპი: „სისხლის პრინციპი“, რომელსაც იშვიათად „ნათესაობის პრინციპის“ სახითაც მოიხსენიებენ და „ნიადაგის პრინციპი“, რომელსაც ზოგჯერ „ტერიტორიულ პრინციპსაც“ უწოდებენ. პირველი მათგანის არსი ისაა, რომ ახალდაბადებული ბავშვი მოქალაქეობას მოიპოვებს მშობლების მოქალაქეობის შესაბამისად, ხოლო მეორე პრინციპის თანახმად, ბავშვი მოქალაქეობას იღებს დაბადების ადგილის მიხედვით, ანუ ხდება იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის ტერიტორიაზეც იგი დაიბადა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის პრინციპის მოქმედების დროს ეთნიკურ ნიშანს რაიმე დატვირთვა არ

გააჩნია. საქართველოს კანონმდებლობით, ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება, განურჩევლად რასისა, ეთნიკური თუ ეროვნული კუთვნილებისა. მაშასადამე, ნებისმიერი ეროვნების მქონე საქართველოს მოქალაქე მშობლებს შეუძლიათ გაავრცელონ თავიანთი მოქალაქეობა შვილებზე.

ამასთანავე, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოქალაქეობა წარმოიშობა დაბადებისთანავე და, ამდენად, მნიშვნელოვანია, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქენი არიან მშობლები სწორედ ბავშვის დაბადების მომენტში. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მაშინვე არ ხდება ახალდაბადებულის მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა, რაც ძირითადად მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების აულებლობაში გამოიხატება. შემდეგ გადის გარკვეული დრო, შეიძლება მშობლებმა ან ერთ-ერთმა მათგანმა შეიცვალოს საქართველოს მოქალაქეობა, მათი შვილის მოქალაქეობრივი სტატუსი კი გაურკვეველი რჩება. ასეთი პირების განცხადებების განხილვის დროს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არკვევს ბავშვის დაბადების მომენტისათვის არსებულ პირობებსა და გარემოებებს და მათზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას. მსგავს შემთხვევებში განცხადების წარდგენისას არსებულ მშობლების მოქალაქეობრივ სტატუსს (მდგომარეობას) შეიძლება არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდეს.

სისხლისა და ნიადაგის პრინციპების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. შერეული სისტემა, რომელსაც შეიძლება პირობითად შერეული პრინციპიც ვუწოდოთ, მისი წარმოშობის ძირითადი მიზეზებია მოსახლეობის მიგრაცია ერთი სახელმწიფოდან მეორეში და შერეული ქორწინებები. უნდა

ითქვას, რომ ამ პრინციპის შემცველი ნორმები თანდათან მატულობს და სუფთა სახით აშკარად გამოკვეთილი სისხლის და ნიადაგის პრინციპთა დამდგენი ნორმები მცირდება. საქართველოს კანონმდებლობა, მართალია, სამივე მათგანს იცნობს, მაგრამ მასში აშკარად დომინირებს სისხლის პრინციპი, რომელიც იმდენად ჩაგრავს ნიადაგის პრინციპს, რომ მას სუფთა სახით არსებობის საშუალებას არ აძლევს.

სისხლისა და ნიადაგის პრინციპთა მეტ-ნაკლები შერწყმა დამახასიათებელია სხვა ქვეყნების დიდი უმრავლესობისთვისაც. პირველ მათგანს უპირატესობა გააჩნია ეთნიკური ნიშნით ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში, ხოლო მეორე თავისი მნიშვნელობით პირველს უტოლდება ან იშვიათად აჭარბებს ძირითადად კოლონიური დაპყრობის შედეგად შედარებით გვიან შექმნილ ქვეყნებში.

მთლიანად სისხლის პრინციპზეა აგებული საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-11 მუხლი. იგი აცხადებს, რომ „ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება მისი დაბადების ადგილის მიუხედავად“.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ყოველნაირად ხელს უწყობს თავის მოქალაქეთა შვილების საქართველოს მოქალაქედ აღიარებას და ფაქტობრივად არავითარ დამატებით მოთხოვნებს არ აწესებს საამისოდ. მიუხედავად ამისა, ამ მუხლმა პრაქტიკაში შეიძლება უხერხულობაც წარმოქმნას. კერძოდ, კოლიზიაში მოვიდეს სხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან, თუ იგი ნიადაგის პრინციპს აღიარებს. ეს ეხება საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ დაბადებულ შვილებს. ამ დროს შესაძლოა ბავშვმა ერთდროულად მიიღოს დაბადე-

ბის ქვეყნის მოქალაქეობაც და საქართველოს მოქალაქეობაც. საქართველო კი არ ცნობს ორმაგ მოქალაქეობას, რამაც მოსალოდნელია, გამოიწვიოს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის შეწყვეტა.

მოქალაქეობის შესახებ კანონის 33-ე მუხლის თანახმად კი, ორმაგი მოქალაქეობის წარმოშობა არ იწვევს ავტომატურად ქართული მოქალაქეობის შეწყვეტას. ამისათვის საჭიროა, აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდეს სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, აღიძრას საქმე და საბოლოოდ გადაწყვეტილება მიიღოს საქართველოს პრეზიდენტმა. მაშასადამე, შეიძლება პირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხშირად წლების მანძილზე, ატარებდეს ორ მოქალაქეობას და ირღვეოდეს ჩვენი კონსტიტუცია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი კანონმდებლობა, მიუხედავად მისი ლიბერალურობისა და ტენდენციისა, შეინარჩუნოს ან დაიბრუნოს მოქალაქე, არ ითვალისწინებს ორმაგი მოქალაქეობის გამო დაკარგული მოქალაქეობის აღდგენას. სამომავლო პერსპექტივის ასეთი შეზღუდვა პირისათვის, რომელსაც მცირეწლოვანების დროს მისგან დამოუკიდებელი გარემოების გამო შეუწყდა მოქალაქეობა, ერთობ მკაცრია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ნიადაგის პრინციპის აღიარება მოქალაქეობის მისაღებად არადემოკრატიულია.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა, კანონის მე-11 მუხლს დაემატოს მითითება იმის შესახებ, რომ ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება, თუ არ მიიღებს დაბადების ადგილის ქვეყნის მოქალაქეობას.

ამჟამად მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილე-

ბა მთლიანად დამოკიდებულია მშობლების მოქმედებაზე: თუ ისინი მიმართავენ დაბადების ქვეყანაში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას ბავშვის საქართველოს მოქალაქედ ცნობის შესახებ და აიღებენ სათანადო დოკუმენტს – დაბადების მოწმობას, ხოლო შესაბამისი სახელმწიფოს ხელისუფლებას უარს ეტყვიან მათი შვილისათვის ამ ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭებაზე, ბავშვს შეუნარჩუნებენ ქართულ მოქალაქეობას. სხვა შემთხვევაში კი ჩვენი მოქალაქეების პირმშომ შეიძლება დაკარგოს საქართველოს მოქალაქეობა.

სამწუხაროდ, ერთობ ძნელია დანამდვილებით განსაზღვრო, თუ როგორ იმოქმედებენ ასეთ შემთხვევაში ჩვენი თანამემამულენი. პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ქართველმა დედამ ამჯობინა თავისი შვილისათვის შეენარჩუნებინა ნიადაგის პრინციპის მიხედვით მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა და ითხოვა ბავშვისათვის საქართველოში მიენიჭებინათ მუდმივად მცხოვრები უცხოელის – იმიგრანტის სტატუსი. ასე დასახლდა საკუთარ სამშობლოში პატარა ბიჭუნა როგორც უცხოელი, რაც, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტი ფაქტია.

სისხლის პრინციპის აშკარა პრიმატზე მეტყველებს მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-14 მუხლიც. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლებიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით და საქართველოში დაბადების ფაქტს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი აშკარად პატივს სცემს სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისხლის

პრინციპსაც, რასაც არ აკეთებს ნიადაგის პრინციპის მიმართ. ასეთი დამოკიდებულება ზოგჯერ გამართლებული არ არის, ვინაიდან დაბადების ადგილის სახელმწიფოსაც შეიძლება სავსებით სამართლიანი პრეტენზიები გააჩნდეს ბავშვის მიმართ, მით უმეტეს, როცა მოვლენები მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ვითარდება.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ საქართველოში დაბადებული ბავშვის უცხოელმა მშობლებმა მოგვიანებით მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. თუ ეს მოხდება მათი შვილის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, ბავშვი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს არა მე-14, არამედ უკვე მე-16 მუხლის შესაბამისად, ხოლო სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ – ნატურალიზაციის გზით, თუმცა ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

მიუხედავად ერთნაირი საბჭოური წარსულისა, დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების საკითხებისადმი მთლიანად ერთგვაროვანი მიდგომა არ ახასიათებს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობებს, თუმცა სისხლის პრინციპის უპირატესობა ნიადაგის პრინციპთან მიმართებაში მაინც შეინიშნება.

მაგალითად, „აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ 1998 წლის 10 სექტემბრის კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზერბაიჯანის მოქალაქეობას მოიპოვებს პირი, რომელიც დაიბადება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ან შეეძინება აზერბაიჯანის მოქალაქეს. კანონის მთელ ტექსტში შემდგომ არსად არ გვხვდება სპეციალური ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს შერეული ქორწინების (მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობის) დროს დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხს. აქედან შეიძლება გაკეთდეს

დასკვნა, რომ თუნდაც ერთი მშობლის აზერბაიჯანული მოქალაქეობა საკმარისია ბავშვის ამ ქვეყნის მოქალაქედ ჩასათვლელად და მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად დაიბადება იგი, ან რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა მისი მეორე მშობელი. ეს სისხლის პრინციპის სიძლიერეზე მეტყველებს.

მაგრამ აზერბაიჯანისათვის დამახასიათებელია ნიადაგის პრინციპის წინა პლანზე წამოწევა. იგი ტოლს არ უდებს სისხლის პრინციპს. აღნიშნული ნორმის მიხედვით ამ ქვეყნის მოქალაქედ ყოველგვარი დამატებითი პირობების მოთხოვნის გარეშე, ჩაითვლება მის ტერიტორიაზე დაბადებული ნებისმიერი ბავშვიც. ეს კი ხაზს უსვამს ამ სახელმწიფოსათვის დაბადებით მოქალაქეობის დიდ მნიშვნელობას, როგორც ეს აშშ-ია.

სისხლის პრინციპი ასევე ძლიერია ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობაში. მაგალითად, ლატვიის კანონი მოქალაქეობის შესახებ საერთოდ არ განიხილავს მოქალაქეობის არმქონე მშობლების შვილის მიერ მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას.<sup>33</sup>

ამ მხრივ განსხვავებული მიდგომა გააჩნია ქართულ კანონმდებლობას. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-13 მუხლი, ეყრდნობა რა ნიადაგის პრინციპს, აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ანალოგიურია ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეო-

---

33 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. Международные Организации по Миграции, М., 1996, стр. 191-202.

ბის შესახებ კანონის მე-10 მუხლის შინაარსიც.<sup>34</sup>

კიდევ უფრო აძლიერებს ნიადაგის პრინციპს მსგავსი შემთხვევისათვის რუსეთის ფედერაციის კანონი მოქალაქეობის შესახებ.<sup>35</sup> კერძოდ, მე-17 მუხლის მეორე პუნქტით რუსეთის მოქალაქედ ჩაითვლება მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვი, რომელიც დაიბადება ფედერაციის ტერიტორიაზე. აქ აბატრიდი მშობლების რუსეთში მუდმივად ცხოვრების მოთხოვნა წამოყენებული არაა. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების შვილებიც რუსეთის მოქალაქეებად ჩაითვლებიან, თუ დაიბადნენ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც „გადაჭარბებული ჰუმანურობის“ გამომხატველია. ნიადაგის პრინციპის მსგავსი გაძლიერება, ვფიქრობთ, ზედმეტია. ასეთ პირობებში დაბადებულ პირებს საქართველოს სახელმწიფოსთან მყარი სამართლებრივი კავშირი და გრძნობათა ერთიანობა ვერ წარმოეშობათ, ვინაიდან ისინი კვლავ უნდა დაუბრუნდნენ მშობლების მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანას, როცა საქართველოში დროებით ყოფნის შესაბამისი ნებართვის ან ვიზის ვადა ამოეწურებათ.

ამ კუთხით ქართული კანონი გაცილებით მკაცრია. საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმადაც, მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველად ითვლება ის სახელმწიფო, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობენ.<sup>36</sup> გარკვეულწილად ამ წესს საქართველოს კანონმდებლობაც აღიარებს, როცა უცხოელთათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომას – ქვეყნიდან გაძევებას აქ მუდმივად

---

34 იქვე, გვ. 219-230.

35 იქვე, გვ. 284.

36 Боярс Ю. Р., Вопросы гражданства в международном праве. М., 1986, с. 33.



მცხოვრებ აპატრიდებს არ შეუფარდებს,<sup>37</sup> ან როცა, ხშირ შემთხვევაში, მათ მოქალაქეთა თანაბარ უფლებებს ანიჭებს (გარდა პოლიტიკური უფლებებისა).<sup>38</sup> ამასთან, საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს სხვა მფარველი სახელმწიფო არ გააჩნიათ და მათ შვილებს, საზღვარგარეთ დაბადების შემთხვევაში, რეალური შანსი აქვთ აპატრიდადვე დარჩენისა, თუ იმ ქვეყანაში სუფთა სახით არ ფიგურირებს ნიადაგის პრინციპი.

ამდენად ბავშვის მოქალაქეობის გარეშე დატოვების თავიდან აცილების შესაძლებლობა უფრო გაიზრდება, თუ საქართველოს მოქალაქეობის მიღების აუცილებელ პირობად ჩვენს ტერიტორიაზე დაბადება არ იქნება მიჩნეული. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით კი, სასურველია, მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეებად ჩაითვლებიან, თუ ვერ მოიპოვებენ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას დაბადებით“. ამგვარად გაცილებით მეტად იქნება დაცული საქართველოში მუდმივად მცხოვრები აპატრიდებისა და მათი შვილების ინტერესები.

კიდევ უფრო აფართოებს დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევებს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა. იგი არა მარტო აპატრიდთა შვილებს აძლევს ასეთ შანსს, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შვილებსაც, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, არ ახასიათებს საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. მაგალითად, მოქალაქეობის შესახებ რუსეთის კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით

---

37 იმიგრაციის კანონი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 აგვისტო, 1993.

38 კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ივნისი, 1993.

რუსეთის მოქალაქედ ჩაითვლება მის ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი, რომლის ორივე მშობელი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, თუ ბავშვი არ მიიღებს ამ ქვეყნების მოქალაქეობას, რაც შეიძლება მოხდეს სისხლის პრინციპის გათვალისწინებით. მაშასადამე, ეს ტერიტორიის პრინციპის მიმდევარი სახელმწიფოც კი ანგარიშს უწყევს უცხოური კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისხლის პრინციპს და ხშირად უპირატესობას ანიჭებს მას ნიადაგის პრინციპთან მიმართებაში.

ნიადაგის პრინციპის პირველ რიგში გათვალისწინება ხდება საქართველოს მოქალაქეობის კანონის მე-15 მუხლშიც. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, მაგრამ კანონი აქვე დასძენს, რომ ქართული მოქალაქეობა შენარჩუნებული იქნება მანამ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება. სხვა რამის ქვეშ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ მშობლების მოქალაქეობის ან დაბადების ადგილის გარკვევა. კერძოდ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ორივე მშობელი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა ან მშობლები უცნობია, მაგრამ ბავშვი დაბადებულია საზღვარგარეთ და ნიადაგის პრინციპით ეკუთვნის ამ ქვეყნის მოქალაქეობა. როგორც ვხედავთ, ნორმის ზემოაღნიშნული მითითება სანახევროდ ძალას აცლის ნიადაგის პრინციპს და არ აძლევს ცალსახად გავრცელების შესაძლებლობას.

ასეთი უკანდახევა ყველა ქვეყნის კანონმდებლობას როდი ახასიათებს. ლატვიის მოქალაქეობის თაობაზე კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ლატვიის მოქალაქეებად ითვლებიან არა მარტო ნაპოვნი ბავშვები, არამედ ის არას-

რულწლოვნებიც, რომლებსაც არა ჰყავთ მშობლები და იმყოფებიან ბავშვთა სახლებში ან სკოლა-ინტერნატებში. ამასთან, მითითებული კანონი რაიმე შემდეგ აღმოჩენილ გარემოებებზე საერთოდ არ საუბრობს. ანალოგიურად წყვეტენ ნაპოვნი ბავშვის მოქალაქეობის საკითხს უკრაინისა და ესტონეთის მოქალაქეობის კანონებიც.<sup>39</sup>

რუსეთისა და სომხეთის კანომდებლობა, მხოლოდ მშობლების ვინაობის დადგენისას უშვებს მითითებული ბავშვების მოქალაქეობის შეცვლას.<sup>40</sup> აღნიშნულის თაობაზე ყველაზე მეტი მსგავსება საქართველოს კანონთან გააჩნია ლიტვის კანონს მოქალაქეობის შესახებ, რომლის მე-11 მუხლის შინაარსი ითვალისწინებს არასრულწლოვანის მოქალაქეობის შეცვლის შესაძლებლობას არა მხოლოდ მშობლების მოქალაქეობის, არამედ დაბადების ადგილის გარკვევის შემთხვევაშიც.<sup>41</sup> 1997 წლის მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი კი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს, თავიანთი მოქალაქეობა მიანიჭონ მათსავე ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვებს, რომელთა ორივე მშობელი უცნობია და რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონენი იქნებოდნენ.

საინტერესოა გაირკვეს, რა დროის მანძილზე შეიძლება იმოქმედონ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულმა ახლადაღმოჩენილმა გარემოებებმა პირის ქართულ მოქალაქეობაზე და განაპირობონ მისი შეცვლა. ამ კითხვაზე დაზუსტებულ პასუხს თვით ნორმა არ იძლევა,

---

39 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ. М., 1996, стр. 391, 433.

40 იქვე, გვ. 46, 283.

41 იქვე, გვ. 391, 433.

რაც ბუნდოვანს ხდის მას. მაგრამ თუ ამ მუხლისა და მთელი კანონის შინაარსის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაპოვნი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა "სხვა რამის დადგენის" შემთხვევაში შეიძლება მის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, ხოლო თვრამეტი წლიდან მას, როგორც დამოუკიდებელ ქმედუნარიან პიროვნებას, შეეძლება თავად გააკეთოს არჩევანი: დარჩეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქედ, თუ უარი თქვას მასზე.

ამასთანავე, ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა უნდა მოხდეს საქართველოს მოქალაქეობის თაობაზე ორგანული კანონის შესაბამისად და დაცული უნდა იქნეს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნაც, რომლის თანახმად, 14-დან 18 წლამდე პირის მოქალაქეობის შესაცვლელად საჭიროა მშობლებთან ერთად ამ უკანასკნელის თანხმობაც. ეს პირობა არასრულწლოვანს აძლევს ქართული მოქალაქეობის შენარჩუნების უფლებას, მიუხედავად ახალნაპოვნი მშობლებისა თუ რეალური დაბადების ადგილის სახელმწიფოს სურვილისა – გაავრცელონ მასზე სხვა მოქალაქეობა. ცნობილია, რომ იძულებით მოქალაქეობის გავრცელება პიროვნების უფლებების შელახვას იწვევს და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას, არ ცნონ ამ გზით მინიჭებული სტატუსი.

როგორც ვხედავთ, ბავშვისათვის მოქალაქეობის შეცვლა, მე-15 მუხლით გათვალისწინებული ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში, ქართული მხარის ინტერესების გაუთვალისწინებლად შეიძლება პირის მიერ 14 წლის ასაკის მიღწევამდე, შემდეგ კი სახელმწიფო იოლად ვეღარ ელევა თავის მოქალაქეს და ძირითად აქცენტს მის სურვილზე

აკეთებს. ეს ბუნებრივიცაა, ხშირად ზოგიერთ ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრება ე.წ. „ფაქტობრივი მოქალაქეობის“ მოპოვების საფუძველია<sup>42</sup> და კანონმდებელიც დაინტერესებულია შეინარჩუნოს ასეთი პირები, მით უფრო, როცა საქმე დაბადებით მოქალაქეს ეხება.

რა თქმა უნდა, განხილულ შემთხვევაში ბავშვის მშობლების ან დაბადების სახელმწიფოს ინტერესების აბსოლუტური იგნორირებაც არ შეიძლება. ასეთ მეთოდს რუსეთის კანონიც არ მიმართავს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მე-15 მუხლის შინაარსი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ სხვა შემთხვევაში იგი აპატრიდად დარჩება. ბავშვის მოქალაქეობა შეიძლება შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დადგინდება ახალი გარემოებები, რომელთა მიხედვით მან შეიძლება მოიპოვოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა“.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-12 მუხლი განიხილავს შერეული ქორწინებით დაბადებული ბავშვების მოქალაქეობის საკითხებს, ანუ შემთხვევებს, როცა ერთ-ერთი მშობელი მათი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – უცხოელი.

ეს მუხლი გახლავთ კლასიკური მაგალითი სისხლისა და ნიადაგის პრინციპთა ურთიერთშერწყმისა, სადაც პირველს აშკარად გამოკვეთილი უპირატესობა გააჩნია მეორესთან მიმართებაში.

---

42 Броуни Я. . Международное право, т. П. М. , 1977, стр. 199.

სამწუხაროდ, ეს ნორმა მრავალ სადავო მომენტს მოიცავს და სამართლიან კრიტიკას იმსახურებს. თავიდანვე თვალში-საცემია უზუსტობა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც. კერძოდ, პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი თავისი შინაარსით აშკარად არ წარმოადგენს წინა – „ა“ და „ბ“ პუნქტების გაგრძელებას, ვინაიდან მათგან განსხვავებულ პირობებს ითვალისწინებს და ამიტომ ცალკე ნაწილის სახით უნდა ყოფილიყო, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილი სწორედ რომ პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტების გაგრძელებაა და „გ“ პუნქტის სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო, თუ, რა თქმა უნდა, ამ მუხლს მოცემული სახით დავტოვებდით.

გარდა ტექნიკური ხარვეზისა, ეს ნორმა შინაარსობრივი თვალსაზრისითაც ბევრ სუსტ ადგილს შეიცავს.

მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ პუნქტების მეორე ნაწილის თანახმად, მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, როცა დაიბადება საქართველოს ტერიტორიაზე, ან დაიბადება საზღვარგარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოში. ხოლო თუ ბავშვი დაიბადება საქართველოს ფარგლებს გარეთ და მშობლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობენ, ახალდაბადებულის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში – იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

უპირველეს ყოვლისა, აქ გამორჩენილია მითითება იმის თაობაზე, რომ მეორე მშობელი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა – სხვაგვარად გაუგებარი ხდება ამ მუხლის დან-

არჩენ ნაწილებში ისეთი მომენტების განხილვა, როცა ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე, ან უცნობია. ეს ნაწილები ერთმანეთის მიმართ კოლიზიური გამოდის.

აქ აშკარაა კანონმდებლის მცდელობა – მაქსიმალურად გაავრცელოს ახალდაბადებულზე საქართველოს მოქალაქეობა. ამ შემთხვევაში სისხლით ნათესაობის მომენტი იმდენად ძვირფასია სახელმწიფოსათვის, რომ მისი ე.წ. ნახევარი ღოზაც კი (როცა მხოლოდ ერთი მშობელია საქართველოს მოქალაქე) გადაწონის უარყოფითი ნიადაგის პრინციპს (როცა ბავშვი იბადება საზღვარგარეთ).

მაგრამ აქ გაუგებარია, თუ რა შუაშია ერთ-ერთი მშობლის საქართველოში მუდმივად ცხოვრების ფაქტი (პ. „ბ“), მშობელი ხომ თავის მოქალაქეობას შვილზე სისხლის ნათესაობით ავრცელებს და არა ნიადაგის პრინციპის მიხედვით. ამასთანავე, ნიადაგის პრინციპი მდგომარეობს ბავშვის დაბადების ადგილის განსაზღვრაში და არა მშობლის საცხოვრებელი ადგილის მითითებაში და, ამდენად, აქ ისიც არაფერ შუაშია. მით უმეტეს, კანონი მისაღებად თვლის იმ მშობლის საქართველოში მუდმივად ცხოვრების ფაქტსაც, რომელიც არ არის ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. ეს კი მეტიმეტი, სახელმწიფოს მხრიდან ახალშობილის აშკარა მიტაცების მცდელობაა და საჭიროა უზუსტობის დროზე გასწორება.

თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ჩვენი კანონმდებელი ზოგჯერ უსამართლოდ ახდენს სხვა სახელმწიფოთა კანონის იგნორირებას, არ ითვალისწინებს რა იქ მოქმედ სისხლისა და ნიადაგის პრინციპებს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს კანონთა კოლიზია და ორმაგი მოქალაქეობა.

მაგალითად, განხილული მუხლის „ა“ პუნქტით, მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, ბავშვის საქართველოში დაბადების ფაქტი ცალსახად წყვეტს მისი საქართველოსადმი მიკუთვნების საკითხს და მშობელთა შორის რაიმე შეთანხმების საჭიროებაზე საერთოდ არ მსჯელობს.

საკითხავია, რატომ უნდა მისცეს ასეთი ბავშვის საზღვარგარეთ დაბადებისას შესაბამისმა უცხო სახელმწიფომ მშობლებს მისი მოქალაქეობის საკითხზე შეთანხმების უფლება და, ჩვენი „ა“ პუნქტის მსგავსად, ავტომატურად არ მიანიჭოს მას თავისი ქვეშევრდომობა? რა თქმა უნდა, უცხო სახელმწიფოც ჩვენსავით მოიქცევა, მით უფრო, თუ მეორე მშობელი მისი მოქალაქეა. ასეთი მოქმედების სამართლიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვაჩნია და სასურველი იქნებოდა, ამგვარი შემთხვევა საქართველოს კანონს მხედველობიდან არ გამორჩენოდა. აღნიშნული დებულება გამართლებული იქნებოდა, თუ სხვა ქვეყნები უარყოფდნენ ტერიტორიის ამ პრინციპს.

მე-12 მუხლის „გ“ პუნქტი განმარტავს, რომ თუ ბავშვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე, ან უცნობია, ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. ანალოგიური შედეგია გათვალისწინებული ამავე მუხლის მესამე ნაწილით იმ პირობებში, როცა დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქე.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ყოველნაირად ცდილობს, თავიდან აიცილოს ჩვილის მოქალაქეობის გარეშე დატოვება. მართლაც, თუ საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მშობლების შვილი დაიბადება ისეთი



სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის პრინციპი შედარებით სუსტია, არის რეალური საშიშროება ბავშვის აპატრიდად დარჩენისა.

მაგრამ დიამეტრულად განსხვავებულ შედეგს მივიღებთ აღნიშნული მშობლების შვილის იმ სახელმწიფოში დაბადებისას, სადაც ნიადაგის პრინციპი ძლიერია. აქ უკვე დაბადების ტერიტორიით მიიღებს ბავშვი მოქალაქეობას და ორმაგი მოქალაქეობის ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს კი გამოიწვევს ქართული მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხის წამოჭრას, თუ მანამ მშობლების ინიციატივით არ შეწყდა მათი შვილის უცხოური მოქალაქეობა. სამწუხაროდ, გაკრიტიკებული მუხლი არც ამ პრობლემას ითვალისწინებს და არ იძლევა მისი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

პრობლემა კიდევ უფრო რთულდება, როცა მშობლების ქართული და უცხოური მოქალაქეობის პირობებში ბავშვი მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იბადება. ამ დროს საქმეში ერთვება სულ ცოტა სამი ქვეყნის კანონმდებლობა: ორი მათგანის – სისხლის პრინციპით, ხოლო მესამის – ნიადაგის პრინციპით. გამოსავალი კი ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაძლო მოთხოვნათა მაქსიმალური გათვალისწინებაა.

ერთგვარად თავისებურია უკვე მოხსენიებული მამობის დადგენის შემთხვევაც. ვინაიდან მამის ვინაობის გარკვევა ძირითადად ბავშვის გაჩენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხდება, ხოლო ფილიაციას დაბადებისთანავე აქვს ადგილი, ეს შემთხვევა მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების კლასიკურ მაგალითად ვერ ჩაითვლება, არამედ იგი მოქალაქეობრივი სტატუსის წარმოშობის დამოუკიდებელი სახეა. თუმცა უფლებრივი მდგომარეობით პირი უნდა გაუთან-

აბრდეს დაბადებით მოქალაქეს, როგორც ეს მოქალაქეობის დადგენის დროს ხდება (კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები). ამდენად, უფრო სწორი იქნებოდა მე-12 მუხლის ბოლო ნაწილი, სადაც საუბარია მამობის დადგენაზე, ცალკე მუხლის (15<sup>1</sup> ან 19<sup>1</sup>) სახით შესულიყო ორგანულ კანონში შემდეგი რედაქციით: „ბავშვი, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქე, ჩაითვლება დაბადებით საქართველოს მოქალაქედ, თუ ვერ მოიპოვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეობას“.

რაც შეეხება თავად მე-12 მუხლს, მისი დახვეწის მიზნით რედაქტირების რამდენიმე ვარიანტი შეიძლება იქნეს შეთავაზებული. მათ შორის უკეთესად გვესახება ნორმის შინაარსის ამგვარი ჩამოყალიბება:

„მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტიდან ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ითვლება, თუ იმავდროულად ვერ მოიპოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.

კანონთა კოლიზიის პირობებში, გადაწყვეტილებას ბავშვის მოქალაქეობის თაობაზე, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, იღებენ მისი მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხი წყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა“.

მართალია, ასეთი ფორმულირება, უფრო მეტად ითვალისწინებს რა ბავშვის კანონიერი წარმომადგენლებისა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს, აფართოებს დაბადებით მოქალაქის დაკარგვის შესაძლებლობებს, მაგრამ უფრო ჰუ-

მანური და დემოკრატიულია. მოქალაქეობა ხომ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ორმხრივი ნების გათვალისწინებით წარმოშობილი მყარი კავშირია და არა იძულებით თავს მოხვეული სტატუსი.

ფილიაციასთან დაკავშირებულ ამ და სხვა პრობლემებზე ჩვენ ადრეც გვქონდა გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.<sup>43</sup> სამწუხაროდ ზოგიერთი მათგანი არ გაითვალისწინა ჩვენმა პარლამენტმა. ამჟამად იმედს გამოვთქვამთ, რომ შემდგომში მაინც მოიცლის კანონმდებელი მოქალაქეობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სერიოზული სრულყოფისათვის და არ შემოიფარგლება ორგანულ კანონში მხოლოდ უმნიშვნელო პროცედურული ცვლილებების შეტანით.<sup>44</sup>

ასეთია დაბადებით მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება. რა თქმა უნდა, ნაშრომი არ აცხადებს პრეტენზიას პრობლემის მთლიანად ამოწურვაზე. ამ კუთხით სამუშაო კიდევ ბევრი რჩება და ვიმედოვნებთ, წინამდებარე გამოკვლევა თავის წვლილს შეიტანს ამ საქმეში.

---

43 ა. ლორია, მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 1996, გვ.68-77.

44 „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 2001 წ. № 6.

## თავი IV. ნატურალიზაციის სახეები საქართველოში

### §1. ნატურალიზაცია საერთო წესით

ნატურალიზაციის საერთო წესს საქართველოში განსაზღვრავს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლი, რომლის მოთხოვნების პარალელურად გასათვალისწინებელია საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებიც, რაც ასახულია ამავე კანონის 26<sup>1</sup> მუხლში. აქვე შევნიშნავთ, რომ 26<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინება სავალდებულოა არა მარტო ნატურალიზაციის საერთო წესის, არამედ მოქალაქედ მიღების ყველა სხვა შემთხვევაშიც.

საერთო წესით ნატურალიზაციაზე მსჯელობისას, სამწუხაროდ, ზოგჯერ მხოლოდ ოთხ პირობას ასახელებენ მაშინ, როცა 26-ე და 26<sup>1</sup> მუხლების ანალიზით გაცილებით მეტი პირობა იკვეთება. კერძოდ, მოქალაქედ მიღების მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. უნდა იყოს სრულწლოვანი;
2. მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;
3. დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა;
4. დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის საფუძვლები;
5. საქართველოში უნდა ჰქონდეს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას, ანდა

საქართველოს საწარმოში უნდა ფლობდეს წილს ან აქციებს;

6. ჩადენილი არ უნდა ჰქონდეს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ;
7. ასევე ჩადენილი არ უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული.

აქვე უნდა ითქვას, რომ 26-ე მუხლში 2008 წლის 19 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველი პირი უნდა ყოფილიყო უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი.<sup>45</sup> ეს მითითება დღეისათვის ამოღებულია, რადგან ისედაც ცხადი იყო, რომ საქართველოში ნატურალიზაცია სჭირდება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, ე.ი. უცხოელია. ასეთი კი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი. ამასთან, აღნიშნული მითითება გარკვეულ უხერხულობასაც ქმნიდა. საქმე ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის თავდაპირველი რედაქცია საერთოდ არ აღიარებდა ორმაგ მოქალაქეობას, ხოლო 2004 წლიდან ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულ იქნა გამონაკლისის სახით. მაშასადამე უცხოელი მოქალაქის საერთო წესით საქართველოს მოქალაქედ მიღება შეუძლებელია, მან საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებამდე უარი უნდა ითქვას თავდაპირველ მოქალაქეობაზე და იქცეს აპატრიდად, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირად.

რა თქმა უნდა, პირვანდელ მოქალაქეობაზე უარის თქმა

---

45 შეადარე კანონის თავდაპირველი ვარიანტი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №5, მუხ. 66, კანონი № 193-1ს) და ცვლილებები 26-ე მუხლში (სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).

გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან საქართველოს მოქალაქედ მიღების გარანტიას პრეზიდენტი წინასწარ, საქმის განხილვის დასრულებამდე, ვერავის მისცემდა. ხოლო უარის თქმის შემთხვევაში დაინტერესებული პირის აპატრიდად დარჩენის საფრთხე იქმნებოდა. თუმცა აქაც მონახა გამოსავალი და პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვითაც, მოქალაქედ მიღების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ორპუნქტიან ბრძანებულებას, რომლის პირველ პუნქტში მითითებულია უცხოელისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, ხოლო მეორე პუნქტში, აღნიშნულია, რომ ბრძანებულება ძალაში შედის დაინტერესებული პირის მიერ თავდაპირველი მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის იუსტიციის სამინისტროში წარდგენის დღიდან.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით არანაკლებ საინტერესოა დანარჩენ პირობებთან დაკავშირებული ცალკეული თავისებურებების დახასიათება და გაანალიზება.

*1. ნატურალიზაციის მსურველი პირი უნდა იყოს სრულწლოვანი.*

ამგვარი მითითება ზედმეტად ართულებს საქმეს. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით ნატურალიზაცია შეუძლიათ არა მხოლოდ სრულწლოვნებს, არამედ არასრულწლოვნებსაც. მართლაც, როცა სრულწლოვან უცხოელს ვიღებთ საქართველოს მოქალაქედ, შეიძლება დღის წესრიგში დადგეს მისი არასრულწლოვანი შვილის ნატურალიზაციის საკითხიც, ვინაიდან ბავშვის საქართველოს მოქალაქედ აღიარება შეუძლებელია ფილიაციის, მოქალაქეობის დადგენის თუ ოპ-

ტაციის გზით. ამასვე ადასტურებს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტიც, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე არასრულწლოვანთა და ქმედუნარო პირთა შუამდგომლობები შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს.“<sup>46</sup> მაშასადამე, ეს ნორმა აშკარად აღიარებს არასრულწლოვანთა და ქმედუნარო პირთა ნატურალიზაციის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე კი, 26-ე მუხლში მოქალაქედ მიღების მსურველი პირის სრულწლოვანებაზე მითითება ზედმეტია და ტექსტიდან ამოღებულ უნდა იქნეს.

2. ნატურალიზაციის მსურველი პირი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ნატურალიზაციისთვის გარკვეული ვადით სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას ახასიათებს. განსხვავება არის მხოლოდ ვადის ხანგრძლივობის მიხედვით, რომელიც 3 წელზე ნაკლები თითქმის არ გვხვდება. ზედა ზღვარი კი ძირითადად 7-10 წლის ფარგლებს არ სცილდება, თუმცა ზოგ ქვეყანას ცხოვრების ცენზი 10 წელზე გაცილებით მეტი აქვს. სხვათა შორის, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირვანდელ ვარიანტში სწორედ მუდმივად ცხოვრების ათწლიანი ვადა იყო დასახელებული.<sup>47</sup>

შეიძლება საქართველოს მოქალაქედ მიღებისათვის ქვეყანაში 10 წელი მუდმივად ცხოვრების მოთხოვნა ვინმეს

---

46 ცვლილება – საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის №423 კანონი პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22.

47 ცვლილება – საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802 სსმ I, 2008 წ., №40. მუხ. 247.

ძალიან მკაცრად მოსჩვენებოდა, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ვადის ხანგრძლივობა განპირობებული იყო მომდევნო მოთხოვნებით. კერძოდ, საქართველოს ისტორიისა და კანონმდებლობის, ასევე საკმაოდ რთული გრამატიკის მქონე ქართული ენის შესწავლა, საქართველოს ადათ-წესებთან, არსებულ სხვა ობიექტურ გარემოებებსა და პირობებთან შეგუება და მაქსიმალურად გათავისება ერთობ რთულია და საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. სხვაგვარად კი პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ინტერესთა ერთიანობა და რეალური მყარე კავშირი, რაც აუცილებელია მოქალაქეობისთვის და რაზედაც II თავში უკვე გვქონდა საუბარი, ვერ შედგება და მოქალაქეობაც არასრულყოფილი, ფიქტიური ხასიათის იქნება.

სწორედ ეს გარემოებები განაპირობებდა ბინადრობის ცენზის 10 წლით განსაზღვრას, რაც სავსებით ზომიერი და სამართლიანი იყო. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით ქვეყანაში ცხოვრებისა და დასაქმებისთვის უცხოელმა უნდა მოიპოვოს ბინადრობისა და დასაქმების მოწმობა, ე.წ. „მწვანე ბარათი“ („გრინ ქარდი“), რომლის მოქმედების ვადაა 3 წელი. თუ ამ სამი წლის განმავლობაში უცხოელი კეთილსინდისიერად იცხოვრებს და მოქმედ კანონმდებლობას არ დაარღვევს, მომდევნო 5 წლის შემდეგ შეუძლია მოითხოვოს მოქალაქეობა, რაც საერთო ჯამში 8 წელს შეადგენს. ხოლო თუ რამდენი ვადა და დავიდარაბაა საჭირო „გრინ ქარდის“ მოსაპოვებლად, ამაზე აღარ შეეჩერდებით.<sup>48</sup>

---

48 Immigration and Nationality Act Amendments and Notes on Related Laws. Wash., 1969, p. 11-114. Николайчик В.М. Правовые основы иммиграционной политики США. журн. «США – ЦПИ». 1990. №9-10.



ნატურალიზაციისათვის საჭირო ბინადრობის ვადას 7 წლით განსაზღვრავს ნორვეგიული კანონმდებლობა. მხოლოდ ეს ვადა აითვლება არა უშუალოდ ნორვეგიაში ჩასვლის დღიდან, არამედ – იმიგრაციის (დასახლების) ნებართვის მოპოვებისა და მისი რეალური განხორციელების დღიდან. ნორვეგიაში 3 თვეზე მეტი ხნით დარჩენის შემთხვევაში, უცხოელები ვალდებული არიან მიიღონ სპეციალური ნებართვა (გარდა სკანდინავიელებისა).<sup>49</sup>

მოქალაქედ მიღებისათვის უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ცხოვრების მოთხოვნას შეიცავს ავსტრიის 1965 წლის 15 ივლისის ფედერალური კანონი მოქალაქეობის შესახებ (1983 წლის 3 მარტის ცვლილებებით).<sup>50</sup>

როგორც ვხედავთ, ამ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, სადაც მიგრაცია ფართოდაა გავრცელებული, არც ისე ადვილია მოქალაქეობის მოპოვება და საქართველოს რატომ არ უნდა ჰქონდეს საკუთარი პირობების დამოუკიდებლად შეფასებისა და განსაზღვრის უფლება.

ბინადრობის ცენზთან დაკავშირებით საუბრისას უნდა ითქვას, რომ ტერმინი „მუდმივი ცხოვრება“ ერთგვარად მოძველებულია. ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად უცვლელი პირობები, მათ შორის საყოფაცხოვრებოც. რა თქმა უნდა, ვერავის დავავალდებულებთ ფეხმოუცვლელად იმყოფებოდეს ერთიდაიგივე ადგილას. უცხოელ მიგრანტს, ბუნებრივია, თავის სამშობლოში ექნება ნათესაური კავშირები და ახლობლების მონახულების მიზნით, გარკვეული დროით საზღვარგარეთ გამგზავრებას ვერ ავუკრძალავთ. გამგზავრება

49 Information on Norwegian Citizenship. Oslo. 1992. p.6-7.

50 Bundesgesetzblatt für die Republik Österreich, 1965. #250, 1983, #170.

მიგრანტს შეიძლება მოუხდეს სხვა მიზნითაც, მაგალითად: სამსახურის გამო, სამკურნალოდ და სხვა. ადამიანის უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტებიც მთლიანად აღიარებენ საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და გადაადგილების თავისუფლებას კანონიერების ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსოფლიო პრაქტიკაში თანდათან დაინერგა და გავრცელდა ახალი ტერმინები: „ძირითადი საცხოვრებელი ადგილი,“ „უპირატესი საცხოვრებელი ადგილი,“ „ძირითადი მისამართი,“ „ძირითადად ცხოვრება“ და სხვა. პიროვნებას შეიძლება რამდენიმე სახლი ან ბინა ჰქონდეს, მაგრამ ოფიციალურად იგი აფიქსირებს თუ რომელია მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი, ძირითადი (ოფიციალური) მისამართი. მსგავსი მიდგომა ჩვენშიც მკვიდრდება. მოსახლეობის რეგისტრაციის მარეგულირებელ კანონში გამოიყენება ტერმინი: „საცხოვრებელი ადგილი,“ რაც, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა მისი შინაარსი დაზუსტებული რომ ყოფილიყო ძირითადი ადგილსამყოფელის ან საცხოვრებლის მიხედვით.<sup>51</sup>

ამ კუთხით საინტერესოა ბინადრობის ვადის გამოთვლის წესიც. ვინაიდან მიგრანტს უფლება აქვს გარკვეული პერიოდით დატოვოს საქართველოს ტერიტორია, საჭირო ხდება დადგინდეს, თუ რეალურად რა დროის მანძილზე იმყოფებოდა ქვეყანაში. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია გამოანგარიშების 2 ძირითადი წესი, ე.წ. „რთული და მარტივი შკალები.“ „რთული შკალის“ მიხედვით დადგენილი საერთო

---

51 საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის №323-III კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ.“

ვალა (პირობითად 5 წელი) იყოფა ერთწლიან მონაკვეთებად. თითოეული ამ მონაკვეთის განმავლობაში უცხოელს ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული უნდა ჰქონდეს დაახლოებით 2/3 ანუ 7-8 თვე. „მარტივი შკალის“ მიხედვით კი საჭიროა იმიგრანტმა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაატაროს მთელი ვადის 2/3 ან 3/5. 5 წლის შემთხვევაში – არანაკლებ 3 წელი. ცხადია, მეორე ვარიანტი გაცილებით ლიბერალურია, რადგან მისი შესრულება უფრო იოლია.

საერთაშორისო პრაქტიკაში ბინადრობის ვადის გამოთვლის წესის გამარტივების და, შესაბამისად, „მარტივი შკალის“ გავრცელების ტენდენცია შეინიშნება. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, ესტონეთის 1995 წლის კანონი მოქალაქეობის შესახებ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს შეიცავდა, კერძოდ, მე-6 და მე-11 მუხლების მიხედვით, ესტონეთში ნატურალიზაციის მსურველმა პირმა ამ ქვეყანაში მუდმივად უნდა იცხოვროს არანაკლებ 6 წელი. მათ შორის, 5 წელი – მოქალაქედ მიღების თაობაზე განცხადების წარდგენამდე და 1 წელი – განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან. ამასთან, ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში პირი ესტონეთის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს მინიმუმ 183 დღე ე.ი. 1/2+1. დანარჩენი 182 დღის განმავლობაში კი შეუძლია გაემგზავროს საზღვარგარეთ, მაგრამ არ შეიძლება უცხოეთში ზედიზედ 90 დღეზე მეტ ხანს ყოფნა იმავე წლის მანძილზე.<sup>52</sup>

როგორც ვხედავთ, ესტონური კანონმდებლობა ნატურალიზაციისათვის საჭირო ვადების გამოთვლის საკითხში ერთობ

---

52 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ. М., 1996, стр. 432-443.

მკაცრია, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამას ქვეყნისთვის ხელი არ შეუშლია საქართველოსა და ბევრ სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოზე ადრე განეხორციელებინა ევროპასთან ინტეგრაცია.

სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი არ აზუსტებს, თუ როგორ უნდა გამოითვალოს უცხოელის ქვეყანაში ცხოვრების ვადა, რაც მოქალაქეობის საკითხებისადმი ხელისუფლების მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია. ყველა განვითარებული სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს მოქალაქეობის პრობლემებს, მათ შორის, განხილულ საკითხსაც და ფრიად დროული იქნება საქართველოშიც უფრო სერიოზულად დაინტერესდნენ ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის მაღალ დონეზე მოწესრიგებით.

საქართველოს მოქალაქეობის მიღებისთვის ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ვადებზე საუბრისას მხედველობაში მისაღებია კიდევ ერთი მეტად საინტერესო გარემოება. როგორც უკვე ითქვა, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონი არ განმარტავს ტერმინ „მუდმივად ცხოვრების“ შინაარსს, მაგრამ აღნიშნულის შესახებ გარკვეულ მინიშნებას შეიცავს საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.“<sup>53</sup>

დასახელებული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით უცხოელთათვის საქართველოში ცხოვრების ნებართვა შეიძლება იყოს ორი სახის: ვადიანი და მუდმივი. მე-20 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში კი დაზუსტებულია, რომ „საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა შეიძლება მიეცეს

---

53 კანონი № 2535-რს, სსმ 1, 2006 წ., № 3, მუხ. 16.

უცხოელს, რომელმაც საქართველოში კანონიერ საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.“ მაშასადამე, პირველი 6 წელი საქართველოში ცხოვრება არ ითვლება მუდმივ ცხოვრებად და მუდმივი ბინადრობის უფლება მოიპოვება და, შესაბამისად, აითვლება ქვეყანაში ექვსწლიანი ცხოვრების შემდეგ. თუ ამას მოქალაქეობის კანონში მითითებულ 5 წელსაც დაემატებთ, გამოდის, რომ მოქალაქეობის მოსაპოვებლად უცხოელმა საქართველოში უნდა იცხოვროს სულ ცოტა უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში.

როგორც ჩანს, კანონმდებელმა კი არ შეამცირა ნატურალიზაციისთვის დადგენილი ბინადრობის ათწლიანი ცენზი, არამედ 1 წლით გაზარდა იგი. ასეთი ვადით ბინადრობის ცენზის გაზრდის მოტივაცია გაუგებარია, ხოლო ერთი კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად რამდენიმე კანონის დებულებათა გამოყენების აუცილებლობა ხშირად კოლიზიის გადაწყვეტის აუცილებლობას წარმოშობს და პრაქტიკულად უფრო გაართულებს საქმეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ საქართველოში ნატურალიზაციისთვის ბინადრობის ცენზი განისაზღვრებოდა 7-დან 10 წლის ფარგლებში და რეალური ცხოვრების ვადის გამოთვლა მოხდებოდა შედარებით იოლი წესით. ასეთი პროცედურა უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და მომავალ მოქალაქეს შორის რეალური მყარი კავშირის წარმოშობას და ძალიან მკაცრიც არ იქნება.

**3. საქართველოში ნატურალიზაციის მსურველმა პირმა**

დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა.

ნატურალიზაციისთვის სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნა მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული და გამონაკლისს ამ მხრივ არც ჩვენ წარმოვადგენთ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოქალაქედ მიღება ნიშნავს პირის სახელმწიფოს სრულფასოვან წევრად გადაქცევას, რასაც წინ უსწრებს მისი ამ სახელმწიფოსთან სრული ადაპტაციის პერიოდი.

ამ ერთი შეხედვით სრულიად ბუნებრივ მოთხოვნასთან დაკავშირებითაც კი გარკვეული სირთულეები წარმოიქმნა ქართულ კანონმდებლობაში. საქმე ისაა, რომ მოქალაქეობის კანონის თავდაპირველ რედაქციაში, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე იქნა გამოცემული (1993 წ.), მითითებული იყო, რომ საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველს უნდა სცოდნოდა ქართული ან აფხაზური ენა (მუხ. 26, პ. „ბ“).<sup>54</sup>

მოგვიანებით, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-8 მუხლმა განსაზღვრა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური.“ ამგვარი შინაარსი გულისხმობს, რომ მთელ საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული და მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშია დაშვებული ორი სახელმწიფო ენა: ქართული და, მის პარალელურად, აფხაზური.

მიუხედავად კონსტიტუციის მითითებული მუხლის მოთხოვნისა, ნატურალიზაციისთვის მხოლოდ აფხაზური ენის ცოდნა მაინც არასაკმარისია და იურიდიულ გაუგებრობებს გამოიწვევს.

---

54 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №5, მუხ. 66, კანონი №193-ის.

ნატურალიზაციის დროს პირი ხდება მოქალაქე მთელი ქვეყნის მასშტაბით და მნიშვნელობა არა აქვს, აფხაზეთში იცხოვრებს იგი თუ საქართველოს სხვა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე. მან უნდა შეძლოს ურთიერთობა არა მხოლოდ აფხაზეთთან, არამედ საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებთანაც. მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქედ უცხოელის მიღება კი შეუძლებელია, რადგან ორგანული კანონის პირველი მუხლი ქვეყანაში ადგენს ერთიან მოქალაქეობას და არც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია დამოუკიდებელი მოქალაქეობის ინსტიტუტი.

ამგვარ პოზიციას ადასტურებს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 29<sup>1</sup> მუხლიც, რომლის თანახმადაც საქართველოში ნატურალიზებული პირი ქართულ ენაზე წარმოსთქვამს ქვეყნისადმი ერთგულების ფიცს, სადაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარებს ქართულ ენას.

ბუნებრივია, თუ პირმა იცის მხოლოდ აფხაზური ენა, იგი ერთგულების ფიცს ქართულად ვერ წარმოსთქვამს. ხოლო აფხაზური სიტყვებით სახელმწიფო ენად ქართულის აღიარება, სხვა რომ არაფერი ითქვას, უხერხულია.

აღნიშნულის შესახებ ადრე გამოთქმული ეს შენიშვნა<sup>55</sup> გაიზიარა კანონმდებელმა და 26-ე მუხლის „ბ“ პუნქტით საქართველოს მოქალაქედ მიღებისათვის დაწესდა დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნა.<sup>56</sup> რა თქმა უნდა, სახელმწიფო ენის ქვეშ იგულისხმება მხოლოდ

---

55 ა. ლორია. მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., თსუ, 1996წ., გვ. 74-76.

56 საქართველოს 1996 წლის ორგანული კანონი № 423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., № 27-28/4, გვ. 22.

ქართული და, ზემოთ გამოთქმული არგუმენტების გამო, სრულიადაც არ ილახება აფხაზთა კანონიერი ინტერესები.

ასევე საინტერესოა სახელმწიფო ენის ცოდნის ფარგლების საკითხიც. მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 26-ე მუხლის „ბ“ პუნქტი მიუთითებს, რომ ნატურალიზაციის მსურველმა სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს „დადგენილ ფარგლებში.“ ასეთი ფორმულირება გულისხმობს, რომ ენის ცოდნის ფარგლები უნდა იყოს განსაზღვრული და თანაც ნორმატიულ დონეზე, რაზეც პირდაპირ მინიშნებს სიტყვა „დადგენილი.“ მიუხედავად ამისა, საქართველოს ორგანული კანონი აღარ აზუსტებს ენის ცოდნის სავალდებულო ფარგლებს.

ჩვენგან განსხვავებით, ენის ცოდნის პრობლემას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ ბალტიისპირეთისა და რიგი სხვა ქვეყნები. მაგალითად ესტონეთის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-8 მუხლი ვრცელ განმარტებას აკეთებს აღნიშნულის თაობაზე და ადგენს, რომ დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს: 1) ისეთი ზეპირი ოფიციალური ინფორმაციის გაგება, როგორცაა განცხადებები, ახალი ამბები, გაფრთხილებები, მოვლენათა და შემთხვევათა აღწერა თუ განმარტებები და სხვა; 2) საუბარი (თხრობა), კითხვების დასმა, საკუთარი აზრის გამოთქმა, წინადადებების შეთავაზება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბრძანების გაცემა; 3) საჯარო ინფორმაციის წაკითხვა და მისი შინაარსის სწორად გაგება; 4) წერილობითი დოკუმენტების (განცხადება, ახსნა-განმარტება, ავტობიოგრაფია, მინდობილობა, სხვადასხვა ანკეტები, ბლანკები, ტესტები) დამოუკიდებლად შედგენა.

ცოდნის დადასტურების მიზნით პირმა უნდა ჩააბაროს



სპეციალური გამოცდა. წარმატების შემთხვევაში, მიიღებს შესაბამის მოწმობას. ასეთი გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომელთაც ესტონურ ენაზე მიღებული აქვთ ძირითადი, საშუალო ან უმაღლესი განათლება.<sup>57</sup>

აშკარაა, რომ ესტონური კანონმდებლობა საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებს ნატურალიზაციის მსურველთ. ეს საშუალო (ყოფითი ურთიერთობებისთვის საკმარის) დონეზე მაღალი დონეა, რადგან მოითხოვება ოფიციალური დოკუმენტების არა მარტო გაცნობა, არამედ დამოუკიდებლად შედგენაც. ასეთი მიდგომა, ალბათ, იმითაცაა გამოწვეული, რომ მოქალაქედ მიღებული პირი სახელმწიფოს სრულფასოვანი წევრი ხდება და მომავალში საჯარო მოხელის თანამდებობის დაკავებასაც შეძლებს.

დაახლოებით მსგავს მოთხოვნებს შეიცავს ლატვიის მოქალაქეობის შესახებ კანონის 19 – 21 მუხლებიც. აქ ენის ცოდნის შემოწმებისაგან თავისუფლდებიან I ჯგუფის ინვალიდები, სმენის, მეტყველების ან მხედველობის კუთხით პრობლემების მქონე II და III ჯგუფის ინვალიდები, აგრეთვე ეთნიკური ლატვიელები და ლივები.<sup>58</sup> ასეთი დაშვება იმ ქართველების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ და არანაკლებ 10 წელი მაინც ცხოვრობდნენ საქართველოში, არც ჩვენს კანონში იქნებოდა ზედმეტი. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სხვა ერების დისკრიმინაციად იმდენად, რამდენადაც სავსებით ლოგიკურია, რომ აღნიშნულ პირებს სათანადო დონეზე ეცოდინებათ ქართული.

---

57 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ, М., 1996, стр. 434.

58 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ, М., 1996, стр. 198.

კონკრეტულ დაზუსტებას ენის ცოდნის ფარგლების შესახებ არ შეიცავს ლიტვის კანონი მოქალაქეობის შესახებ, მაგრამ მე-12 მუხლის მე-4 ნაწილით შესაბამისი წესების შემუშავება უნდა მოხდეს მთავრობის დონეზე მიღებული ნორმატიული აქტით.<sup>59</sup>

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში არც ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ და არც რომელიმე სხვა მოქმედი ნორმატიული აქტი დეტალურად არ განსაზღვრავს ქვეყნის მოქალაქედ მიღების მსურველთა მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის ფარგლებს და მისი შემოწმების პირობებს, რაც, იმედია, მალე გამოსწორდება.

*4. საქართველოში ნატურალიზაციის მსურველმა პირმა დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის საფუძვლები.*

მოქალაქედ მიღებისას, გარდა სახელმწიფო ენის ცოდნისა, ზოგჯერ შეიძლება დამატებითი მოთხოვნაც იყოს დადგენილი დამატებითი ცოდნის ან კვალიფიკაციის მოთხოვნის სახით. შედარებით გავრცელებულია კონსტიტუციის ან კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლების ცოდნის მოთხოვნა. ასეთი პირობის დაწესება ახლადშექმნილ, ახალგაზრდა სახელმწიფოთა კანონმდებლობაში უფრო შეინიშნება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

საბჭოთა რეჟიმის დამხობამ გამოიწვია მრავალი ერის განთავისუფლება, რომელთაც შექმნეს ახალი, თვისობრივად განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის სახელმწიფოები, რომლებიც რადიკალურად უარყოფდნენ

---

59 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ. М. . 1996. стр. 222.

საბჭოურ იდეოლოგიასა და პოლიტიკას. ნატურალიზაციის მსურველი ინდივიდის მიერ კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების ცოდნა კი, ალბათ, არაპირდაპირ მიმანიშნებელია იმისა, რომ აღნიშნული პირი აღიარებს და მთლიანად მხარს უჭერს ახალგაზრდა ქვეყნის ახლებურ იდეოლოგიასა და პოლიტიკურ წყობას, რადგან თანახმაა მიიღოს მისი მოქალაქეობა.

ისევე, როგორც ენის ცოდნის შემთხვევაში, აქაც საჭიროა განისაზღვროს კანონმდებლობის ცოდნის ფარგლები. როგორც წესი, ამ სფეროში მოთხოვნები არ არის ძალიან მკაცრი. სავალდებულო ცოდნის დონე განისაზღვრება იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია ნებისმიერი პროფესიის მოქალაქისათვის ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად.

მაგალითად, ლიტვური კანონმდებლობა კმაყოფილდება ქვეყნის კონსტიტუციის საფუძვლების ცოდნის მოთხოვნით, რომელიც დაზუსტებულია მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტით (მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-12 მუხლი).<sup>60</sup>

ლატვიის კანონმდებლობით, კონსტიტუციის ნორმების პარალელურად, ნატურალიზაციის მსურველს მოეთხოვება „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ კონსტიტუციური კანონის ძირითადი დებულებების ცოდნაც (მოქალაქეობის კანონის მე-12 მუხ.).<sup>61</sup>

დაახლოებით მსგავსი მოთხოვნა აქვს ესტონეთსაც. ესტონეთის მოქალაქეობის კანონი (მუხ.6) მოქალაქედ მიღებისათვის საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფოს ძირითადი კანონისა

---

60 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ, М., 1996. стр. 222.

61 იქვე, გვ. 194.

და მოქალაქეობის შესახებ კანონის რიგი მოთხოვნების ცოდნას. მხოლოდ, ლატვიისაგან და ლიტვიისაგან განსხვავებით, ცოდნის ფარგლების დაზუსტება სამთავრობო აქტის დონეზე კი არ ხდება, არამედ თავად კანონი მსჯელობს ამაზე. კერძოდ, მე-9 მუხლში დადგენილია, რომ ნატურალიზაციისათვის სავალდებულოა კონსტიტუციიდან I, II, III თავების, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, პრეზიდენტისა და მთავრობის კომპეტენციათა განმსაზღვრელი ნორმების ცოდნა, ხოლო მოქალაქეობის შესახებ კანონიდან კი – მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის მარეგულირებელი ნორმების ცოდნა.<sup>62</sup>

საინტერესოა, რომ ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის მოქალაქეობის მისაღებად კანონმდებლობის ცოდნის დასამტკიცებლად სპეციალური გამოცდის გავლა აუცილებელი სულაც არ არის, მაგალითად, ბელორუსია, ყაზახეთი, უკრაინა.<sup>63</sup>

როგორც ვხედავთ, აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებშიც არაერთგვაროვანია, მაშინ, როცა ენის შესწავლისა და გარკვეული ვადით მუდმივად ცხოვრების მოთხოვნა ყველგან ფიქსირდება. ყოველი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია: არ მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის სერიოზული დარღვევა, განსაკუთრებით, საშიში დანაშაულების ჩადენა, დანაშავენი კი მკაცრად იქნენ დასჯილნი. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოაგვარებს ფიზიკური პირი პირად ცხოვრებაში წარმოქმნილ იურიდიულ პრობლემებს, დამოუკიდებლად თუ

---

62 იქვე, გვ. 433-434.

63 იქვე, გვ.გვ. 52, 117, 391.

ადვოკატის მეშვეობით, ეს მისი საქმეა. შესაბამისად, სხვადასხვა პროფესიის პირებს ვერ დაევალებულა მიიღონ სპეციალური იურიდიული განათლება. მათთვის საკმარისია ელემენტარული მოთხოვნების ცოდნა, რასაც, იმედია, მიიღებენ კიდევ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში.

“საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქციით ნატურალიზაციის მსურველ პირს მოეთხოვებოდა „დადგენილ ფარგლებში საქართველოს ისტორიისა და კანონმდებლობის“ ცოდნა. კანონმდებლობა კი საკმაოდ ფართო შინაარსის სიტყვაა და აშკარად საჭიროებდა დაზუსტებას, რასაც კანონი არ იძლეოდა. ამჟამად ტერმინი „კანონმდებლობა“ შეიცვალა სიტყვებით „სამართლის საფუძვლები,“ რაც ასევე ფართო მნიშვნელობის შემცველია და დაკონკრეტებას მოითხოვს.<sup>64</sup>

როგორც ზემოთ ითქვა, ამ კუთხით აუცილებელი არაა კანონი მკაცრ მოთხოვნებს შეიცავდეს და საკმარისია „სამართლის საფუძვლების“ ნაცვლად კონსტიტუციის ძირითადი დებულებების ცოდნაზე მითითება, რაც შეიძლება შემდგომ კიდევ უფრო დაკონკრეტდეს „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 9 ნოემბრის №637 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში.<sup>65</sup>

არანაკლებ მნიშვნელოვანია განისაზღვროს საქართველოს ისტორიის ცოდნის ფარგლებიც. ორგანული კანონის ტექსტში (მუხ. 26) „დადგენილ ფარგლებში ცოდნაზე“ მითითება

---

64 შეადარე 26-ე მუხლის ძველი და ახალი შინაარსი: საქართველოს პარლამენტის უწყებები. 1993 წ., №5, მუხ 66 და სსმ I, 2008 წ., №49, მუხ.247.

65 სსმ III, 1998 წ. №4,

გულისხმობს, რომ ეს ფარგლები დადგენილი უნდა იქნას, თუ კანონით არა, კანონქვემდებარე აქტით მაინც. ამასთან, აქაც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყველა მსურველი ისტორიკოსი არ იქნება და მისი მხრიდან საქართველოს ისტორიით დაინტერესება ქვეყნისადმი განსაკუთრებული ინტერესისა და პატივისცემის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, ისტორიის ცოდნა უცხოელს შეიძლება მოეთხოვოთ იმ დონეზე, რაც აუცილებლად მიიღწევა სახელმწიფოში ხანგრძლივი დროით ცხოვრებისას, თუ რა თქმა უნდა, პირი ნამდვილად აფასებს საქართველოს და დაინტერესებულია მისი წარსულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უხერხულია იმიგრანტს მოეთხოვოთ იცოდეს თუ როდის მოხდა ხრესილის ბრძოლა, იყვნენ თუ არა ქართველური ტომები ტუბალები და მოსინიკები, რომელ წლებში მეფობდნენ ბაგრატ რეკვენი ან ავგიორგი და სხვა ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთა თაობაზე ინფორმაცია მკვიდრ მოსახლეობაშიც კი არ არის ფართოდ გავრცელებული და პროპაგანდირებული. სამაგიეროდ, თავისუფლად შეიძლება მოვითხოვოთ ელემენტარული ინფორმირებულობა იმ ქალაქის შესახებ, სადაც ცხოვრობს უცხოელი, ასევე – სახელმწიფოს დედაქალაქის შესახებ (თბილისივით 1500 წლის ისტორია საკმაოდ იშვიათია თანამედროვე მსოფლიოში). დაინტერესებულმა პირმა იმ ადამიანთა ვინაობა მაინც უნდა იკითხოს, რომლებიც გამოსახულნი არიან მიმოქცევაში არსებულ ქართული ფულის კუპიურებზე (ბანკნოტებზე). რაოდენ რთულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სავსებით გამართლებული იქნებოდა მეფე ფარნავაზის და აიეტის ეპოქაზე თუნდაც ზედაპირული ინფორმაციის ცოდ-

ნის მოთხოვნაც. პირველი მათგანი ერთიანი სახელმწიფო დამწერლობის შემომღებია, ხოლო მეორის ამბავი, ბერძნული მითების წყალობით, მსოფლიო ისტორიის კუთვნილებად არის ქცეული და საკმაოდ პოპულარულია.

5. საქართველოში ნატურალიზაციის მსურველ პირს საქართველოში უნდა ჰქონდეს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას, ანდა საქართველოს საწარმოში უნდა ფლობდეს წილს ან აქციებს.

სამეწარმეო საქმიანობაზე, წილსა და აქციებზე მითითებას „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქცია არ ითვალისწინებდა და იგი დამატა 2008 წლის 19 დეკემბრის ცვლილებებით.<sup>66</sup>

აღიარებულია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქედ პირის მიღება მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიის მინიჭებად მიიჩნევა, რადგან ნატურალიზაცია განაპირობებს ქვეყნის მოქალაქეთა თანაბარი პირადი, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური უფლებების სრული პაკეტის მოპოვებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოში მყოფი უცხოელებისათვის ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღება სერიოზულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, თუ, რა თქმა უნდა, ისინი დროებითი ან სპეციალური მისიით არ არიან ჩამოსული. თუმცა ქართული კანონმდებლობის მიერ ხშირ შემთხვევაში უცხოელთა უფლებების გაუმართლებელი გაზრდის და საკუთარ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის ფაქტები

---

66 შუადარე 26-ე მუხლის ძველი და ახალი შინაარსი: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №5, მუხ 66 და სსმ 1, 2008 წ., №49, მუხ.247.

ერთობ საეჭვოს ხდის იმიგრანტთა მხრიდან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების ინტერესის სერიოზულ ზრდას.

საქმე ისაა, რომ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით საკუთრების უფლება საყოველთაო უფლებად გამოცხადდა და მისი შეზღუდვა (და არა გაუქმება) დასაშვებია მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. მაშასადამე, უზენაესმა კანონმა უფლებრივად მთლიანად გაუთანაბრა ერთმანეთს უცხოელი და საქართველოს მოქალაქე საკუთრების ფლობის თვალსაზრისით. ნებისმიერ უცხოელს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრებაში იქონიოს ნებისმიერი ქონება, რომელიც ამოღებული არაა სამოქალაქო ბრუნვიდან, მათ შორის უძრავი ქონებაც, რაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ მოქალაქეებს მდიდარ უცხოელებთან მიმართებაში ერთობ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. ეს უკანასკნელნი რამდენიმე თვის საშუალო ხელფასით თავისუფლად მოახერხებენ საქართველოში სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა თუ მიწების შეძენას, თუ ეს საკითხი სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის სფეროში არ მოექცა.

მაგრამ ჩვენი კანონმდებლობა უცხოელთათვის მხოლოდ საკუთრების უფლების მინიჭებით არ შემოიფარგლა. მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 26-ე მუხლის თანახმად, საქართველოში ნატურალიზაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გამოცხადებულია უძრავი ქონების არსებობა. ამგვარად, იმიგრანტი არა მარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა იქონიოს უძრავი ქონება (უმეტეს შემთხვევაში მიწა), თუ სურს საქართველოს მოქალაქეობის მიღება. მართალია, უცხო ქვეყნის ქვეშევრდომს ნატურალ-



იზაციის შესაძლებლობა აქვს უძრავი ქონების გარეშეც, თუ საქართველოში გააჩნია სამუშაო ადგილი ან ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ შეძლებული უცხოელისთვის საქართველოში იაფი უძრავი ქონების ხელში ჩაგდება არაფრით არ არის სამუშაო ადგილის მიღებაზე ბევრად ძნელი.

წარმოების ძირითად საშუალებებზე – უძრავ ქონებაზე, განსაკუთრებით კი მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვება უცხოელებს მისცემს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისუფალი ჩარევის შესაძლებლობას, რადგან ამ მხრივ ეკონომიკური ბერკეტები ფაქტობრივად გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ყოველივე ამის შემდეგ კი რალაში სჭირდება იმიგრანტს მასზე დამოკიდებული სუსტი სახელმწიფოს მოქალაქეობა, რაც დამატებით, და ისიც ფორმალურად, მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებს მისცემს, რომელთა განხორციელების რეალური შანსებიც მას უკვე ექნება. ვფიქრობ, ასეთი „ზედემოკრატიული“ მიდგომა უცხოელთა და საკუთარ მოქალაქეთა უფლებრივი გათანასწოების სფეროში სიკეთეს არ მოიტანს. ეს უფრო დასაველეთისადმი „მიძღვნილ“ უხვირო ფლირტს ჰგავს, რადგან ასეთი გათანაბრების მოთხოვნას საერთაშორისო ნორმები არ შეიცავენ.

საკუთრების უფლება დაცულია რუსეთის ფედერაციაშიც. რუსეთის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციაში თანაბრად აღიარებული და დაცულია საკუთრების კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა ფორმები.“ მაგრამ იმავდროულად ამ ქვეყნის ძირითად კანონში არის ისეთი ნორმებიც, რომლებიც მიწას გამოყოფენ როგორც უძრავი საკუთრების განსაკუთრებულ სახეს და განსაზღვრავენ მისდამი განსხვავებულ დამოკიდე-

ბულებას. კერძოდ, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ „მიწა და სხვა სახის ბუნებრივი რესურსები შეიძლება იყოს კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალურ თუ სხვა სახის საკუთრებაში“. ხოლო 36-ე მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებში სავსებით გასაგებადაა მითითებული, რომ მოქალაქენი და მათი გაერთიანებები უფლებემოსილნი არიან იქონიონ მიწა კერძო საკუთრებაში. მიწით სარგებლობის პირობები და წესი კი დგინდება ფედერალური კანონის მეშვეობით.<sup>67</sup>

განხილული მუხლების შინაარსიდან აშკარაა, რომ საკუთრების საყოველთაო უფლების აღიარების მიუხედავად, ისეთი სიკეთე, როგორცაა მიწა, შეიძლება იყოს მხოლოდ რუსეთის მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების კერძო საკუთრებაში. ამასთან, საინტერესოა ის გარემოებაც, რომ კონსტიტუცია უშვებს რიგითი კანონით მიწით სარგებლობის და არა მისი უცხოელებზე გაყიდვა-განიავების წესის განსაზღვრას. და ასეთ სიფრთხილესა და მომჭირნეობას იჩენს მიწასთან მიმართებაში სახელმწიფო, რომელსაც დედამიწის ტერიტორიის 1/6 უკავია განსხვავებით მცირემიწიანი საქართველოსაგან. კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, რუსეთის კანონმდებლობა ნატურალიზაციის პირობად უძრავი ქონების არსებობას საერთოდ არ შეიცავს.<sup>68</sup>

კერძო საკუთრებასა და ნატურალიზაციასთან მიმართებაში მსგავსი დამოკიდებულება შეინიშნება ევროპის სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობაშიც. მაგალითად, იტალიის კონსტიტუციის 44-ე მუხლში ნათქვამია, რომ „მიწის

---

67 Конституция Российской Федерации, М., Центральная Избирательная Комиссия, 1995.

68 Собрание законодательства РФ, 03.06.2002 г., №22.

რაციონალური ექსპლუატაციისა და სამართლიანი სოციალური ურთიერთობების დამყარების მიზნით, კანონი . . . განსაზღვრავს ამ საკუთრების მოცულობის ფარგლებს მხარეებისა და სასოფლო-სამეურნეო ზონების მიხედვით, იცავს წვრილ და საშუალო დონის საკუთრებას, . . . აწესებს შეღავათებს მთაგორიანი ტერიტორიების მიმართ”.<sup>69</sup> როგორც ვხედავთ, იტალიის კონსტიტუციაც გამოყოფს საკუთრების სხვა სახეობათაგან მიწის საკუთრებას, რომლის რეგულირების დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სოციალური პირობები და სპეციალური ფარგლები. რაც შეეხება ნატურალიზაციას, უძრავი ქონების არსებობა აუცილებელ პირობად აქაც არ სახელდება.

ასევე საინტერესოა, თუ როგორ აწესრიგებენ აღნიშნულ საკითხებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებსაც საქართველოს მსგავსად ტოტალიტარული რეჟიმიდან განთავისუფლების შემდეგ თავიდან მოუხდათ ახალი სახელმწიფოს მშენებლობა. მაგალითად, ბალტიისპირეთის არც ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნატურალიზაციისათვის უძრავი ქონების (მითუმეტეს – მიწის) არსებობის მოთხოვნას.

ესტონეთის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-6 მუხლი უცხოელის მოქალაქედ მიღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ასახელებს მუდმივ ლეგალურ შემოსავალს, რაც უზრუნველყოფს განმცხადებლისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობას. ამასთან, კანონი თავად განმარტავს თუ რა ჩაითვლება მუდმივ ლეგალურ შემოსავლად და

---

69 დემეტრაშვილი ა. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 1992 წ., 33-132

ასეთად მიიჩნევს: შრომითი, სამსახურებრივი, სამოქალაქო ხელშეკრულების ან წევრობის საფუძველზე კანონიერი გზით მიღებულ ნებისმიერ შემოსავალს; კანონიერი კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს; აგრეთვე პენსიას, სტიპენდიას, ალიმენტს, სახელმწიფო დახმარებას, დახმარებას უმუშევართათვის ან ესტონეთში ლეგალური შემოსავლის მქონე ოჯახის ნებისმიერი წევრის მიერ გაღებულ სახსრებს.<sup>70</sup>

ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ ლიტვის მოქალაქეობის მიღების მსურველ უცხოელს უნდა გააჩნდეს ან მუდმივი სამუშაო ადგილი, ან შემოსავლის ლეგალური წყარო ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.<sup>71</sup> ხოლო ლატვიის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მე-5 პუნქტი მოქალაქედ მიღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად შემოსავლის ლეგალურ წყაროს ასახელებს და ლატვიაში სამუშაო ადგილის შოვნას არ ავალებს უცხოელს.<sup>72</sup>

როგორც ვხედავთ, უძრავი ქონების, თუნდაც მიწის შეძენის მოთხოვნა ნატურალიზაციის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული არ არის. მთელი რიგი ქვეყნები ერთობ მკაცრად ეკიდებიან უძრავი ქონების, როგორც სახელმწიფოს ძირითადი რესურსებისა და წარმოების უმთავრესი საშუალებების გასხვისების პრობლემებს. მაგალითად, ლატვიის კონსტიტუციური კანონის „აღამიანისა

---

70 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ, М., 1996. стр. 433.

71 იქვე, გვ. 221-222.

72 იქვე, გვ. 194.

და მოქალაქის უფლებები და მოვალეობები“ მე-9 მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ მხოლოდ ლატვიის მოქალაქეებს შეიძლება გადაეცეთ საკუთრებაში ან მიეყიდოს მიწა და სხვა რესურსები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ლატვიის საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არის გათვალისწინებული.<sup>73</sup>

უნდა ითქვას, რომ ასეთ დებულებას ხელი არ შეუშლია ლატვიისთვის საქართველოზე ბევრად ადრე გამხდარიყო ევროსაბჭოს წევრი. ეს იმიტომ, რომ აღიარებული საერთაშორისო აქტები უძრავი ქონებით სარგებლობისა თუ მისი განკარგვის საკითხთა რეგულირებას სახელმწიფოთა შიდა კომპეტენციას მიაკუთვნებენ, რაც ძირითადად ეროვნული კანონმდებლობებით წესრიგდება კიდევ.

მოქალაქეობის მოპოვების მსურველისადმი საკმარისი კანონიერი შემოსავლის მოთხოვნა მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათი არ არის. კანონმდებელი თავს იზღვევს და ამოწმებს, შეუძლია თუ არა მომავალ მოქალაქეს თავის რჩენა, რათა თავიდან აირიდოს ბიუჯეტის ხარჯზე შესანახ პირთა რაოდენობის გაუმართლებელი ზრდა. ამ თვალსაზრისით უძრავ ქონებაზე მითითება მაინც არ ნიშნავს გამოსავალს. საქმე ისაა, რომ უძრავი ქონება ზოგადი შინაარსის მქონე ცნებაა და იგი შეიძლება გულისხმობდეს როგორც ფაბრიკა-ქარხნებს ან რამდენიმე ჰექტარ მიწას, ისე ერთობ მცირე ქონებას, რომელიც აშკარად არ იქნება საკმარისი ნორმალური არსებობისთვის. მაგალითად, ერთი ძირი ხეც უძრავი ქონებაა, მაგრამ უზრუნველყოფს კი იგი ადამიანის ყველა მატერიალური მოთხოვნილების თუნდაც მინიმალურ დაკმაყოფილე-

ბას? სამწუხაროდ, საქართველოში მრავლად არიან ოჯახები, რომელთაც საცხოვრებელი ბინა ან მიწის ნაკვეთი გააჩნიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სიღარიბის უკიდურეს ზღვარზე მყოფებად არიან ოფიციალურად მიჩნეული.

ამასთან, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ქართული კანონმდებლობის უცნაური დამოკიდებულებაც. კერძოდ, 2005 წლის 27 დეკემბრის „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „საქართველოში უცხოელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლიათ საკუთრებაში ჰქონდეთ, მემკვიდრეობით მიიღონ ან ანდერძით დატოვონ ნებისმიერი ქონება, აგრეთვე ჰქონდეთ პირადი არაქონებრივი უფლებები.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტში კი მითითებულია, რომ „ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით (ანუ კანონით).“<sup>74</sup>

ასეთი დაშვება ამ კუთხით უცხოელთა უფლებების შეზღუდვისა მთლიანად შეესაბამება საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტებსაც არ არღვევს.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ 1996 წლის 22 მარტის კანონის მე-4 მუხლში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი დადგენილია, რომ „1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეს,

---

<sup>74</sup> კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.“ სსმ 1, 2006 წ., №3, მუხ.16.

კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე ამ მუხლის 1<sup>1</sup>, 1<sup>2</sup>, და 1<sup>3</sup> პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ამასთანავე, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს – აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე.”<sup>75</sup>

როგორც ვხედავთ, კანონი საკმაოდ ზღუდავს უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრებას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე. კიდევ უფრო მკაცრ მოთხოვნებს აყენებს მათ მიმართ ამავე მუხლის 1<sup>1</sup>, და 1<sup>2</sup> პუნქტები, რომლებიც მოითხოვენ, რომ უცხოელმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკუთრების უფლების წარმოშობიდან თვის ვადაში საქართველოს მოქალაქეზე ან იურიდიულ პირზე გაასხვისონ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებითა და სათანადო ანაზღაურებით, მათ ჩამოერთმევათ შესაბამისი მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს სასარგებლოდ.

არანაკლებ საინტერესოა დასახელებული მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტიც, რომლის თანახმადაც, ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისას გამოიყენება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრე-

---

75 საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., კანონი №165-III, №007, გვ 16; კანონი №389, სსმ I, 2000 წ., №23, მუხ. 64; კანონი №2429, სსმ I, 2003 წ., №21, მუხ. 146; კანონი №4958, სსმ I, 2007 წ., №24, მუხ. 221.

ბის ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები. მაშასადამე უცხოელებზე მიწის გასხვისებას კანონმდებელი ქვეყნისთვის საზიანოდ მიიჩნევს და მის ჩამორთმევას საზოგადოებრივი საჭიროებით გამოწვეული აუცილებლობით ასაბუთებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მართლზომიერია, მხოლოდ იგი უნდა გავრცელდეს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებზე, არამედ ნებისმიერი სახის მიწის მფლობელობაზე და უძრავ ქონებაზე.

და ბოლოს, უძრავ ქონებასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ მასზე საკუთრების უფლება სწორედ რომ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების შემდეგ უნდა წარმოიშვებოდეს. ეს უზრუნველყოფს უცხოელთა დაინტერესებას დაიმსახურონ სახელმწიფოს კეთილგანწყობა და გახდნენ მისი სრულფასოვანი წევრები.

ასევე არასწორია საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონში ნატურალიზაციის ერთ-ერთ პირობად საქართველოში სამუშაო ადგილის მოთხოვნა. იმიგრანტს საქართველოში ანაზღაურებადი სამუშაო ადგილის ნაცვლად შეიძლება ჰქონდეს სხვა სახის კანონიერი შემოსავალიც, მაგალითად; პენსია, საბანკო დანაზოგიდან ან სხვა კაპიტალდაბანდებიდან მიღებული შემოსავალი, ან კიდევ ხელოვნების საკუთარ ნიმუშთა გაყიდვითა თუ საავტორო უფლებებით მიღებული სახსრები.

შემოსავლის ყველა დასახელებული წყარო სავსებით კანონიერია და მათი უგულებელყოფა შეცდომა იქნებოდა. ამასთან, საქართველოში ნატურალიზაციისათვის დაწესებულია 5 წლიანი ბინადრობის ცენზი, რაც აიძულებს მუდმივად მცხოვრებ უცხოელს იქონიოს ლეგალური შემოსავალი, რათა



იარსებოს მითითებული ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და რაც თითქმის მთლიანად გამოირიცხავს ისეთი იმიგრანტის მოქალაქედ მიღებას, რომელიც შემდგომში სოციალურად დაუცველი და სახელმწიფო დახმარების მთხოვნელი გახდება. ხოლო უკეთეს უცხოელი ქვეყანაში ცხოვრების პერიოდში შეეცდება უკანონო შემოსავლებით გაიტანოს თავი, იგი გამოაშკარავებულ უნდა იქნეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ და სათანადო პასუხისმგებლობის შეფარდების შემდეგ, შესაძლოა ქვეყნის ტერიტორიიდანაც გააძევონ.

ქვეყნის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან ქართულ საწარმოში წილისა თუ აქციების ფლობა გარკვეული მატერიალური სახსრების არსებობაზე მიახიშნება. წილისა და აქციების მფლობელი შეიძლება საერთოდ არ იყოს სამსახურებრივად დასაქმებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ექნება შემოსავლის სავსებით ლეგალური წყარო. ამ შემთხვევაში გაუგებარია, ბიზნესის გარდა სხვა ლეგალურ წყაროს რატომ არ აღიარებს კანონი. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, შეიძლება არსებობდეს სავსებით კანონიერი სხვა შემოსავლებიც, მაგალითად, სხვადასხვა გათამაშებებით მიღებული მოგება, პენსია, მემკვიდრეობით მიღებული ქონება და ა.შ. ბუნებრივია, კანონი მსგავს ლეგალურ შემოსავლებსაც დასაშვებად უნდა მიიჩნევდეს, რათა არ მოხდეს საქართველოში ნატურალიზაციის მსურველთა სოციალური და ქონებრივი დისკრიმინაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არასწორია საკუთრების უფლების მოვალეობად გამოცხადება და უცხოელთათვის თავის რჩენის კანონიერი გზების მაქსიმალურად შეზღუდვა. ამგვარი შეუ-

საბამოების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის „დ“ პუნქტი. „საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ანდა საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს,“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ) გააჩნია შემოსავლის ლეგალური წყარო, რაც საკმარისია მისი და მის კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობისათვის“.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვინმეს საკამათოდ მოეჩვენოს საკითხი თუ რა სახსრები უნდა ჩაითვალოს უცხოელისა და მისი ოჯახის არსებობისათვის საკმარისად. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მინიმალურ დონედ უნდა მოვიაზროთ საქართველოში დადგენილი მინიმალური ანაზღაურების შესატყვისი შემოსავალი და იმედი ვიქონიოთ, რომ მალე დადგება დრო, როცა საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ლეგალური შემოსავალი საკმარისი იქნება არა მარტო არსებობისათვის, არამედ მისი და მისი ოჯახის წევრების ღირსეული ცხოვრებისთვისაც.

*6. საქართველოში ნატურალიზაციის მსურველ პირს ჩადენილი არ უნდა ჰქონდეს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ.*

*7. ასევე ჩადენილი არ უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული.*

მოქალაქედ მიღების დამაბრკოლებელ გარემოებად კრიმინალური წარსულის მიჩნევა საკმაოდაა გავრცელებული მსოფლიო პრაქტიკაში. თუ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეო-

ბის სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში უშუალოდ არ არის მითითებული აღნიშნულის შესახებ, ეს ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანაში ნატურალიზაციის დამაბრკოლებელი მსგავსი გარემოება საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ასეთ სახელმწიფოს ხშირად კრიმინალური წარსულის გამო შეზღუდვა დაწესებული აქვს იმიგრაციული პროცესების მარეგულირებელი აქტებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უცხოელი ქვეყანაში მუდმივად ან ხანგრძლივად ცხოვრებისა და დასაქმების უფლებას (ზოგან ე.წ. Green Card-ს) ვერ მოიპოვებს, თუ იგი ნასამართლევა ცალკეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის. მაშასადამე, ასეთი პირი ვერ შეძლებს მოქალაქედ მიღებისათვის საჭირო ვადით სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრებას, ანუ ვერ დააკმაყოფილებს ბინადრობის ცენზს, რის გამოც მოქალაქეობის მინიჭებაზეც უარი ეთქმება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნატურალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებად, როგორც წესი, ითვლება განზრახი დანაშაულის ჩადენა. ამასთან, ზოგი ქვეყანა დანაშაულის სიმძიმის ხარისხზეც მიუთითებს, ზოგი კი – არა.

მაგალითად, ნორვეგიული კანონმდებლობა მიუთითებს ზოგადად დანაშაულზე და ითვალისწინებს მის სიმძიმეს. კერძოდ, სწორედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკიდებული იმ ვადის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც ვერ იქნება განხილული მოქალაქედ მიღების თაობაზე წარდგენილი განცხადება.<sup>76</sup>

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენა არ ნიშნავს იმას, რომ პირი სამუდამოდ კარგავს ამა

---

76 Information on Norwegian Citizenship. Oslo. 1992. p.7-10.

თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას. დანაშაულის ჩადენიდან ან სასჯელის მოხდიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თუ პირი კვლავ არ ჩაიდენს კრიმინალურ ქმედებას, იგი თავისუფლდება დამნაშავეის სახელისა და ნასამართლობის ტვირთიდან და უფლება აქვს ნატურალიზაციის თაობაზე განცხადებით მიმართოს სათანადო ორგანოებს. შეზღუდვის დროის ხანგრძლივობა კი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა და ძირითადად დანაშაულის სიმძიმესა და ნასამართლობის გაქრობაზეა დამოკიდებული.

თუმცა არსებობს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლების ჩამდენთა მოქალაქედ მიღება სახელმწიფოებს საერთოდ არ სურთ, მიუხედავად ქმედების ჩადენიდან გასული დროის ხანგრძლივობისა. ასეთია, მაგალითად, ტერორიზმი, გენოციდი და სხვა განსაკუთრებული საშიშროების შემცველი დანაშაულები.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია ნატურალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევდა ისეთი განზრახვი დანაშაულის ჩადენას, რომელიც პასუხისმგებლობის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 3 წელზე მეტი ვადით, თუ პირს ნასამართლობა არ ექნებოდა მოხსნილი ან გაქარწყლებული. ასეთი მოთხოვნა საკმაოდ მკაცრი გახლდათ, მაგრამ მსგავსი პრეცედენტიც არ იყო იშვიათი. მაგალითად, ლატვიის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი მიუთითებდა 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთაზე,<sup>77</sup> ლიტვის ანალოგიური კანონის მე-13

---

77 Сборник законодательных актов государства СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ. М., 1996. стр. 193-194.

მუხლის მე-3 პუნქტი ზოგადად თავისუფლების აღკვეთაზე მიანიშნებდა და ვადას საერთოდ არ ასახელებდა,<sup>78</sup> ხოლო ესტონეთის მოქალაქეობის კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი კი ასახელებს ასევე ერთწლიან თავისუფლების აღკვეთის ვადას ან განზრახი დანაშაულის არაერთგზის ჩადენის შემთხვევას.<sup>79</sup>

1996 წელს განხორციელებული ცვლილებებით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის აღნიშნული მოთხოვნა გაუქმდა და კანონის ტექსტს დაემატა 26<sup>1</sup> მუხლი. ამჟამად საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება პირი, თუ მან ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ ან თუ იგი მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში.<sup>80</sup>

კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, ბუნებრივია, მისასალმებელია, მაგრამ ასეთი ლიბერალიზაცია უკვე ზედმეტია. კანონის თანამედროვე რედაქციაში მითითებული ნატურალიზაციის დამაბრკოლებელი გარემოებები უკავშირდება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ისეთ უმძიმეს დანაშაულებს, როგორცაა ტერორიზმი, გენოციდი და ა.შ., ასევე უმძიმეს შიდასახელმწიფოებრივ დანაშაულებს. გამოდის, რომ თუ პირს სახელმწიფო გადატრიალება ან გენოციდი არ ჩაუდენია და მხოლოდ თითო ადამიანის მკვლელობისთვის არის რამდენჯერმე ნასამართლევი (რეციდივისტია), საქართველოს

---

78 იქვე, გვ. 222.

79 იქვე, გვ. 439.

80 შედარებისთვის იხ. კანონის პირველი და ცვლილების შემდგომი რედაქციები (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №5, მუხ 66 და საქართველოს 1996 წლის ორგანული კანონი № 423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., № 27-28/4, გვ. 22.).

მოქალაქედ მიღებასთან დაკავშირებით ამ კუთხით პრობლემა არ შეექმნება. ასეთ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ ნასამართლობის ხანდაზმულობის ვადაზე მითითება დღეისათვის კანონში არ ფიქსირდება.

ეს უკვე გაუმართლებელი, „ზედმეტი დემოკრატიაა.“ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა აშკარად თავს იზღვევს კრიმინალური ელემენტების არამც თუ მოქალაქედ, არამედ უცხოელის სტატუსით საკუთარ ტერიტორიაზე დაშვებისგანაც კი. რიგი ქვეყნების კანონმდებლობა კი, ნასამართლობის პარალელურად, პიროვნების მორალური რეპუტაციითაც კი ინტერესდება.

დიდი ბრიტანეთის 1981 წლის კანონის №1 დამატების თანახმად, პირის ნატურალიზაციისთვის, სხვა პირობების დაცვასთან ერთად, საჭიროა მისი კეთილგანწყობა გაერთიანებული სამეფოსადმი და პირადი კარგი რეპუტაცია, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო მდივანი.<sup>81</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების 1952 წლის კანონით იმიგრაციის შესახებ მოქალაქედ მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა განმცხადებლის დადებითი ზნეობრივი საქციელი და კეთილპატიოსნება.<sup>82</sup> კეთილპატიოსნება სადავო ხდება, თუ პირი ლოთობს, დაკავშირებულია პროსტიტუციასთან, კონტრაბანდასთან, ნარკობიზნესთან. ამორალურ საქციელად ითვლება შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემაც.

ბალტიისპირეთის ქვეყნების: ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის კანონმდებლობით უცხოელის რეპუტაციაზე

---

81 International and Comparative Law Quartely, vol. 26. part 3, 1977. Juli. p. 685-686.

82 Immigration and Nationaliti Act Amedments adn Notes on Related Laws. WaSh.. 1969. p. 11-114.

უარყოფით გავლენას ახდენს უცხო ქვეყნის, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის, პოლიციის, სამხედრო, სადაზვერვო თუ უშიშროების სამსახურებში თუნდაც წარსულში მუშაობა. დასახელებული გარემოება ამ ქვეყნებისთვის პირის არასაიმედოობის მანიშნებელია და მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

მოყვანილი მაგალითები საესებით თვალნათლივ მიუთითებენ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოები მოქალაქეობის ინსტიტუტს და როგორ სიფრთხილეს იჩენენ უცხოელთათვის ამ სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას.

რა თქმა უნდა, ოდესღაც ჩადენილი მსუბუქი დანაშაულისთვის პირის სამუდამო დისკრედიტაცია არადემოკრატიულია, მაგრამ არც გადაჭარბებული ლოიალურობა ვარგა. ყოველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყლების ვადები მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული. ნასამართლობის გაქარწყლება გულისხმობს, რომ სასჯელის მოხდიდან კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პირი ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ, თუ იგი ამ პერიოდში ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს. მაშასადამე, კანონმდებელი შესაძლებლად თვლის პირის რეაბილიტაციას, თუ ის გამოსწორდება და უარს იტყვის კრიმინალურ ქმედებათა ჩადენაზე.

ასეთი მიდგომა უნდა აისახოს კიდევ მოქალაქეობის კანონში. სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისთვის ნასამართლობის გაქარწყლების სხვადასხვა ვადას ადგენს. მათ შორის უმაღლესია რვაწლიანი ვადა, რაც გათვალისწინებულია განსაკუთრებით

მძიმე დანაშაულისათვის და რომელიც უნდა გავიდეს სასჯელის მოხდის დღიდან, რათა პიროვნება ჩაითვალოს ნასამართლობის არმქონედ.

სწორედ მითითებული მოთხოვნის გათვალისწინებაა საჭირო მოქალაქედ მიღებისას. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26<sup>1</sup> მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული უმძიმესი დანაშაულების ჩამდენთა მოქალაქედ მიღება შეიძლება საერთოდ აკრძალვით, ხოლო სხვა დანაშაულის ჩამდენთათვის შეიძლება დაწესდეს ნატურალიზაციის შეზღუდვა 8-10 წლის ვადით სასჯელის მოხდის დღიდან.

ამასთანავე აუცილებელია პიროვნების ზნეობრიობისა და რეპუტაციის გათვალისწინებაც, როგორც ეს რიგი ქვეყნების კანონმდებლობითაა დადგენილი. შეიძლება ადამიანი ჩამოყალიბებული დამნაშავე არ იყოს, მაგრამ მისი ცხოვრების წესი ან საქმიანობა დადებით შეფასებას არ იმსახურებდეს. მაგალითად, კონტრაბანდაში მონაწილეობა დანაშაულად არ ითვლება, მაგრამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და სასარგებლო საქმიანობად ვერ მივიჩნევთ. ან კიდევ, ლოთობა, პროსტიტუცია, ტოქსიკომანია და სხვა ამორალური ქმედებები ჩვენი კანონმდებლობით დანაშაულებრივ ქმედებად არ ითვლება, მაგრამ საკმაოდ მავნე ზემოქმედების მომხდენია საზოგადოებაზე, განსაკუთრებით, მოზარდ თაობაზე და ამგვარი რეპუტაციის უცხოელების არამც თუ მოქალაქედ მიღება, სახელმწიფოში შემოსვლაც კი არასასურველია.

*8. ნატურალიზაციის დამაბრკოლებელი სხვა გარემოებები.*

მართალია, მოქალაქეობის კანონის ნატურალიზაციასთან



დაკავშირებულ 26-ე და 26<sup>1</sup> მუხლებში ზემოაღნიშნულის გარდა მოქალაქედ მიღების დამაბრკოლებელი სხვა პირობები პირადპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მხედველობაში მისაღებია სხვა გარემოებებიც.

საქმე ისაა, რომ ამავე კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის რიგ პირობებს. კერძოდ, უნებართვოდ უცხო სახელმწიფოს სამხედრო თუ სხვა საჯარო სამსახურში შესვლა, საზღვარგარეთ მუდმივად ცხოვრების შემთხვევაში 2 წლის მანძილზე საკონსულო აღრიცხვაზე არ დადგომა, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება მიიჩნევა ქართული მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლად.

ბუნებრივია, თუ ჩამოთვლილი გარემოებები შეუძლებელს ხდიან საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებას, ისინი მისი მოპოვების დამაბრკოლებელ გარემოებებადაც უნდა იქნენ მიჩნეულნი. მაგალითად, თუ უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში შესვლა იწვევს ჩვენი მოქალაქეობის შეწყვეტას, ვერც უცხოელ სამხედროს ვერ მივიღებთ მოქალაქედ, რადგან მაშინვე დადგება მოქალაქეობის დაკარგვის გამომწვევი გარემოებაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის საქართველოს მოქალაქედ მიღებისას გამორიცხული უნდა იყოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 32-ე მუხლით დადგენილი მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლების არსებობაც.

## §2. ქორწინებით ნატურალიზაცია

ქორწინებით ნატურალიზაცია მოქალაქეობის მოპოვების ასევე საკმაოდ გავრცელებული სახეა, რომელსაც სხვაგვარად ნატურალიზაციის გაიოლებულ სახესაც ვუწოდებთ, რადგან ამ დროს, საერთო წესისგან განსხვავებით, გაცილებით იოლი პირობების დაკმაყოფილება მოეთხოვებათ დაინტერესებულ პირებს.

ქორწინებით მოქალაქეობის მიღების უფლება დაკავშირებულია ადამიანის ისეთ მნიშვნელოვან უფლებებთან, როგორცაა ქორწინებისა და პირადი ცხოვრების თავისუფლება. ოჯახის შექმნა სერიოზული მოვლენაა არა მარტო ფიზიკური პირის პირად ცხოვრებაში, არამედ სახელმწიფოსთვისაც, რომელიც დაინტერესებულია მოსახლეობის ზრდით. სწორედ ამიტომ ქვეყნების დიდი უმრავლესობა ერთობ ამარტივებს როგორც ქორწინებით ნატურალიზაციის პირობებს, ისე მასთან დაკავშირებულ პროცედურებსაც.

ზოგიერთ სახელმწიფოში უშუალოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი ითვლება სავსებით საკმარის პირობად მოქალაქეობის მისაღებად, ზოგან კი საკმაოდ მარტივი პირობების დაკმაყოფილებაა საჭირო კანდიდატის მხრიდან. მაგალითად, იტალიაში იტალიის მოქალაქე მამაკაცზე დაქორწინებულ უცხოელ მანდილოსნებს ავტომატურად ენიჭებათ ამ ქვეყნის მოქალაქეობა, ხოლო საფრანგეთის კანონმდებლობით საკმარისია საფრანგეთის მოქალაქის მეუღლემ განცხადებით მიმართოს საამისოდ კომპეტენტურ ორგანოებს. ამასთან, ფიქტიური ქორწინება, თუ ქალი ვერ აცნობიერებდა ამ გარემოებას ანუ მოტყუებული იყო, შეიძლება არ აღმოჩნდეს

საკმარისი საფრანგეთის მოქალაქეობის შეწყვეტისათვის.<sup>83</sup>

ამავე დროს ცალკეულ სახელმწიფოთა კანონმდებლობა გარკვეულ მოთხოვნებს, ზოგჯერ არცთუ მარტივს, მაინც აწესებს მექორწინეთა მიმართ. ცნობილია, რომ ამერიკული კანონმდებლობის მოთხოვნები საკმაოდ პრეტენზიულია მეუღლეთა კავშირის სერიოზულობის, პრეტენდენტის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების და სხვა გარემოებათა დადგენის მიზნით.

თუმცა, ცალკეულ ქვეყანაში დადგენილი პირობების ერთგვარი სიმკაცრე არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ოჯახის შექმნისადმი გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულება. დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებელი ყოველთვის პატივისცემით ეკიდება პიროვნების მხრიდან ამ უფლების განხორციელების საკითხს. მაგრამ იმდენად, რამდენადაც საკითხი მნიშვნელოვანი და დაფასების ღირსია, ხელისუფლება ვერ დაუშვებს თავად მოქალაქეთა მხრიდან მისდამი არასერიოზულ დამოკიდებულებას და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს გამოარკვიოს ადგილი ხომ არა აქვს მერკანტილური მიზნებით ფაქტის გაყალბებას ანუ ფიქტიურ ქორწინებას.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის 28-ე მუხლიც გარკვეულწილად აიოლებს ქორწინებით ნატურალიზაციის პირობებს და ადგენს, რომ „პირი რომელიც დაქორწინებულია საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღე-

---

83 Боярс Ю.Р., Вопросы гражданства в международном праве. М., 1986 г., стр. 13, 100-101.

ბულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და 26<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.”

ნორმის ციტირებული შინაარსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქორწინებით ნატურალიზაცია ორმხრივი (სახელმწიფოსა და პიროვნების) ნების გამოვლინების შედეგია. მაშასადამე, მოქალაქეობის მინიჭება ავტომატურად არ ხდება და ამისათვის საჭიროა დაინტერესებულმა მხარემ განცხადებით მიმართოს სათანადო ორგანოს. საკითხის ასე დაყენება ფიზიკური პირის ინიციატივის გაძლიერებაზე მეტყველებს და კანონის დემოკრატიულობის მიმანიშნებელია.

რაც შეეხება პირობების გაიოლებას, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ბინადრობის ცენზის შემცირებასა და 5-დან 2 წლამდე დაყვანაში. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია არა იმდენად ქორწინების ხანგრძლივობაზე, რამდენადაც ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ფაქტზე. წყვილი შეიძლება 5 ან მეტი წლის წინათ იყოს შეუღლებული, მაგრამ აქ მთავარია, რომ განცხადების შეტანამდე უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ორთავე მუდმივად და ერთად ცხოვრობდეს საქართველოში.

ალბათ, ასეთი მოთხოვნა არა მხოლოდ ქორწინების ფაქტიურობის დადასტურებას ემსახურება. ქორწინების ფაქტიურობა შეიძლება დადასტურდეს ხანგრძლივი თანაცხოვრებით, შვილების შექმნით და სხვა გარემოებებით. როგორც ჩანს, მხოლოდ ოჯახის შექმნა ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის და სახელმწიფოს სურს პრეტენდენტმა უფრო მეტად დაიმსახუროს საქართველოს მოქალაქეობა: კეთილი ინებოს და უკანასკნელი ორი წელი აქ იცხოვროს.

ბინადრობის ცენზის დადგენა იმითაც არის განპირობებული, რომ ქორწინებით ნატურალიზაციის მსურველმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული დრო დასჭირდება. ამასთან, ქვეყანაში ორი წელი ცხოვრება, ალბათ, ხელს შეუწყობს პირის უკეთეს ინტეგრაციას, აქ არსებული წესებისა და ტრადიციების გაცნობასა და შეთვისებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ფიზიკურ პირს შორის იმ მყარი კავშირის ჩამოყალიბებას, რომელიც საფუძვლად უდევს მოქალაქეობის, როგორც ორმხრივი ურთიერთობის, შიდა ბუნებას.

ბინადრობის ცენზის არსებობა ქორწინებით ნატურალიზაციისას საერთაშორისო პრაქტიკაში იშვიათი არ არის. მაგალითად, ვადის გამოთვლის საინტერესო წესია ნორვეგიაში. კერძოდ, ქორწინების ვადა ემატება ქვეყანაში ცხოვრების ვადას და საერთო ჯამში უნდა შეადგენდეს 8 წელს. ამასთან, ნორვეგიაში ცხოვრების პერიოდი 2 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.<sup>84</sup>

დაახლოებით საქართველოს მსგავსი მოთხოვნები აქვს ლიტვასაც, სადაც ბინადრობის ცენზი 3 წლითაა განსაზღვრული. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქციითაც 3 წელი იყო დადგენილი და 2009 წლის 1 თებერვლიდან შემცირდა 2 წლამდე.<sup>85</sup>

საკმაოდ მკაცრია ამ კუთხით ლატვიის კანონმდებლობა.

---

84 Information on Norwegian Citizenship. Oslo, 1992. p. 9.

85 შედარებისთვის იხ. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №5, მუხ 66 და საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802 - სსმ I, 2008წ., №40, მუხ. 247.

ლატვიის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტით ქორწინებით მოქალაქეობის მოსაპოვებლად ქორწინების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები, ხოლო ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ვადა – უკანასკნელ 5 წელზე ნაკლები. საინტერესოა, რომ ესტონეთის 1995 წლის 19 იანვრის კანონი მოქალაქეობის შესახებ საერთოდ არ შეიცავდა ქორწინებით ნატურალიზაციის მარეგულირებელ ცალკე ნორმას.<sup>86</sup>

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობით დადგენილ ქორწინებით ნატურალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებებს, ისინი იგივეა, რაც საერთო წესით ნატურალიზაციისთვის არის განსაზღვრული. დამატებით შეიძლება მხოლოდ მივეუთითოთ შემთხვევაზე, როცა დადასტურდება ქორწინების ფიქტიურობა. ასეთ დროს უნდა ამოქმედდეს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით მოპოვებული მოქალაქეობის დაკარგვას. გარდა ამისა, ყალბი საბუთების გამო, შესაძლებელია დაისვას ბრალეულ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვის დამატებითი გარანტიაა.

ქორწინებით მოქალაქეობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი ხშირად უკავშირდება ორმაგი მოქალაქეობის პრობლემას. ზოგოერთი ქვეყანა, რომელიც როგორც წესი, არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას, უშვებს გამონაკლისს

---

86 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ, М., 1996, стр. 196, 432-443.

ქორწინებით ნატურალიზებულ პირთა მიმართ და ურიგდება მათ მიმართ ორი მოქალაქეობის არსებობას. ასეთ დაშვებას ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და ქორწინებას არ მიიჩნევს ორმაგი მოქალაქეობის წარმოშობის საფუძველად.

საქართველოს მოქალაქის უცხოელმა მეუღლემ, თუ ქართული მოქალაქეობის მოპოვება სურს, უარი უნდა თქვას თავდაპირველ მოქალაქეობაზე. რა თქმა უნდა, მშობლიური, დაბადებით მიღებული მოქალაქეობის დატოვება ბევრს არ ენდომება, რაც თავისთავად განაპირობებს, რომ საქართველოში ქორწინებით ნატურალიზაციის მსურველთა რაოდენობა ღიდ მასშტაბებს არ მიიღებს.

### §3. ნატურალიზაციის განსაკუთრებული პირობები

ნატურალიზაციის განსაკუთრებული წესი, იგივე განსაკუთრებული პირობები, წარმოადგენს მოქალაქედ მიღების კიდევ ერთ სახეს. იგი საკმაოდ გავრცელებულია და სახელმწიფოები ხშირად იყენებენ მას. ნატურალიზაციის განსაკუთრებული წესი გულისხმობს ცალკეული კატეგორიის პირთათვის ჩვეულებრივი, საერთო წესისაგან განსხვავებული პირობების დადგენას, რაც ძირითადად ბინადრობის, განათლების, ქონებრივი და სხვა ცენზების შემცირებაში, ხშირად კი მათ სრულ უგულებელყოფაში გამოიხატება.

ზოგჯერ ამ წესს გამონაკლისის წესსაც უწოდებენ. მაგალითად, ლიტვის 1991 წლის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-16 მუხლს ეწოდება „მოქალაქედ მიღება გამონ-

აკლისის წესით.“ დასახელებულ ნორმაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის პრეზიდენტს შეუძლია გამონაკლისის წესით, ე.ი. საერთო პირობებისა და მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, მოქალაქედ მიიღოს ისეთი პირი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ლიტვის წინაშე. თუმცა, იქვე მითითებულია ისიც, რომ ამ სახის ნატურალიზაცია არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს მოქალაქედ მიღებული პირის ოჯახის წევრების მიმართ, მათ შორის, მათი ავტომატურად მოქალაქედ ჩათვლას.<sup>87</sup>

ესტონეთის მოქალაქეობის კანონი კი არ იყენებს არც ტერმინ „განსაკუთრებულ წესს“ და არც ტერმინ „გამონაკლისის წესს.“ მე-10 მუხლის სათაურში პირდაპირაა მითითებული განსაკუთრებული დამსახურების გამო ესტონეთის მოქალაქედ მიღებაზე. რა თქმა უნდა, სწორედ ეს არის განსაკუთრებული პირობების დაწესება და არა გამონაკლისი, როგორც ეს ლიტვის კანონშია აღნიშნული. ამასთან, ესტონეთის კანონმდებლობით განსაკუთრებული დამსახურების გამო ნატურალიზაციისათვის აუცილებელია ქვეყნის მთავრობის წევრის მოტივირებული და დასაბუთებული შუამდგომლობა. თანაც, ამ წესით ესტონეთის მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს წელიწადში მხოლოდ 5 პირი.<sup>88</sup>

ნატურალიზაციის განსაკუთრებულ პირობებს ადგენს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტს, ცალკეულ შემთხვევებში, უფლება აქვს ამ კანონის 26 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებ-

---

87 Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам. МОМ. М., 1996. стр. 223.

88 იქვე, გვ. 435.



ული პირობების დაუცველად საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ:

ა) საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.”

როგორც ვხედავთ, აქ საუბარია არა გამონაკლისზე, არამედ განსაკუთრებულ პირობებზე, რომლებიც ღვინდება დიდი დამსახურების მქონე პირებისათვის. თუმცა, განსხვავება ლიტვისა და ესტონეთის კანონებისაგან მაინც შეინიშნება.

ყოველგვარი ცენზებისა და დამატებითი მოთხოვნების გარეშე მოქალაქედ მიიღება არა მხოლოდ დამსახურების მქონე პირები, არამედ საქართველოსთვის საჭირო, მაგრამ დეფიციტური პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებიც, რომელთაც შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ცხოვრებაში თავიანთი განსაკუთრებული ცოდნისა თუ კვალიფიკაციის შესაბამისად, თუნდაც დეფიციტური პროფესიების განვითარების კუთხით.

მართალია, მნიშვნელოვანი პროფესიისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები დაფასების ღირსნი არიან, მაგრამ მათი განსაკუთრებული უნარი სახელმწიფოს წინაშე დიდ დამსახურებად მაინც არ არის მიჩნეული განვითარებული ქვეყნების მიერ. მიღებულია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული სფეროს განვითარების მიზნით, შეიძლება მოწვეულ იქნენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც სათანადო გასამრჯელოს სანაცვლოდ შეასრულებენ თავიანთ

სამუშაოს და მოქალაქეობის მინიჭებით მათი დაჯილდოვება სულაც არ არის აუცილებელი. ვფიქრობთ, უცხოეთის განვითარებულ სახელმწიფოებში გავრცელებული ამგვარი მიდგომა სავსებით გამართლებულია, რადგან სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება პერსპექტივაში კი არ უნდა მოიაზრებოდეს, არამედ უკვე დამდგარი, რეალური ფაქტი უნდა იყოს.

ამასთან, ქვეყნის მოქალაქედ მიღება უმაღლესი პრივილეგიაა (გაცილებით მეტია, ვიდრე საპატიო წოდებებით, ორდენებითა თუ მედლებით დაჯილდოვება) და, შესაბამისად, მის მოსაპოვებლად მხოლოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტობა საკმარისი არაა, არამედ ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი დამსახურებაც სახეზე უნდა იყოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა არსად არ აზუსტებს, თუ რა სახის სამეცნიერო ან საზოგადოებრივი საქმიანობა ჩაითვლება ქვეყნის წინაშე განსაკუთრებულ დამსახურებად, ან რა პროფესიისა და კვალიფიკაციის სპეციალისტებითაა დაინტერესებული სახელმწიფო. ასევე არ არის განსაზღვრული, თუ რომელმა უწყებამ ან თანამდებობის პირმა უნდა დაადასტუროს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია.

გამოდის, რომ გადაწყვეტილებას სრულიად დამოუკიდებლად, შეუზღუდავად და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისამებრ იღებს პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი თანამდებობის პირი მაღალი კომპეტენციითაც უნდა იყოს აღჭურვილი, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თუ ცალკეულ შემთხვევებში შესაბამისი დარგის მარეგულირებელი უწყებების აზრსაც გაითვალისწინებდა.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოთა უმ-

რავლესობა თავის წინაშე გაწეულ დამსახურებაზე მიანიშნებს. საქართველომ კი ზოგადსაკაცობრიო ინტერესებიც გაითვალისწინა და საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მოთხოვნა წამოაყენა. ასეთი მიდგომა ერთობ ამკაცრებს დადგენილ პირობებს. თუმცა ეს თავად სახელმწიფოს გადასაწყვეტია, ეს მისი სუვერენული ნებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში, მოელ რიგ უხერხულობათა თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ტექსტში „და“ კავშირი შეიცვალოს „ან“ კავშირით. ჯერ ერთი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მონაწილე აინშტეინის პოვნა ძალიან გაჭირდება. და მეორე, იმედია, ჩვენი კანონმდებელი საქართველოს კაცობრიობის ნაწილადაც მოიაზრებს. ამდენად, კაცობრიობის წინაშე გაწეული დიდი დამსახურება საკმარისი უნდა იყოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად და დამატებით საქართველოს წინაშე გმირობის ჩადენა აღარ უნდა მოვითხოვოთ. რასაკვირველია, ეს დამსახურება იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ გარკვეულწილად საქართველოსთვისაც იყოს სასარგებლო, თორემ ყველა მეტ-ნაკლებად გამოჩენილი ადამიანის მოქალაქეობის ქვეყანა საქართველო ვერ გახდება.

განხილული 27-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, საერთო წესით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად, მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს აგრეთვე ის უცხოელი, რომლის მოქალაქედ მიღებაც გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებული პირობებით საქართველოში ნატურალიზაციისათვის საჭიროა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს განსაკუთრებული დამსახურება კაცობრიობისა და ქვეყნის წინაშე ან პროფესია და კვალიფიკაცია,

რომლითაც დაინტერესებულია სახელმწიფო. სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა, პროფესია და კვალიფიკაცია ფაქტობრივად მოიცავს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. ამდენად, ისმის კითხვა – სხვა რა გარემოებები შეიძლება იგულისხმებოდეს დამატებით, რაც გამოიწვევდა სახელმწიფოს ესოდენ დიდ დაინტერესებას, რომ სხვა პირობების დაუცველად, დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ბინადრობის ცენზის, ენის ცოდნისა და შემოსავლის წყაროს მოთხოვნის გარეშე მიგველო უცხოელი მოქალაქედ.

ასეთი გარემოებები, ალბათ, უკავშირდება პოლიტიკურ სფეროს, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თუმცა, პოლიტიკური მიზნები არ უნდა იყოს ავანტურისტული, უცხო სახელმწიფოთა ინტერესების საზიანოდ მიმართული, როგორცაა მტრულად განწყობილ ქვეყანაში დივერსიის, ტერორიზმის და მსგავსი მძიმე დანაშაულების ჩამდენი პირების შეფარება და მათთვის მოქალაქეობის მინიჭება.

სამაგიეროდ კეთილშობილური პოლიტიკური მიზნებით მითითებული პირობის დაშვება სავსებით გამართლებულია. კერძოდ, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღემდე მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ დატოვა სამშობლო და ხანგრძლივი ვადით დარჩა საზღვარგარეთ. ბუნებრივია, საქართველო დაინტერესებულია ქართველების უკან დაბრუნებით და მათი სახით მოქალაქეთა რაოდენობის მატებით, რაც ერთდროულად დადებითად იმოქმედებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სხვა პრობლემებზე.

სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმდებლობამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ეთნიკური ქართველებისთვის ქართული მოქალაქე-

ობის უფრო გამარტივებული წესით მოპოვების და ამით სამშობლოში დაბრუნების წამახალისებელი მექანიზმის დადგენა ბალტიისპირეთისა და რიგი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით. ამიტომ სწორედ 27-ე მუხლის „ბ“ პუნქტი წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს იმ თანამემამულეთა უკან დაბრუნებისა და საქართველოს მოქალაქეობის გაიოლებული წესით მოპოვების ერთადერთ შესაძლებლობას, რომლებიც, კანონის თანახმად, ვერ ახერხებენ მოქალაქეობის დადგენას, აღდგენას ან სხვა გზით დროულად მიღებას. ასეთი პირების მიმართ ნატურალიზაციის საერთო წესის გამოყენება კი, ალბათ, არამართებული იქნებოდა, რადგან მათ სულ ცოტა 10 წელი დასჭირდებოდათ მოცდა საქართველოს მოქალაქეობის მიღებამდე, რაც ძლიერ შეამცირებდა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა რაოდენობას.

#### §4. ნატურალიზაცია გამონაკლისის წესით

საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში 2004 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქვეყანაში დადგინდა ნატურალიზაციის ახალი სახე – ნატურალიზაცია გამონაკლისის წესით, იგივე – ორმაგი მოქალაქეობა, რაც ადრე დაუშვებელი იყო.<sup>89</sup>

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანამედროვე რედაქციაში, რომელიც ფაქტიურად იმეორებს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსს, აღნიშნულია, რომ

---

89 2004 წლის 6 თებერვლის კანონი №3272, სსმ 1, №2, მუხ. 5.

„საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან რომლისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.”<sup>90</sup>

ორმაგი მოქალაქეობის, იგივე ბიპატრიზმის, საქართველოში ზოგადი წესის სახით დანერგვა, ვფიქრობ, ნაადრევია, რადგან ეს საკმაოდ მძიმე ტვირთია და სუსტად განვითარებული სახელმწიფო მას ვერ ზიდავს.

როგორც ცნობილია, ბიპატრიზმის ცნების ქვეშ გულისხმობენ არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ ხშირად ორზე მეტი მოქალაქეობის არსებობასაც. მისი გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა, მაგალითად: მოსახლეობის მიგრაცია, სახელმწიფოთა ტერიტორიების და საზღვრების ცვლილებები, შერეული ქორწინებები და სხვა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად გავრცელებულობისა, ბიპატრიზმი, ისევე როგორც აპატრიზმი, ანომალური მოვლენებააა მიჩნეული მსოფლიო პრაქტიკაში და სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ შიდანორმატიული თუ საერთაშორისო აქტებით მაქსიმალურად შეამცირონ მისი გამოვლინების შესაძლებლობები.

ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევათა შემცირების საკითხს

---

90 შედარებისთვის იხ. საქართველოს ორგანული კანონი №193, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №5, მუხ.66 და საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90.

არეგულირებს მოქალაქეობის კანონების კოლიზიის ზოგიერთ საკითხზე ჰააგის 1930 წლის კონვენცია, გათხოვილი ქალის მოქალაქეობის საკითხებზე 1957 წლის კონვენცია, 1954 წლის ხელშეკრულება არაბული ქვეყნების მოქალაქეობის შესახებ, სკანდინავიის ქვეყნებს შორის 1969 წელს დადებული მრავალმხრივი კონვენცია, ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევათა შემცირებისა და სამხედრო ვალდებულების შესახებ 1963 წლის ევროპული კონვენცია, 1997 წლის ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ და სხვა.

რა თქმა უნდა, ორმოქალაქეობა მისი მფლობელის მიმართ გარკვეულ შეღავათებსა და პრივილეგიებს გულისხმობს. ასეთი პირი ორივე მოქალაქეობის სახელმწიფოში აღჭურვილია უფლებათა სრული პაკეტით, სარგებლობს ამ ქვეყნების მფარველობით, მათ შორის უვიზო მიმოსვლის უფლებით, ნებისმიერ მათგანში დასახლებისა და მუშაობის პრივილეგიით და ეროვნული კანონმდებლობებით გათვალისწინებული სხვა მრავალი შეღავათით.

მაგრამ, მითითებული პრივილეგიების პარალელურად, რამდენიმე სახელმწიფოს მოქალაქეობის ერთდროულად არსებობა მთელ რიგ პრობლემებსაც წარმოშობს, რომლებიც ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ფიზიკურ პირს, ისე ხელისუფლებას.

მაგალითად, თუ მეუღლეთაგან ორთავე ბიპატრიდია და ისინი იმყოფებიან მათი მოქალაქეობისაგან განსხვავებულ ქვეყანაში, რთულდება საოჯახო და სამემკვიდრეო უფლებების დაცვა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებს ქორწინების, საოჯახო და სამემკვიდრეო ურთიერთობების რეგულირების განსხვავებული წესები გააჩნიათ. ასევე ძნელად გადასაწყვე-

ტია ამ მშობლების ახლადდაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხიც. ამ დროს დღის წესრიგში შეიძლება დადგეს ოთხზე მეტი მოქალაქეობის მინიჭების საკითხი, ერთი – დაბადების ადგილის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით და ოთხი – სისხლის პრინციპის ანუ მშობელთა მოქალაქეობის მიხედვით. ეს კი უკვე აშკარა ანომალიაა.

ერთობ რთულდება ბიპატრიდის უფლებების დაცვა მესამე ქვეყანაში, რადგან ორი სახელმწიფოს ჩარევა ამგვარ ურთიერთობებში ვერ ხერხდება, ხოლო არჩევანის გაკეთება ბიპატრიდისთვის ძნელია, იმდენად, რამდენადაც ამან შეიძლება რომელიმე მფარველი ქვეყანა გაანაწყენოს.

როგორც არაერთხელ შევნიშნეთ, მოქალაქეობა მხოლოდ უფლებები და პრივილეგიები როდია, არამედ სახელმწიფოს წინაშე ფიზიკური პირის ვალდებულებებსაც გულისხმობს. ყოველი მოქალაქე ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სულ ცოტა საშემოსავლო გადასახადი მაინც გადაიხადოს. ეს გარემოება კი გამოიწვევს ბიპატრიდის მინიმუმ ორმაგ დაბეგვრას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ასევე პრობლემებთანაა დაკავშირებული რამდენიმე ქვეყნის მოქალაქის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის საკითხიც. თუ მოქალაქეობის ქვეყნებს სათანადო ხელშეკრულებებით არა აქვთ დარეგულირებული აღნიშნული პრობლემა, პიროვნებას შეიძლება ორივე მხარემ მოსთხოვოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა.

განსაკუთრებით მძიმდება სიტუაცია, თუ მოქალაქეობის სახელმწიფოთა შორის არამეგობრული დამოკიდებულება ან საომარი მდგომარეობა იჩენს თავს. ამ დროს ბიპატრიდი



საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე შეიძლება დადგეს, რაც მანამდე მოპოვებულ უფლებებსა და პრივილეგიებს საკმაოდ საფრთხეს შეუქმნის.

ბიპატრიზმთან დაკავშირებით შეიძლება სხვა სირთულეებიც წარმოიქმნას, მაგრამ, ვფიქრობთ, უკვე ჩამოთვლილიც საკმარისია იმის გასარკვევად, თუ რატომ ითვლება იგი საერთაშორისო პრაქტიკაში არასასურველ მოვლენად და რატომ ცდილობენ სახელმწიფოები მისი გამოვლინების შემთხვევათა მაქსიმალურ შეზღუდვას.

სწორედ ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობამ ორმაგი მოქალაქეობა შემოიღო არა ზოგადად, ნატურალიზაციის ერთ-ერთ სახედ, არამედ გამონაკლისის სახით.

როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია უცხოელს, უკვე არსებული მოქალაქეობის პარალელურად, მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობაც. პრეზიდენტი ასევე ერთპიროვნულად, მხოლოდ საკუთარი შეხედულებით, იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, აქვს თუ არა დაინტერესებულ პირს განსაკუთრებული დამსახურება ქვეყნის წინაშე ან გამომდინარეობს თუ არა მისი მოქალაქედ მიღება სახელმწიფოს ინტერესებიდან.

მოქმედი კანონმდებლობა არც აღნიშნული გამონაკლისის ფარგლებს არ განსაზღვრავს ანუ დადგენილი არ არის ამ წესით მოქალაქედ მისაღებ პირთა ზღვრული ოდენობა, იგივე წლიური კვოტა. გამონაკლისის არსი კი სწორედ ისაა, რომ იგი არღვევს ყოველგვარ დადგენილ წესს და ითვალისწინებს აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებს და შედეგებს, მხოლოდ, უკიდურესად მნიშვნელოვანი გარემოე-

ბების ზემოქმედების პირობებში. მაშასადამე, დაინტერესებული პირის მიერ საქართველოსადმი გაწეული ღვაწლი ან მისი პიროვნებისადმი დაინტერესება უნდა იყოს განუზომლად მაღალი. ასეთი ადამიანი კი, ობიექტურად, შეუძლებელია ბევრი იყოს.

სამწუხაროდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კანონით დადგენილი გამონაკლისის წესით წლიურად ასზე მეტი პირი მიიღება საქართველოს მოქალაქედ, რაც აშკარად არ არის გამონაკლისი და არღვევს ორგანული კანონის მოთხოვნებს. კანონმდებლობის სისტემატური დარღვევა კი უარყოფითად აისახება სახელმწიფოს შემდგომ დემოკრატიულ განვითარებაზე.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოს ხელისუფლების მძაფრი რეაქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის რუსეთის მიერ მოქალაქეობის მინიჭებისა და რუსული პასპორტების გაცემის ფაქტზე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლება ორმაგი მოქალაქეობის ქვეყანაში მასიურ გავრცელებას დადებითად არ აფასებს და ამ ეტაპზე შესაძლებლად არ თვლის. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის მსგავსი ცხელი კერები საქართველოში სხვაც არსებობს.

ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში, სამწუხაროდ, ამით არ ამოიწურება. მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის ტექსტს ყურადღებით თუ გავეცნობით, აღმოვაჩინოთ, რომ განხილული პირველი მუხლისა და ამავე კანონის 27-ე მუხლის მოთხოვნები თითქმის იდენტურია. კიდევ მეტი, მსგავსი 'მინაარსისაა კანონის 9<sup>1</sup> მუხლიც, რომელიც საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მოპოვების წესს აღგენს.

აღნიშნულიდან აშკარაა, რომ ერთი ნორმატიული აქტის სამი სხვადასხვა ნორმა ფიზიკური პირისთვის მოქალაქეობის სამი სხვადასხვა სტატუსის მინიჭებისათვის ფაქტიურად ერთგვაროვან მოთხოვნებს ადგენს. ძირითადი სხვაობა მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მოსაპოვებლად, განსხვავებით 9<sup>1</sup> და 27-ე მუხლებისაგან, აუცილებელი არაა კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების არსებობა, როცა სწორედ რომ პირიქით უნდა იყოს.

ბუნებრივია, კანონის ამგვარი შინაარსი წარმოშობს უხერხულობას. კერძოდ, გაუგებარია სამი ადამიანის მიერ ერთი და იგივე პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში რომელს უნდა მივანიჭოთ საპატიო მოქალაქეობა, რომელს – ჩვეულებრივი მოქალაქეობა და რომელს – ორმაგი მოქალაქეობა, ასევე – რა განმასხვავებელი კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ საკითხის გადაწყვეტისას.

ამავე თემას უკავშირდება კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაც. საქმე ისაა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლი ორმაგ მოქალაქეობას მხოლოდ უცხოელთა პრივილეგიად მიიჩნევს. საქართველოს მოქალაქეს კი მითითებული პრივილეგიით სარგებლობის უფლება არა აქვს, რადგან ამავე კანონის 32-ე მუხლის „დ“ პუნქტი საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლად პირდაპირ ასახელებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებას.

გამოდის რომ საქართველოს მოქალაქე, რომელიც კაცობრიობის წინაშე გაწეული ღვაწლის გამო მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, აღარ იმსახურებს საქართველოს მოქალაქეობის ტარების პატივს. ეს კი სამართლებრივი ნონ-

სენსია და საკუთარ მოქალაქეთა დისკრიმინაციას იწვევს, რის გამოც აუცილებელია კანონში სათანადო ცვლილებების შეტანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის დანერგვას თან ახლავს არა მარტო პრაქტიკული, არამედ სამართლებრივი სირთულეებიც. ეს, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი საქართველოში ახალია და ქვეყანას არ გააჩნდა მისი გამოყენებისა და რეგულირების სათანადო გამოცდილება.

ვფიქრობთ, ნატურალიზაციის ამ ახალი სახის შემოღება საქართველოში ამ ეტაპზე ნაადრევი იყო და შეიძლება მასზე უარის თქმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებელია საკანონმდებლო წესით დადგინდეს გამონაკლისის წესით მოქალაქედ მისაღებ პირთა წლიური კვოტა. ასევე უნდა დაზუსტდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი. კერძოდ, უფრო კონკრეტულად განისაზღვროს ორმაგი მოქალაქეობის მოპოვებისათვის საჭირო მოთხოვნები და გაიმიჯნოს ისინი მოქალაქეობის შესახებ კანონის 9<sup>1</sup> და 27-ე მუხლებში არსებული მოთხოვნებისაგან.

ამასთან, მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში მითითებულ უნდა იქნას, რომ დაბადებით საქართველოს მოქალაქეს შეუძლია იქონიოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც, თუ იგი მოპოვებული აქვს გამონაკლისის წესით ამ სახელმწიფოსა და კაცობრიობის წინაშე არსებული დიდი დამსახურების გამო.

ასეთი გახლავთ საქართველოში ნატურალიზაციასთან დაკავშირებული თავისებურებები. იმედი გვაქვს, ნაშრომში გამოთქმული წინადადებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დახვეწასა და შემდგომ სრულყოფას.

## დ ა ს კ ვ ნ ა

დღეისათვის სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში მოქალაქეობის ინსტიტუტის სრულყოფისა და განვითარების საკითხი. როგორც დავინახეთ, მოქალაქეობის ინსტიტუტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. მოქალაქეობა ყოველი სახელმწიფოს სავალდებულო ატრიბუტია, რომლის გარეშეც სახელმწიფო ვერ იარსებებს.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მისი ტერიტორიული სუვერენიტეტი იქცა, მოქალაქეობის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა, ხოლო ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში მოქალაქეობამ ახალი სამართლებრივი დატვირთვა მიიღო და ადამიანის თავისუფლებისა და დემოკრატიის გამომხატველად იქცა. დღეს ფაქტიურად არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნდეს მოქალაქეობის ინსტიტუტი და კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ.

მოქალაქეობის სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის დემოკრატიულობას, იმის გარკვევას, თუ რა შესაძლებლობას აძლევს ეს კანონმდებლობა ადამიანს განახორციელოს თავისი უფლებები

და კანონიერი ინტერესები. საზღვარგარეთის ცივილიზებულ ქვეყნებში მოქალაქეობის საკითხი გადაწყვეტილია თითოეული ამ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, მაგრამ იმავდროულად დაცულია ადამიანის საყოველთაო უფლებები, უზრუნველყოფილია მისი დაცვის იურიდიული გარანტიები.

საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა საქართველოს კანონმდებლობის დემოკრატიზაციის გზაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დააყენა საკითხი, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დაუყოვნებლივ შემუშავებულიყო მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონმდებლობა, რის გამოც ჩვენი ქვეყანა გარკვეული სირთულეების წინაშე დადგა, რამდენადაც საქართველოს არ გააჩნდა საკმარისი გამოცდილება მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის შექმნისა და სრულყოფის საქმეში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ დროული და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ადამიანის უფლებების დასაცავად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზეც. ჩვენი კანონმდებლობა დიდ შესაძლებლობას აძლევს უცხოელებს მიიღონ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა და ეზიარონ ამ ქვეყანაში მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ იდეალურია და არ საჭიროებს შემდგომ სრულყოფას. მრავალი დებულება ამ კანონმდებლობაში ჯერ კიდევ კოლიზიურია და მოითხოვს

გასწორებას, ხოლო ზოგიერთი დემოკრატიული დებულება – შემდგომ დახვეწასა და განვითარებას.

რასაკვირველია, ნაშრომი არ აცხადებს პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მასში წარმოდგენილი პრობლემების კვლევა ამომწურავია და იგი შეიძლება კვლავ გაგრძელდეს ისეთი ცალკეული მიმართულებების მიხედვით, როგორცაა მოქალაქეობის არსი და ცნება, დაბადებით მოქალაქეობის მოპოვებისა და ნატურალიზაციის პირობები და სხვა.

ნაშრომი წარმოადგენს მოქალაქეობის სფეროში წამოჭრილ ცალკეულ კოლიზიათა და სადაო საკითხთა გადაწყვეტის მცდელობას. ვიმედოვნებთ, მალე დადგება დრო, როცა საქართველოს ავტორიტეტი სერიოზულად გაიზრდება და მისი მოქალაქეობაც გაცილებით დიდი ყურადღების საგნად იქცევა. ხოლო წამოყენებული წინადადებების კანონმდებლის მიერ გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას, ადამიანის უფლებებისა და ინტერესების განმტკიცებას და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას.

(მიღებულია: 1993 წლის 25 მარტს  
გამოქვეყნებულია: კანონი №193,  
საქართველოს პარლამენტის უწყებები  
1993 წელი – № 5, მუხ. 66)

**საქართველოს ორბანული კანონი  
საქართველოს მოქალაქეობის შესახებ**

მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

ეს კანონი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



# თავი I

## ზოგადი დებულებანი

### *მუხლი 1. საქართველოს მოქალაქეობა*

1. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

*(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი № 182 - სსმ I, №19, მუხ.90)*

### *მუხლი 2. მოქალაქეობის უფლება*

საქართველოში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

### მუხლი 3. საქართველოს მოქალაქე

საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ ექვსი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე.

(საქართველოს 1993 წლის 24 ივნისის კანონი №277 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №8, მუხ.147)

ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და ამდენად ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)

გ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ამ კანონის შესაბამისად.

### მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა

საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)

*მუხლი 5. საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა*

საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრეთვე პირადი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა კანონები, გაუფრთხილდნენ ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობას, ხელი შეუწყონ მის ძლიერებას, იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგულნი.

*მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა*

საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველო.

*მუხლი 7. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება საზღვარგარეთ მცხოვრები პირისათვის*

საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქის ცხოვრება თავისთავად არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

*მუხლი 8. სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა*

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცენ და დაიცვან საქართველოს კანონები, მათ გარანტირებული აქვთ საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი პირადი, ქონებრივი და სხვა უფლებათა დასაცავად.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს უფლება აქვთ დახმარებისა და დაცვისათვის მიმართონ თავის ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს.

*მუხლი 9. უცხო სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის პირობები*

უცხო სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 - პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

## *მუსლი 9'. საქართველოს საპატიო მოქალაქეობა*

საქართველოს საპატიო მოქალაქეობა, მისი თანხმობით, შეიძლება მიენიჭოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან სხვა პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო და მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან.

საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება ხდება „საქართველოს საპატიო მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

საქართველოს საპატიო მოქალაქეობას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

## თავი II

### საქართველოს მოქალაქეობის მოკოვება

#### *მუხლი 10. საქართველოს მოქალაქეობის მოკოვების საფუძვლები*

საქართველოს მოქალაქეობის მოკოვება ხდება:

- ა) დაბადებით;
- ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით);
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

#### *მუხლი 11. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან*

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

#### *მუხლი 12. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა*

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისთვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ:

- ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე;
- ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტი სათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხოელია.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტი სათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში – იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა. იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

*მუხლი 13. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან*

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

*მუხლი 14. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან*

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

*მუსლი 15. უცნობ მშობელთა ბავშვის მოქალაქეობა*

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება.

*მუსლი 16. ბავშვის მოქალაქეობა მშობლების მოქალაქეობის შეცვლისას*

ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მიულწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

*მუსლი 17. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის შეცვლისას*

ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება.

თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიულწეველ ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვს უწყდება საქართველოს მოქალაქეობა.

ერთ-ერთი მშობლის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეწყვეტას.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 .. კარლამენ-ტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*



**მუხლი 18. გავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისას**

თუ ერთ-ერთი მშობელი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე.

თუ ერთ-ერთი მშობელი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

**მუხლი 19. სრულწლოვანი პირის მიერ მოქალაქეობის არჩევის შესაძლებლობა**

თუ მშობლებს სხვადასხვა მოქალაქეობა აქვთ და ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)

**მუხლი 20. გავშვის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება შვილად აყვანის შემთხვევაში**

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, და მას შვილად აიყვანს საქართველოს მოქალაქე (მოქალაქეები), მშვილებელის (მშვილებელთა) შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ მუუღლეების მიერ შვილად

აყვანის შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა, მშვილდებელთა ერთობლივი შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

### *მუხლი 21. ბავშვის მოქალაქეობის შენარჩუნება შვილად აყვანის დროს*

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში მშვილდებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა.

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, თუ იგი შვილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მეუღლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

### *მუხლი 22. ბავშვის მოქალაქეობა, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა*

ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

*მუსლი 22'. ბავშვის მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტის თავისებურებანი*

ამ კანონის მე-17 – 22-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქეობის შეცვლისათვის საჭიროა 14-დან 18 წლამდე ბავშვის თანხმობა.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

*მუსლი 23. ქმედუნარო პირის მოქალაქეობა*

ქმედუნარო პირის მოქალაქეობა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს მეურვის შუამდგომლობით, ამ კანონით დადგენილი წესით.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

*მუსლი 24. დავა ბავშვების, ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე*

დავა მშობლებს, მეურვეებსა ან მზრუნველებს შორის ბავშვის, ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლოს წესით ბავშვის, ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

*მუსლი 25. საქართველოს მოქალაქეობა ქორწინების ან განქორწინებისას*

საქართველოს მოქალაქის ქორწინება ან განქორწინება უცხოელ მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან თავისთავად არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას.

მეუღლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

*მუსლი 26. საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები*

საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის შესაბამისად მიიღება სრულწლოვანი პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა; (15.10.96 №423 პარლამენტის უწყებანი № 27-28/4)

გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;

დ) საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ანდა საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)

(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802 სსმ I, 2008წ., №40, მუხ. 247)

**მუხლი 26. საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე  
უარის თქმის საფუძვლები**

საქართველოს მოქალაქედ არ მიიღება პირი თუ:

ა) ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ;

ბ) მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 - პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)

**მუხლი 27. საქართველოს მოქალაქედ მიღების განსაკუთრებული პირობები**

საქართველოს პრეზიდენტს, ცალკეულ შემთხვევებში უფლება აქვს ამ კანონის 26-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დაუცველად საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ:

ა) საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 - პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)

*მუხლი 27. საქართველოს მოქალაქედ მიღების კი-  
რობები რეპატრიანტის სტატუსის მქო-  
ნე პირთათვის (11.07.2007 № 55262 ამოქ-  
მდღეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

1. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე არ ვრცელდება ამ კანონის 26-ე მუხ-  
ლის მოთხოვნები.

2. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქარ-  
თველოს მოქალაქეობის მინიჭება ხდება „რეპატრიანტის  
სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის  
გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“ საქართველოს  
მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

*(საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის ორგანული კანონი №5262 ..  
სსმ I, 2007წ., მუხ. 298)*

*მუხლი 28. საქართველოს მოქალაქეზე დაქორწი-  
ნებული პირის მიღება საქართველოს  
მოქალაქედ*

პირი, რომელიც დაქორწინებულია საქართველოს მოქა-  
ლაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე  
უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ  
იქნეს საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის 26-ე მუხლის  
„ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და 26-ე მუხლის მოთხოვნათა  
შესაბამისად.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 – პარლამენ-  
ტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

*(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802 ..  
სსმ I, 2008წ., №40, მუხ. 247)*

*მუხლი 29. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა*

საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება აღუდგეს ამ კანონის შესაბამისად, თუ მას მოქალაქეობა შეუწყდა:

ა) მოქალაქეობის არამართლზომიერი შეწყვეტის შედეგად;

ბ) მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად;

გ) მშობლების არჩევანის შედეგად.

ამავე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგება, თუ იგი განცხადების შეტანის მომენტიდან მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და აკმაყოფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და 26-ე მუხლის მოთხოვნებს.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 - პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

*მუხლი 29<sup>1</sup>. საქართველოს მოქალაქის ფიცი.*

პირი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა ნატურალიზაციით ან საქართველოს მოქალაქეობის აღდგენით, ქართულ ენაზე დებს საქართველოსადმი ერთგულების ფიცს: „მე (გვარი, სახელი), ვხდები რა საქართველოს მოქალაქე, ვფიცავ ერთგულად ვემსახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულ ენას. ვაღიარებ ვიღებ პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს“ და ხელმოწერით ადასტურებს მას.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 - პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

## თავი III

### საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა

*მუხლი 30. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საშუალებები:*

- ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა;
- ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

*მუხლი 31. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა*

1. საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი წყდება ამ კანონის შესაბამისად. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის შეუსრულებლობისას ან სამხედრო ვალდებულების მოუხდელობისას.

2. არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი №423 .. პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22)*

*(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802 .. სსმ I, 2008წ., №40, მუხ. 247)*



### *მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა*

ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

ა) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში;

ბ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში;

გ) საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით;

დ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

## **თავი IV**

### **საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი**

### *მუხლი 33. საქართველოს პრეზიდენტის უფლება- მოსილებაანი მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას*

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე;

- გ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე;
- ე) საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე.

(*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90*).

### *მუხლი 34. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანა*

1. საქართველოს მოქალაქეობის მიღების, მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებები დაინტერესებულ პირებს შეაქვთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო). საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირები განცხადებას საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით ან პირდაპირ უგზავნიან საქართველოს პრეზიდენტს.

(*19.12.2008. № 802 ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან*).

2. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე არასრულწლოვანთა და ქმედუენარო პირთა შუამდგომლობები შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს. (*15.10.96 №423 პარლამენტის უწყებანი № 27-28/4*).

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე განცხადება დაინტერესებულ პირს შეაქვს სააგენტოში ან შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

(19.12.2008 ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან).

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაუცველად.

(20.12.2005 № 2381)

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90).

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი №2381, სსმ I, 2005 წ., №55, მუხ. 365).

(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).

### **მუხლი 35. წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე**

წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე სააგენტოში შეაქვთ სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ – შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. (ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან).

(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).

*მუხლი 36. საქართველოს მოქალაქეობის საკითხ-  
თა განხილვა*

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს სააგენტო.

2. თუ სააგენტოსთვის ამ კანონის 35-ე მუხლში მითითებულ უწყებათა მიერ წარდგინების შეტანის გარეშე გახდება ცნობილი პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების არსებობა, იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განიხილავს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს და მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).*

*(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90).*

*(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი №2381, სსმ I, 2005 წ., №55, მუხ. 365).*

*(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).*

*მუხლი 36. მოქალაქეობის დადგენის საკითხების  
განხილვა*

ამ კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-11 – 22-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოქალაქეობის დადგენის საკითხებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, ხოლო სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის ან საკონსულო დაწესებულებისათვის მიმართვის შემთხვევაში შე-

საბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).

(საქართველოს 1997 წლის 1 ოქტომბრის კანონი №893, პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №43, გვ. 5).

(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).

### **მუხლი 37. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება**

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებისა და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – განკარგულებას.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).

### **მუხლი 38. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის ვადა**

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90).

(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი №2381, სსმ I, 2005 წ., №55, მუხ. 365).

(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).

*მუხლი 39. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განმეორებითი განხილვა*

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების განმეორებითი განხილვა შეიძლება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

*მუხლი 40. სახელმწიფო ბაჟი*

1. მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით და წესით, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. თუ პირმა საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად დაკარგა, მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანისას იგი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).*

*(საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი №2381, სსმ I, 2005 წ., №55, მუხ. 365).*

*მუსლი 41. დებულება მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის შესახებ*

დებულება საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე მტკიცდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

*მუსლი 42. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება*

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით განცხადების განხილვაზე დაუსაბუთებელი უარის, შუამდგომლობათა განხილვის ვადების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედებებისათვის თანამდებობის პირები პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

*(საქართველოს 2005 წლის ორგანული კანონი №1741, სსმ I, 2005 წ., №36, მუხ. 228).*

## თავი V

### ბარდამავალი და დასკვნითი დებულებები

#### *მუხლი 43. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები*

საქართველოს მოქალაქეობა დასტურდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან საქართველოს მოქალაქის პასპორტით.

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა დასტურდება დაბადების მოწმობით ან მშობლის პასპორტით ან მოქალაქის პირადობის მოწმობით.

16 წლამდე ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც უცნობი არიან, დასტურდება დაბადების მოწმობით.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).

#### *მუხლი 44. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა*

1. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას და პასპორტს გასცემენ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურები. *(ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან).*

2. სხვა სახელმწიფოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას და პასპორტს გასცემს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება. *(ამოქმედდა 2006 წლის 30 იანვრიდან).*

3. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დო-



კუმენტის გაფორმებისა და გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).

(საქართველოს 1997 წლის 1 ოქტომბრის კანონი №893, პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №43, გვ. 5).

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90).

(საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის ორგანული კანონი №2622, სსმ I, 2006 წ., №3, მუხ. 15).

(საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).

#### **მუხლი 45. საპატიო მიზეზით გადაცილებული ვადის აღდგენა**

თუ პირმა ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, მას გადაცილებული ვადა აღუდგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(საქართველოს 1993 წლის 24 ივნისის კანონი № 277, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №8, მუხ. 147).

#### **მუხლი 45'. საქართველოს მოქალაქეობის დადგენის დროებითი წესი (ამოღებულია 2009 წლის 1 თებერვლიდან)**

1. სხვა სახელმწიფოებში მოქმედ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და საკონსულო დაწესებულებებს დროებით – 2002 წლის 1 აპრილამდე ენიჭებათ ამ სახელმწიფოებში მყოფ პირთა საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ამ კანონით გათვალის-

წინებულ საფუძველზე, თუ საქართველოსა და ამ სახელმწიფოებს შორის მოქმედებს მიმოსვლის სავიზო რეჟიმი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ზღუდავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ამ კანონის 36-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

(*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის ორგანული კანონი №777, სსმ I, 2001 წ., №6, მუხ. 7).*

(*საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).*

#### *მუხლი 4<sup>ა</sup> საქართველოს მოქალაქეობის დადგენის წესის გამარტივება (ამოღებულია 2009 წლის 1 თებერვლიდან)*

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებმა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულების მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით 2001 წლის 1 მაისამდე მოამზადონ კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეობის დადგენის წესის გამარტივების შესახებ.

(*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის ორგანული კანონი №777, სსმ I, 2001 წ., №6, მუხ. 7).*

(*საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247).*

#### *მუხლი 46. საქრთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება*

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას ამ კანონთან ერთად გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

*(საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22).*

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –  
სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი 1993 წლის 25 მარტი.

## შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 1993 წლის 24 ივნისის კანონი № 277, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №8, მუხ. 147.
2. საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი №423, პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №27-28/4, გვ. 22.
3. საქართველოს 1997 წლის 1 ოქტომბრის კანონი №893, პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №43, გვ. 5.
4. საქართველოს 2001 წლის 2 მარტის ორგანული კანონი №777, სსმ I, 2001 წ., №6, მუხ. 7.
5. საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის ორგანული კანონი №182, სსმ I, 2004 წ., №19, მუხ. 90.
6. საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის ორგანული კანონი №1741, სსმ I, 2005 წ., №36, მუხ. 228.
7. საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი №2381, სსმ I, 2005 წ., №55, მუხ. 365.
8. საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის ორგანული კანონი №2622, სსმ I, 2006 წ., №3, მუხ. 15.
9. საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის ორგანული კანონი №5262, სსმ I, 2007 წ., №29, მუხ. 298.
10. საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის ორგანული კანონი №802, სსმ I, 2008 წ., №40, მუხ. 247.

## საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება № 80

ქ. თბილისი 26 იანვარი 2006 წელი

უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს  
მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცდეს უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ თანდართული დებულება, განცხადებისა და ფიცის ფორმები (დანართები №1, №2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 სექტემბრის №380 ბრძანებულება.

*მ. სააკაშვილი*

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ

### *მუხლი 1.*

ეს დებულება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრავს უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით განცხადების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

### *მუხლი 2.*

1. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება იმავდროულად მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველად.

### მუხლი 3.

1. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც სურს იმავდროულად მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, განცხადებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს.

2. განცხადება (დანართი №1) წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში (შემდგომში – საკონსულო დეპარტამენტი), საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა ან საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ავტობიოგრაფია;

ბ) პასპორტის ან მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი.

4. საკონსულო დეპარტამენტი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საქართველოს საკონსულო დაწესებულება უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, მოითხოვოს იმ დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებიც ასაბუთებენ მოქალაქეობის მინიჭების მსურველი პირის მიერ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებულ ცალკეულ გარემოებებს.

#### მუხლი 4.

1. უცხო ქვეყნის მოქალაქის განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად საკონსულო დეპარტამენტში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა ან საკონსულო დაწესებულებაში წარდგენილ უნდა იქნეს პირადად განმცხადებლის მიერ.

2. თუ დაინტერესებულ პირს საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ხანგრძლივი მივლინება, სამხედრო სამსახური და სხვ.) არ შეუძლია განცხადების პირადად წარდგენა, საკონსულო დეპარტამენტი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას მიიღებს სათანადო წესით გაფორმებული მინდობილობის მქონე პირის ან ფოსტის მეშვეობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, საკონსულო დეპარტამენტი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება განცხადების მიღებიდან 3 დღეში მიმართავს განმცხადებელს და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოფხვრისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით.

4. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება განცხადების მიღებიდან ან ხარვეზის აღმოფხვრიდან ორი კვირის ვადაში უზრუნველყოფს სრულყოფილი დოკუმენტაციისა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ რეკომენდაციის გადმოგზავნას საკონსულო დეპარტამენტში.



## მუხლი 5.

1. საკონსულო დეპარტამენტი განცხადების ან/და ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში მასალებს აგზავნის იუსტიციის სამინისტროში პირის საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირის დადგენის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შესაბამის დასკვნას საკონსულო დეპარტამენტს წარუდგენს ორი კვირის ვადაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საკონსულო დეპარტამენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამის დასკვნას საკონსულო დეპარტამენტს წარუდგენს ერთი თვის ვადაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის სამინისტრო დაადგენს, რომ პირი არის საქართველოს მოქალაქე და ასევე არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველი, დაუყოვნებლივ იწყებს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საქმის წარმოებას.

## მუხლი 6.

1. საკონსულო დეპარტამენტი შესაბამისი უწყებების დასკვნის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოფს მასალების მომზადებას და წარდგენას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობის კომისიისათვის განსახილველად. კომისია გადაწყვეტილებას (დასკვნას) უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის თაობაზე იღებს კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. დასკვნას მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე ამტკიცებს საგარეო საქმეთა მინისტრი.

2. კომისიის დებულებასა და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

3. ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსულო დეპარტამენტი მასალებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობის კომისიას განსახილველად წარუდგენს პირის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ ბრძანებულების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.

## მუხლი 7.

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობის კომისიის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საკონსულო

დეპარტამენტი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული დასკვნის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის სამსახურში (შემდგომში – სამსახური) გადაგზავნას.

2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური უფლებამოსილია გადააგზავნოს განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასკვნისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამის დასკვნას სამსახურს წარუდგენს არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

3. დოკუმენტაციის (ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასკვნის) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებას და სრულყოფილ დოკუმენტაციასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტისათვის წარუდგენას.

4. საქართველოს პრეზიდენტი უცხო ქვეყნის მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებულებას უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის იმავდროულად საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, ხოლო შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტისა და დოკუმენტაციის საქართველოს პრეზიდენტისათვის წარუდგენიდან ერთი

კვირის ვადაში ბრძანებულების გამოუცემლობა ჩაითვლება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმად.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, ხელს აწერს საქართველოსადმი ერთგულების ფიცის ტექსტს(დანართი №2), რომელიც ერთვის მის პირად საქმეს.

### *მუხლი 8.*

უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებული განცხადების განხილვისა და გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

### *მუხლი 9.*

უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმიდან ერთი წლის შემდეგ უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს განცხადება.

### *მუხლი 10.*

1. უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ერთიან სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთი კვირის ვადაში აწვდის უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის იმავდროულად საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების დამოწმებულ ასლს.

## საქართველოს პრეზიდენტს

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მომანიჭოთ საქართველოს მოქალაქეობა.

ჩემს შესახებ გაცნობებთ შემდეგს:

1. სახელი, გვარი

---

2. ინფორმაცია სახელის, გვარის შეცვლის შესახებ

---

3. დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

---

4. დაბადების ადგილი

---

5. ოჯახური მდგომარეობა

---

6. მოქალაქეობა

---

7. განათლება

---

8. სამუშაო ადგილი, თანამდებობა

---

9. ნასამართლობა

-----

10. მისამართი

-----

11. ვფლობ პასპორტს:

სერია: ----- № -----

გაცემულს -----

(ვის მიერ, რა ვადით)

12. განცხადებას თან ვურთავ შემდეგ დოკუმენტებს:

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

-----

პირადი ხელმოწერა

----- 200---წ.

განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია მივიღე:

-----

(თანამდებობა, ინიციალები, გვარი)

-----

(ხელმოწერა)

## საქართველოს მოქალაქის უიცი

მე, (სახელი, გვარი), ვხდები რა საქართველოს მოქალაქე, ვფიცავ:

ერთგულად ვემსახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულ ენას, ვაღიარებ ვალდებულებას ვიღებ პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს.

## FILIATION AND NATURALIZATION IN GEORGIA

### Summary

The present work is devoted to the problems of citizenship one of the most important legislative institute of Georgia.

The work analysis scientifically: the sense of citizenship and stages of its development, the problems concern definition of citizenship, peculiarities of acquiring citizenship by filiations and by naturalization and others. The study has been carried out by the method of comparative jurisprudence, namely it widely takes in consideration experience of certain western states as well as experience of the countries of the former Soviet Union.

In Georgia, a country of ancient legislative culture, the term 'citizen~ was evidenced back in 10<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries. However, it was not citizenship in its classic sense and the term referred to the residents of towns who enjoyed a somewhat different legal status than the residents of villages.

The institution of the citizenship, in its modern meaning, gained ground in Georgia at the beginning of the 20<sup>th</sup> century. In 1918-1921, during the short period of independence of Georgia. the government of the Democratic Republic of Georgia of that period paid great attention, and quite reasonably, to



the problems of citizenship, which found its reflection in the adoption of a Decree on Citizenship of the Democratic Republic of Georgia on 16 July, 1918 and later in the adoption of a law on Citizenship on 27 May, 1919. The latter conformed to similar legislations of European countries of the period, recognizing democratic principles of citizenship.

In 1991, after the disintegration of the Soviet Union and the restoration of the independence of Georgia, conditions were created for the working out of national law. In particular, Georgia adopted an organic Law on citizenship in March, 1993. It had been highly appraised by foreign experts, because it takes into consideration universally recognized democratic principles of International Law. It declares the right of acquiring the citizenship of Georgia by any person in accordance with the rules established by law, the equality of the citizens before the law irrespective of descent, race and nationality, social and proprietary status, sex, language, religion and political beliefs and other circumstances. Guarantees for protection of human rights and liberties are given both within the country and abroad. Deprivation of the citizenship of Georgia is prohibited and appealing against a decision of the President of the country is allowed, etc. It should be noted that the law recognizes the primacy of the international acts in which Georgia participates.

Notwithstanding the high level of the Law on Citizenship it is characterized by certain flaws, which is quite natural for young states.

The work presents a critical evaluation of certain norms,

and proposals are made for the elimination of collision.

For example it concerns the definition of citizenship given in the preamble of the Law. The Law defines citizenship from the point of view of political relationship and reciprocal rights and responsibilities existing between a person and a state which is not right. The author proposes his own consideration of the definition.

The numerous legislative proposals, advanced in the work, deal with such important problems as: terms of naturalization, acquisition of citizenship through birth, possibilities of avoiding bipatrimism and apatrimism, the necessity of possible consideration of the demands of the laws on citizenship of other countries and legal guarantees of the observance of the law, etc. In many cases concrete wordings of the contents of individual norms are given, which favour perfection of the legislative instruments of the law on citizenship and increase the possibilities of their implementation.

At the present stage of development of world civilization and democracy citizens' rights are widely protected on the international scale as well as in every democratic country. This also concerns the human right to free residence and the possibility to move and live where he finds the best living conditions. But his movements should be based on reason, confirming the thesis that one's abilities, talents and his potentialities may be manifested best at the place of the permanent residence he selects.

Georgian legislation on citizenship grants the right to immigrants and other foreigners permanently living in Georgia

for 5 years and satisfying the requirements of this legislation to become citizens of Georgia.

In circumstances so called of `blood~ and `land~ principles defining filiation the author offers his own opinions to avoid collisions between laws of different countries including: take in consideration parents' ultimate will as well as requirements of the country law, where the child was born.

The negative character of dual citizenship and the problems occur after its full declaration is demonstrated in the work. The proposals of the problems elimination are also given.

## ФИЛИАЦИЯ И ПАТУРАЛИЗАЦИЯ В ГРУЗИИ

### Резюме

Представленная работа посвящается проблемам гражданства, которые играют важную роль в политической жизни Грузии.

В работе научно обосновано большое значение института гражданства и этапы его развития, выявлены проблемы, связанные с понятием гражданства (его дефиницией), а также особенности приобретения гражданства по рождению и натурализации и др. Исследование проводилось по методике сравнительного анализа, а именно с учетом опыта правового регулирования этих вопросов в отдельных странах Запада и постсоветского пространства.

В Грузии, в стране древней правовой культуры, термин «гражданин» встречается ещё в X-XVI в.в. Он не отражал гражданства в классическом понимании. Им называли жителей городов, юридический статус которых несколько отличался от жителей деревень.

Понятие гражданства в его современном значении появилось в начале XX в. В 1918-1921 г.г., в этот короткий период независимости Грузии, правительство Демократической Республики Грузии, совершенно справедливо, уделяло большое внимание, проблемам гражданства, которые

отразились в «Декрете о гражданстве» Демократической Республики Грузия от 16 июня 1918 г., а позже в законе «О гражданстве» от 27 мая 1919 г., который был приведён в соответствии с аналогичным законодательством стран Европы того времени и признавал демократические принципы гражданства.

В 1991 г., после выхода из состава Советского Союза и восстановления независимости Грузии, создались условия для разработки национального законодательства о гражданстве, в частности, в марте 1993 года Грузия приняла Закон «О гражданстве». Иностранные эксперты высоко оценили этот закон, поскольку он был основан на всемирно принятых демократических принципах международного права. Он провозглашает право принятия гражданства Грузии на основании установленных правил закона, независимо от принадлежности той или иной нации или национальности, социального и имущественного положения, пола, языка, религии и политических взглядов и других обстоятельств. Закон гарантирует защиту прав и свобод человека как внутри государства, так и за его пределами. Лишение гражданства Грузии запрещено, возможно только его прекращение что предусматривает принятия специального постановления президента страны. Надо отметить, что Грузия признаёт превосходство международных актов, к которым она присоединилась.

Несмотря на высокий уровень Закона «О гражданстве», он имеет также недостатки, что является вполне естественным явлением для стран молодой демократии.

В работе дана критическая оценка отдельных правовых норм и предложены пути устранения коллизии.

Это непосредственно касается определению гражданства, которое дано в преамбуле закона. Закон Грузии определяет гражданство как сумму политических отношений между личностью и государством, как взаимобязанные и взаимответственные отношения, что не всегда правильно. Автор предлагает определение гражданства, которое предусматривает соображений, распространенных в международной практике и предлагает применить его в Грузинском законодательстве.

Многие правовые предложения, высказанные в работе, касаются таких проблем, как: сроки натурализации, филиация, вопросы изменения гражданства, бипартизма и апатризма, необходимость учета законов о гражданстве других стран, вопросы совершенствования процесса изучения и решения спорных вопросов гражданства, необходимость соблюдения государством требований закона и т.д. В работе приведены предложения по конкретной формулировке конкретных норм закона. Они содействуют совершенствованию средств правового обеспечения соблюдения закона о гражданстве и увеличивают возможность его реализации.

На современном этапе развития мировой цивилизации и демократии широко защищаются права граждан как в международном масштабе, так и в каждой демократической стране. Это касается также права человека на свободное проживание, его возможности переместиться и

жить там, где для него могут быть самые лучшие условия. Однако его передвижение должно осуществляться на разумной основе, подтверждая тезис о том, что способности, дарования и возможности человека самым лучшим образом могут быть проявлены там, где он выбирает место своего постоянного проживания.

Законодательство Грузии о гражданстве предоставляет право вступления в гражданство Грузии иммигрантам и другим иностранцам, постоянно проживающим в Грузии в течение 5 лет и которые удовлетворяют требованиям этого законодательства.

При определении гражданства по рождению в условиях взаимодействий так называемых «принципа крови» и «принципа почвы» во избежание коллизии с законами других стран, автор предлагает свои соображения, среди них предложение – максимально учитывать как желание родителей, так и требования законодательства того государства, на территории которого родился ребёнок.

В работе разъяснены негативные стороны двойного гражданства, те проблемы, которые могут возникнуть в следствие его всеобщего признания законодательством и выдвигаются предложения для решения этих проблем.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ა. საბჭოთა მოქალაქეთა უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვა, თბილისი 1968 წ.
2. ალექსიძე ლ.ა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თსუ, 1994 წ.
3. გიგილაშვილი ვ. მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი, – ჟურნალი „სამართალი“, 1993 წ. №5-6
4. გოგიაშვილი გ. სახელმწიფო ენა და ეროვნული უმცირესობები (კრებულში: კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თსუ, თბ., 2002 წ. გვ.გვ. 159-185).
5. გოქსაძე გ. მოქალაქეობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „სამართალი“, 1993 წ. №11-12
6. დემეტრაშვილი ა. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 1992 წ.
7. ერემოვი გრ. სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, თსუ, 1957 წ.
8. ერემოვი გრ. ოქტომბრის დეკრეტები, თბილისი, 1977 წ.
9. ინწკირველი გ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თსუ, 1993 წ.
10. კრამერი ს. ისტორია იწყება შუმერიდან, თბილისი, 1988 წ.
11. ლორია ა. მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თსუ, თბ., 1996 წ.
12. ლორია ა. ფილიაციით მოქალაქეობის საკითხთა სრულყოფისათვის, (კრებულში: კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თსუ, თბ., 2002 წ.) გვ.გვ. 186-203.



13. მესხია შ. საისტორიო ძიებანი, ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983 წ.
14. ცნობილადე პ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1996 წ.
15. ჯინჯოლავა ზ. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თსუ, 1993 წ.
16. ჩერნილოვსკი ზ. სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, ტ. I (თარგმანი), თსუ, 1992 წ.
17. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1919 წლის კანონის „მოქალაქეობის შესახებ“ დამფუძნებელ კრებაზე განხილვის სტენოგრაფიული ანგარიში, ჟურნალი „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ. №№ 1, 2, 3
18. ამერიკული საიმიგრაციო კანონმდებლობა და სსრ კავშირიდან გასვლის ასპექტები (თარგმანი მ. მგალობლიშვილისა), თბილისი, 1991 წ.

### უცხოური ლიტერატურა

- 1) Ascencio P. La reforme du droit de la nationalite,- Problemes d’Amerique Latine, # 4110-4111
- 2) Bar \_ Yaacov N. Dual Nationality, L. 1961
- 3) Bates T. Judicial Review and Nationality Law \_ Public Law, L. 1982
- 4) Bundesgesetzblatt fur die Republik Osterreich, 1965, # 250, 1983, # 170
- 5) Grundgesetz fur die Bundesrepublik Deutschland, Bonn, 1980

- 6) Immigration and Nationality Act Amendments and Notes on Related Laws, Wash., 1969
- 7) Information on Norwegian Citizenship, Oslo, 1992
- 8) International and Comparative Law Quartely, vol. 26, part 3, 1977. July
- 9) Parry C. Nationality and Citizenship Law of the Commonwealth and Irland, vol.I, L. 1957
- 10) The International Court of Justice UN, N.Y., 1983
- 11) Hackworth G.H. Digest of International Law, vol. III, Wash, 1942
- 12) Westlake I. International Law, part 1, Cambr, 1904
- 13) Weis P. Nationality and statelessness in International Law, London, 1956.

1. Авакьян С.А., Россия: гражданство, иностранцы, внешняя миграция, Санкт-Петербург, 2003 г.
2. Бархатова Е.Ю., Гражданство и регистрация: Москва, Россия, СНИГ, М., 2004 г.
3. Бойцов В.Я., К вопросу о понятии гражданства как государственно-правового отношения, М., 1982 г.
4. Боярс Ю.Р., Вопросы гражданства в международном праве, М., 1986 г.
5. Боярс Ю.Р., Законодательство о советском гражданстве, ЛГУ, 1979 г.
6. Б р о у н л и Я. , Международное право, т. II. М. , 1977г.
7. Вилков Г.Е. Законодательство СССР и международные отношения по вопросам гражданства, М., 1964 г.

8. Волин Б.М. Гражданин СССР, М., 1938 г.
9. Гайдуков Д.А. Гражданство СССР, М., 1940 г.
10. Гай С. Гудвин-Гилл, Статус беженца в международном праве, М., ЮПИТИ, 1997 г.
11. Дженис М., Кэй Р., Бредли Э., Европейское право в области прав человека, М., 1997 г.
12. Есаян А.А. Некоторые вопросы советского гражданства. Вопросы населения в практике Советской Армении, Ереван, 1966 г.
13. Кишкин С.С. Советское гражданство, М., 1925 г.
14. Конституции буржуазных государств, под. ред. П.К. Пантелсева, М., 1982.
15. Конституция Российской Федерации, М., Центральная Избирательная Комиссия, 1995.
16. Конституционный статус гражданина, под. ред. Б. Топорина, М., 1989 г.
17. Кулик Р.И. Закон о гражданстве СССР, М., 1980.
18. Лазарев Л.В., Мерышева Н.И., Пантелсева И.В., Иностранцы граждане (правовое положение), М., 1992 г.
19. Лешенкин А.И. Курс советского государственного права, т. I, М., 1961, стрю 457.
20. Лысенко С.Л. Советское гражданство, Киев, 1983 г.
21. Материалы семинара по вопросам гражданства, Дагомыс, МОМ, 1993 г.
22. Материалы семинара по вопросам гражданства, безгражданства и статуса иностранцев в государствах СНГ и Балгии, Хельсинки, МОМ, 1994 г.
23. Мишель Йона-Прат, «Гражданство и международное

- право» в изд. Материалы семинара по вопросам гражданства, МОМ, Дагомыс 1993г., стр. 19-22.
24. Мишель Йона-Прат, «Безгражданство в международном праве» в изд. Материалы семинара по вопросам гражданства, безгражданства и статуса иностранцев в государствах СНГ и Балтии, МОМ, Хельсинки, 1994 г. стр. 31-45.
  25. Монтескье Ш. О духе законов, перевод с французского. С.-Петербург, изд. Л.Ф. Пантелеева, 1900,стр.116.
  26. Правовой статус иностранных граждан и юридических лиц в РФ, (авторский коллектив: Авакьян С.А., .....), М., 1995 г.
  27. Сафронов В.М., Конституция СССР и советское гражданство, М., 1984 г.
  28. Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектам, М., МОМ, 1996 г.
  29. Сборник международных правовых актов, регулирующих вопросы миграции, М., МОМ, 1994 г.
  30. Собрание законодательства РФ, 03.06.2002 г., №22.
  31. Филиппов С.В.. США, иммиграция и государство, политика и законодательство, М., 1973 г.
  32. Шевцов В.С. Гражданство в советском союзном государстве, М., 1969 г.
  33. Шевцов В.С. Гражданство СССР, М., 1980 г.

## რუსული საჟურნალო სტატიები

1. Александренко В.И. Подданство и натурализация, «Известия Варшавского университета», вып. V, Варшава, 1904;
2. Николайчик В.М. Правовые основы иммиграционной политики США, журн. «США – ЭПИ». 1990, №9-10.
3. Свищарев В.В., К вопросу о правовом регулировании статуса лиц с двойным гражданством. журн. «Право и политика», 2001 г. № 2.
4. Трайнин И. К вопросу о гражданстве, журн. «Советское государство», 1938, №5, стр. 60. Трайнин И. К вопросу о гражданстве, журн. «Советское государство», 1938, №5, стр. 60.

## ნორმატიული მასალები

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“.
3. საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.
4. საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის №323-III კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ.

5. „საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“, – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 25 მარტის ბრძანებულება.
6. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 9 ნოემბრის №637 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ“ (სსმ, 1998 წ. №4, 111 ნაწ.);
7. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 სექტემბრის №380 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ“ (სსმ, 2004 წ. №101, III ნაწ. მუხ. 857);
8. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 იანვრის №80 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ“ (სსმ, 2006 წ. №101, III ნაწ. მუხ. 857);
9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921 წ.წ.), თბილისი, 1990 წ.
10. საქართველოს სსრ კანონთა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული (1938-1975 წ.წ.), საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 1976.
11. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. № 11, 1940 წ. №31, 1941 წ. №13, 1945 წ. №78, 1946 წ. №2, №40, 1978 წ. №49, 1981 წ. №26

## საერთაშორისო აქტები

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.)
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.)
3. ევროპის სოციალური ქარტია (1963 წ.)
4. კონვენცია გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ (1948 წ.)
5. ტურიზმის ქარტია (1985 წ.)
6. კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ზვედრის გაუმჯობესების შესახებ (1949 წ.)
7. კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ (1953 წ.)
8. ბავშვთა უფლებების დეკლარაცია (1959 წ.)
9. კონვენცია ნატურალიზებულ პირთა სტატუსის შესახებ (რიო-დე-ჟანეირო, 1906 წ.)
10. კონვენცია მოქალაქეობის კანონების კოლიზიის ზოგიერთ საკითხზე (ჰააგა, 1930-1936 წ.)
11. ევროპის კონვენცია ორმაგი მოქალაქეობის შემცირებისა და სამხედრო ვალდებულების შესახებ (1963 წ.)
12. ხელშეკრულება არაბული ქვეყნების მოქალაქეობის შესახებ ( 1954 წ.)
13. კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, 1954წ.
14. კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ, 1961წ.
15. ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ, 1997 წ.

არჩილ ლორია

**ფილიასტია და ნატურალიზაცია  
საქართველოში**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009

რედაქტორი *ნელი ელიზბარაშვილი*  
ტექ. რედაქტორი *ინგა ნავროზაშვილი*

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: [info@meridianpub.com](mailto:info@meridianpub.com) ☎ 39-15-22



